პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— საბჭ. კავშირი შეუერთდა დადგენილებას ომში მხრჩოლავი გაზების გამოყენების აკრძალვის შესახებ.
— ამერიკელი რეფორმისტები საპრეზიდენტო არჩევნებში ბურჟუაზიის კანდიდატებს უჭერენ მხარს.
— ნიუ-იორკში დაიხურა საბჭოთა გამოფენა.
— კანადის ფერმერთა კავშირი საბჭ. კავშირის ცნობას მოითხოვს.
— მუსოლინის სიტყვა ავსტრიის წინააღმდეგ.
— ლოკაუტი საფრანგეთის ტყავის მრეწველობაში შეწყდა.
— საკავშირო ცენტრ. სტატ. სამმართველოს გამგედ დაინიშნა ამხ. მილიუტინი.

ხუთშაბათი, 8 მარტი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 56 (2099)

მუშა-ქალების და გლეხი-ქალების საერთაშორისო კომუნისტური დღესასწაული

(8 მარტი)

მუშა-ქალების და გლეხი-ქალების საერთაშორისო დღესასწაულის როლი და მნიშვნელობა მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობის დაჩქარებაში დიდი სისწრაფით იზრდება და მატულობს დღითი-დღე, თვე და თვე, წლითი-წლობამდე. სხვადასხვა ქვეყნებში მუშა-ქალები და გლეხი-ქალები ათასობით და ათიათასობით დგებიან მებრძოლ პროლეტარიატის რიგებში და ებმებიან რევოლიუციონურ ბრძოლაში.

თავისთავად იგულისხმება, რომ არსად არც ერთი ქვეყანაში მუშა-ქალების და გლეხი-ქალების რევოლიუციონური ბრძოლა არაა გამოყოფილი მუშა-მამაკაცების და გლეხების რევოლიუციონური ბრძოლიდან. პირიქით, ეს ერთი განუყოფელია და მთლიანი ბრძოლაა კაპიტალის მონობისაგან განსათავისუფლებლად. მხოლოდ მუშა-ქალების და გლეხი-ქალების განსაკუთრებული პირობები, იმათი ორგვარი უღელი და ორგვარი სოციალური და ეკონომიური ჩაგვრა, რასაც ისინი აქამდის განიცდიან, იმათი შედარებით მამაკაც მუშებთან და გლეხებთან მეტი კულტურული ჩამორჩენა და სხვ. და სხვ., — ყოველივე ეს აუცილებლად თხოულობს მუშათა კლასის მოწინავე რაზმის—კომუნისტური პარტიის მხრით განსაკუთრებულ ყურადღების მიქცევას მუშა-ქალებისა და გლეხი-ქალების მიმართ. ეს მიზანი არსებითად უკვე მიღწეულია: მუშა-ქალები და გლეხი-ქალები ყველა ქვეყნებში დგებიან მამაკაცებთან ერთად რევოლიუციონური ბრძოლის ფერხულში კაპიტალის ბატონობის დასამხობად და სოციალიზმის განსახორციელებლად.

რა თქმა უნდა, სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად და სრულიად სხვადასხვა პირობებში ტარდება ცხოვრებაში მუშა-ქალების და გლეხი-ქალების რევოლიუციონურ მოძრაობაში ჩაბმა. ამ მხრით დღეს მსოფლიო ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთი მხარეზე დგას **საბჭოთა კავშირი** ე. ი. ის ქვეყნები, რომლებიც ამ 10—11 წლის წინედ რუსეთის მეფეთა ვეებერთელა იმპერიას შეადგენდა და რომლებიც დღეს **პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანას წარმოადგენენ.** მეორე მხარეზე კი დგანან ისევ **ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური სახელმწიფოები.** სადაც მთელი სახელმწიფო ძალაუფლება კვლავ მუშათა კლასის და მშრომელი გლეხების მყვლეფელების და მჩაგვრელების ხელში იმყოფება. საბჭოთა კავშირში **ოქტომბრის რევოლიუციის** მეოხებით მუშები და გლეხები უკვე განთავისუფლებული არიან ბურჟუაზიული უღლიდან და დღეს ისინი აწარმოებენ მუშაობას თავისი კულტურული და ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად **სოციალიზმის დამყარების გზით.** მაგრამ მუშათა კლასის განთავისუფლება იმავე დროს გულისხმობდა მუშა-ქალის და გლეხი-ქალის როგორც **სრულუფლებრივ ფაქტიურ თანასწორობას** მამაკაცთან. სრულებით სხვა მდგომარეობაა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ქვეყნებში, ე. ი. სადაც კვლავ კაპიტალის ბატონობაა. ამიტომ იქ მუშათა კლასის **უპირველეს და პირველხარისხოვან ამოცანას შეადგენს** კაპიტალის ბატონობის დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, ე. ი. მთელი სახელმწიფო ძალაუფლების მუშების და გლეხების ხელში გადასვლა, ანუ **ოქტომბრის რევოლიუციის მოხდენა.** ამნაირად ბურჟუაზიულ ქვეყნებში დღეს მუშათა კლასი იბრძვის უპირველეს ყოვლისა **პოლიტიკურ უფლებების** მოსაპოებლად, და არა იმ ცრუ ანუ ფიქტიურ უფლებებისათვის, რაც გამოიხატება ბურჟუაზიულ პარლამენტებში მონაწილეობის მიღებაში. ამიტომაც ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ქვეყნებში 8 მარტის დღესასწაულს აქვს არსებითად სულ სხვა მნიშვნელობა, ვინემ საბჭოთა ქვეყნებში. იქ ამ დღესასწაულის მნიშვნელობა გამოიხატება პირველ ყოვლისა მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის გაღრმავებასა და გაფართოვებაში ერთი მხრით და ამ მოძრაობაში რაც შეიძლება მეტი პროლეტარ-ქალების და მეტი გლეხი-ქალების ჩაბმაში, მეორე მხრით, რათა დაჩქარდეს კაპიტალისტური წესწყობილების დამხობა და კაპიტალისტური ჩაგვრა-ყვლეფის მოსპობა. მთელი ბურჟუაზიული ქვეყანა, მუქთა-ხორა ბურჟუა-კაპიტალისტების და მემამულეების მთელი ბანაკი დღეს უკვე გრძნობს თავისი დასასრულის მოახლოვებას, და ამიტომ ბურჟუაზიული მთავრობები გამუდმებით აძლიერებენ რეპრესიებს მუშათა კლასის წინააღმდეგ. ბურჟუაზიულ ქვეყნების ციხეები გავსებულია მებრძოლ მუშებით, ბევრ იმათგანს ბურჟუაზიული ჯალათები ახრჩობენ და ხვრეტენ. ბურჟუაზიულ ქვეყნებში გამუდმებით იღვრება რევოლიუციონური მუშების და გლეხების სისხლი მშრომელი მასების გასათავისუფლებლად. ასეთი მდგომარეობაა ყველა უაღრესად „კულტურულ და მოწინავე“ ქვეყნებში, როგორც, მაგ., ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, პოლონეთში, ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ ამჟამად მუშების და გლეხების ყველაზე უფრო გამწვავებული ბრძოლა როგორც შინაურ, ისე გარეშე მჩაგვრელების და მოძალადეების წინააღმდეგ სწარმოებს ჩინეთში. სიმხეცე, ველურობა და ბარბაროსობა ამაზე შორს ველარ წავა.

ასეთ პირობებში, აშკარაა, 8 მარტის დღესასწაულის ჩატარება უცხოეთში, ე. ი. ბურჟუაზიის ბატონობის ქვეყნებში, მიიღებს უდიდეს დემონსტრაციის ხასიათს ბურჟუაზიული წესწყობილების, ბურჟუაზიულ სიმხეცის და ველურობის და ბურჟუაზიული ყვლეფა-ძარცვის წინააღმდეგ. 8 მარტის დემონსტრაცია ჩატარდება იქ გაბოროტებულ და გამხეცებული ბურჟუაზიის სასტიკი რეპრესიების და სისხლიანი თეთრი ტერორის ქვეშ. მაგრამ ეს გარემოება ოდნავაც ვერ გაანელებს ბურჟუაზიულ ქვეყნების მუშა-ქალების და გლეხ-ქალების რევოლიუციონურ აღტკინებას და იმათ რევოლიუციონურ იერიშებს კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ. და ჯერ კიდევ ჩვენ არ ვიცით, თუ რაოდენი მსხვერპლი შეეწირება ბურჟუაზიული ბატონობის ტყვეობაში მყოფ მუშა-ქალების და გლეხი ქალების მხრით 8 მარტის დღესასწაულის ჩატარების დროს.

რა თქმა უნდა, სრულებით სხვა პირობებში დღესასწაულობენ **საბჭოთა ქვეყნებში 8 მარტს** ჩვენი მუშა-ქალები და გლეხი ქალები. იმათ აღარ უხდებათ ბრძოლა არც პოლიტიკურ უფლებების და არც თანასწორობის მოსაპოებლად. როგორც უკვე ვთქვით, მუშათა კლასმა ჩვენში უკვე მოიპოვა პოლიტიკური უფლებები, და იმავე დროს დააკანონა **ორივე სქესის,** როგორც **მამაკაცის, ისე დედაკაცის სრული თანასწორობა.** და თუ დღეს ჩვენში მუშა-ქალებს და გლეხ- ქალებს მაინც უხდებათ ბრძოლა, ჩვენ ვიცით, რომ ეს ბრძოლა სრულებით სხვა ხასიათისაა. ესაა ბრძოლა **მუშა-ქალის და გლეხი-ქალის ჩამორჩენილობასთან.** და დაქვეითებასთან, უკულტურობასთან და უმეცრებასთან ერთი მხრით და ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა ცხოვრებაში განსახორციელებლად მეორე მხრით. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა ხელისუფლების კანონებით ქალი უფლების მხრივ სრულიად გათანასწორებულია მამაკაცთან, რასაც რა თქმა უნდა, ადგილი არ აქვს არსად, არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, რაგინდ ის დაწინაურებული არ იყოს კულტურულად და ეკონომიურად. სამწუხაროდ, ამ კანონების გატარება ცხოვრებაში, ე. ი. მუშა-ქალის და გლეხი-ქალის გათანასწორების განხორციელება სინამდვილეში **ეჯახება მრავალ დაბრკოლებას,** ქალის საშინელ ჩამორჩენას ერთი მხრით და ძველ ტრადიციებს მეორე მხრით, რომლებიც ჯერ კიდევ მაგრად ბოჭავენ საზოგადოებრივ ცხოვრებას. თავის თავად იგულისხმება, რომ ბრძოლას ყველა ამ დაბრკოლებებთან, ჩამორჩენილობასთან, უკულტურობასთან, ტრადიციებთან, ძველ ზნე-ჩვეულებებთან და სხვადასხვა უწინარეს ყოვლისა ღებულობენ თავის თავზე კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები. შეუძლებელია აქ ყველა იმ ღონისძიებათა დასახელება, რომელთაც მიმართავენ პარტია და ხელისუფლება იმ მიზნით, რომ მუშა-ქალის და გლეხი-ქალის მამაკაცთან ფაქტიურად გათანასწორების საქმე რაც შეიძლება დაჩქარდეს. ეს ღონისძიებებია უმთავრესად **კულტურული და ეკონომიური ხასიათის.** პარტია და ხელისუფლება ზრუნავენ იმისათვის, რომ ქალები სწავლა-განათლების და შრომის პირობების მხრივ გაუთანასწორდენ მამაკაცებს, რომ მუშა-ქალები და გლეხი-ქალები მუშა-მამაკაცებთან და გლეხებთან ერთად ჩაბმულ იქნან საბჭოთა აღმშენებლობაში, რომ იმათ მიიღონ აქტიური მონაწილეობა საბჭოებში, პროფკავშირებში, კოოპერატივებში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. მაგრამ ამისათვის საჭიროა ისეთ პირობების შექმნა, რომლებიც საშუალებას მისცემენ მუშა და გლეხქალებს ფაქტიურად განახორციელონ ყოველივე ეს. ასეთი დაწესებულებებია **ქალთა სადელეგატო კრებები, კლუბები, ქალთა კუთხეები, საერთო სასადილოები, სხვადასხვა სახელოსნოები, ბაგანი, საბავშვო ბაღები და სახლები** და სხვადასხვა. ჩვენ არ ვლაპარაკობთ **ქალთა განყოფილებებზე** პარტიულ ორგანიზაციებთან და **ქალთა კომისიებზე** ცაკთან, რომლებიც საერთო ხელმძღვანელობას უწევენ ყოველივე ამას და რომლებიც ღებულობენ ზომებს ყველა ამ წამოწყებათა გასაფართოებლად. თითოეული ნაბიჯი წინ ამ მხრით თითოეული ახალი წამოწყება ამ მიმართულებით ნიშნავს მუშა-ქალის და გლეხი - ქალის ნამდვილ განთავისუფლებას ჩაგვრისა და მონური მდგომარეობისაგან. დღითი დღე და თვე და თვე ჩვენ ვანგარიშობთ თითოეულ ნაბიჯს ამ მიმართულებით, თითოეულ წამოწყებას, რომელსაც მიზნად აქვს მუშა-ქალის და გლეხი-ქალის მდგომარეობის გაუმჯობესება ფაქტიურად, და არა მარტო სიტყვით; ჩვენ ვანგარიშობთ თითოეულ მუშა-ქალს და გლეხ-ქალს, რომელიც შედის საბჭოში, პროფკავშირის ან კოოპერატივის გამგეობაში. ჩვენ ვადევნებთ თვალს იმათ მუშაობას ამ ორგანოებში. პარტია და ხელისუფლება ადევნებენ თვალს მუშა-ქალის და გლეხი-ქალის **წამოყენებას** ამა თუ იმ თანამდებობაზე იმათ დაწინაურებას.

და აი დღეს, **8 მარტს,** საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე **კომუნისტური პარტია** და **საბჭოთა ხელისუფლება უკეთებს საერთო ჯამს ამ მიხწევას,** ჩვენ ვუჩვენებთ ყველას, თუ რა გავაკეთეთ, ან რას მივახწიეთ ამ საქმეში გასული წლის განმავლობაში და რის გაკეთებას ვფიქრობთ მომავალში. ჩვენ ვამბობთ, რომ წარსული წლების განმავლობაში ბევრი გაკეთდა, მაგრამ გაუკეთებელი უფრო მეტია. განა ჩვენ უნდა დავმალოთ, ის რომ ქალი ბევრ ადგილას, განსაკუთრებით სოფლად, ჯერ კიდევ დიდ დამცირებას განიცდის, ჯერ კიდევ ბევრ ადგილას შელახულია მისი უფლებები, როგორც ადამიანის, **მუსულმანურ რაიონებს,** რომ თავი დავანებოთ, სადაც ქალი აქამდის ჩადრებშია გახვეული და მოკლებულია საშუალებას საზოგადოებაში გამოჩნდეს. საბჭოთა ხელისუფლება ვერ მოითმენს ასეთი მდგომარეობის გაგრძელებას. ან კიდევ ფშავ-ხევსურეთი, სადაც ქალი კიდევ უფრო მეტ დამცირებას და უბედურებას განიცდის. მაგრამ მიუხედავად ამისა, წარსულთან შედარებით ქალთა გათანასწორების საქმეში, მუშა-ქალების გლეხი-ქალების ამოძრავებაში და სახელმწიფო და საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმის მხრით ჩვენ, ყოველ ეჭვს გარეშე, დიდი მიხწევები გვექვს. მაგრამ ჩვენ ვეუბნებით მუშა-ქალებს და გლეხ-ქალებს: ახლა ამ საქმეს თვით თქვენ უნდა მოკიდოთ ხელი. პარტია და ხელისუფლება თქვენ გიწევენ დახმარებას, მაგრამ ახლა უკვე თქვენ გევალებათ გამოიჩინოთ აქტიობა და საქმის უნარი უნდა შეებრძოლოთ ბიუროკრატიზმს, მიიღოთ მხურვალე მონაწილეობა ჩვენი აპარატის გაუმჯობესებაში და საერთოდ მთელ ჩვენ სოციალისტურ აღმშენებლობაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ქალთა მუშაობას **სოფლად,** რადგანაც მეხუთმეტე ყრილობის შემდეგ ჩვენ გადაჭრით გადავდივართ მიწის და მიწის ნაწარმოების **კოლექტიურად დამუშავებაზე.** და აი ამ დარგში გლეხქალებს შეუძლიანთ ბევრი რამის გაკეთება. ამნაირად დაწყებულია და მიმდინარეობს მეტად დიდი მუშაობა ქალთა ფაქტიური განთავისუფლებისათვის ოქტომბრის დიადი რევოლიუციის მონაპოვართა და ამხ. ლენინის ანდერძის განსახორციელებლად. ამ მუშაობით დაინტერესებულია მთელი მშრომელი ხალხი, ყველა მუშები და ყველა გლეხები, მაგრამ განსაკუთრებით დაინტერესებული უნდა იყვნენ ამით მუშა-ქალები და გლეხი-ქალები. ამიტომაც სწორედ ეს უკანასკნელნი უნდა იყვნენ ყველაზე მეტად ერთგული დამცველნი იმ პარტიისა და იმ ხელისუფლების, რომლებიც მოწოდებული არიან აწარმოონ ეს უდიდესი მუშაობა.

8 მარტის დღესასწაულის დიადი მნიშვნელობა უნდა იგრძნოს ყველა მუშამ და გლეხმა. განსაკუთრებით კი მუშა-ქალებმა და გლეხ-ქალებმა. **8 მარტის** გამოძახილი უნდა მიწვდეს ყველა გლეხის ქოხამდე, ყველა მუშა-ქალამდე და გლეხ-ქალამდე. **მხურვალე ძმური სალამი თქვენ, დებო და დედანო!** თქვენთან ერთად მე უნდა ხმამაღლად შემოვძახო:

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს 8 მარტს!

მხურვალე ძმური სალამი ჩვენ უცხოელ ძმებს და დებს, რომლებიც იბრძვიან და იტანჯებიან ბურჟუაზიულ ქვეყნებში საუკეთესო მომავლისათვის! დეე იცოდენ, რომ მთელი ჩვენი თანაგრძნობა იმათ მხარეზეა.

ძირს კაპიტალის ბატონობა!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ფ. მახარაძე.

შეერთებულ შტატებში მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას

გენრი ფორდი აღიარებს, რომ საბჭოთა კავშირს აქვს ბრწყინვალე მომავალი

უშიშროების კომიტეტის სესიამ მიიღო საფრანგეთის პროექტი გარანტიების შესახებ

არაბეთში დაიწყო ბრძოლა ინგლისისა და არაბების ჯარებს შორის

საბჭოთა კავშირის ცნობას მოითხოვენ

ფორდი საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრეა.

ნიუ - იორკი, 6 მარტი გენრი ფორდმა, გაზეთების გაერთიანების წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა, რომ ის მომხრეა ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის. „მე ღრმად მწამს,—სთქვა ფორდმა,—საბჭოთა რუსეთის დიდი მომავალი. მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთს მოელის სიმდიდრე და აყვავება. ვფიქრობ, რომ რუსეთის კრედიტს დიდი გასავალი ექნება, ვინაიდან რუსეთის ხალხი ღირსია იმის, რომ მას ენდონ. ვფიქრობ აგრეთვე, რომ რუსეთი ღირსია ცნობის. (ადს).

კანადელ ფერმერების რეზოლიუცია.

ნიუ - იორკი. 6 მარტი. ფერმერების კავშირის კონფერენციაზე ალბერტში (კანადის პოვინცია) მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს სავაჭრო და პოლიტიკურ ურთიერთობის განახლებას საბჭოთა კავშირთან და გმობს კანადის მთავრობას, რომელმაც მიბაძა ინგლისის მაგალითს და გასწყვიტა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. (ადს).

უშიშროების კომიტეტის სესიაზე

კეშენდენის თავხედური განცხადება

ჟენევა, 6 მარტი. 5 მარტს უშიშროების კომიტეტმა უკამათოდ მიიღო საფრანგეთის თვალსაზრისის გამომხატველი რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ სასურველია ისეთი საგარანტიო ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებენ საკითხების გადაჭრას მომრიგებელი სასამართლოს წესით. რეზოლიუცია სასურველად სცნობს აგრეთვე ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოთა ურთიერთ დახმარებას. გერმანიის წინადადებები წარმოშობილ კონფლიქტების მშვიდობიანი წესით გადაჭრის საშუალებების შესახებ გაირჩევა მომავალ სესიაზე. მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც ურჩევს ყველა ქვეყნებს შეუერთდენ კონვენციის მუხლს ჰააგის მუდმივ საერთაშორისო სასამართლოს შესახებ, რაც მათთვის სავალდებულოთ გახდის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებას განსაზღვრულ საკითხებში. ინგლისის დელეგატმა **კეშენდენმა** აღნიშნა, რომ რეზოლიუციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის, მაგრამ ამავე დროს განაცხადა, რომ ინგლისი, თავისი საერთაშორისო მდგომარეობის სირთულის და თავისი საერთაშორისო ინტერესების მრავალმხრივობის გამო, არ სცნობს რეზოლიუციას თავისთვის სავალდებულოთ, თუმცა სხვა ქვეყნებს ურჩევს მიიღონ ის. კეშენდენის გულახდილ ცინიცზმმა დელეგატების სკამებზე სიცილი გამოიწვია.

დასასრულ, მიღებულ იქნა პროექტი საერთო კონვენციისა არბიტრაჟის შესახებ. ინგლისის დამოკიდებულება საარბიტრაჟო ხელშეკრულებისადმი უარყოფითია. (ადს).

ინდოეთის პრესა საბჭოთა პროექტის შესახებ.

ქაბული, 6 მარტი. ინდოეთის ნაციონალისტების ორგანო „ინდუსტან ტაიმს“ კომენტარიებს უკეთებს განიარაღების კონვენციის საბჭოთა პროექტს და სწერს.

„საბჭოთა პროექტმა აფეთქებული ყუმბარის შთაბეჭდილება დასტოვა. განიარაღების საკითხში ყველა სახელმწიფოები მალულობიას თამაშობენ. მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფომ მოჰკიდა ხელი ამ საკითხს სავსებით გულწრფელად უპატიოსნო დიპლომატიურ ხრიკებისა და ზრახვების გარეშე. ჟენევაში შეკრებილ სახელმწიფოებს რომ გულწრფელად სურდეთ მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა, საბჭოთა წინადადებები აუცილებლად უნდა ყოფილიყო მიღებული. ჟენევაში წარმოებულ მოლაპარაკების მიზანია დაფარვა იმის, რომ სახელმწიფოებს არ სურთ გაჰყვენ საბჭოთა კავშირის მიერ დასახულ გაბედულ და ნათელ გზას“. (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს სესია

ვოლდემარასი ჟენევაში მიემგზავრება.

ჟენევა, 6 მარტი. ჰოლანდიის დელეგატი ვან ბროკლანდი, რომელსაც დავალებული აქვს სასწრაფოდ მოხსენების შედგენა პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ, ლიტვის პრემიერ ვოლდემარასს მოსთხოვა ტელეგრაფით ცნობები. იუწყებიან ვოლდემარისისგან მიღებულია საპასუხო დეპეშა, რომელშიაც იტყობინება, რომ ჟენევაში ჩამოვა ამ კვირის განმავლობაში. (ადს)

სან-გოტარდის კულისებს იქით

რომი, 6 მარტი. იტალიური პრესა იუწყება, რომ ჟენევაში კულისებს იქით გაცხოველებული მოლაპარაკება სწარმოებს ერთა ლიგის საბჭოში სან - გოტარდის ინციდენტის განხილვასთან დაკავშირებით. ამ მოლაპარაკებათა მთავარი მიზანია მიაღწიონ გერმანიის თანხმობას საგამომძიებლო კომისიის დანიშვნაზე. უკანასკნელ ხანამდე იტალიური გაზეთების უმრავლესობა ფიქრობდა, რომ საკითხი სანგოტარდის ინციდენტის შესახებ მოხსნილი იქნებოდა ერთა ლიგის საბჭოს ეხლანდელი სესიის დღის წესრიგიდან, ვინაიდან ინგლისი და იტალია გადაჭრით ეწინააღმდეგებოდნენ ინციდენტის გამოძიებას. მაგრამ ეხლა იტალიური გაზეთების ცნობით, ჩემბერლენის პოზიცია შეიცვალა. ჩემბერლენს სურს რა „განამტკიცოს ერთა ლიგის პრესტიჟი“, განზრახვა აქვს დაუჭიროს მხარი მოთხოვნილებას საგამომძიებლო კომისიის დანიშვნის შესახებ, მაგრამ „ისეთი ფორმით და ისეთი რწმუნებულობით, რომ კომისიის დანიშვნა შეურაცხმყოფელი არ იყოს უნგრეთისათვის.“.

„პოპოლო და იტალია“ ამტკიცებს, რომ უნგრეთს განზრახვა აქვს ცადაჭრით გაილაშქროს კომისიის დანიშვნის წინააღმდეგ, ამასთანავე იგი განაცხადებს, რომ ეს დიდ ზიანს მიაყენებს მის პრესტიჟს, ვინაიდან საკითხი აღძრულია მცირე ანტანტის სახელმწიფოთა მიერ. (ადს).

ჟენევა, 6 მარტი. ვინაიდან ჩემბერლენმა გაილაშქრა სან-გოტარდის ინციდენტის გამო შედგენილი მოხსენების წინააღმდეგ, საკითხი ინციდენტის შესახებ განხილულ იქნება ერთა ლიგის საბჭოს დახურულ სხდომაზე. (ადს).

დაუმტკიცებელი კონვენციები

ჟენევა, 6 მარტი. ერთა ლიგის საბჭოს ღია სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ერთა ლიგის მიერ მიღებულ სხვადასხვა კონვენციების შესახებ. კამათში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მთელი რიგი ამ კონვენციებისა დღემდე არ არის დამტკიცებული არც ერთი სახელმწიფოს მიერ. საბჭომ ამის გამო მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გამოსთქვამს სურვილს, რათა დაჩქარდეს ერთა ლიგის მიერ მიღებული კონვენციების რატიფიკაცია. (ადს).

მუსოლინი ემუქრება ავსტრიას

მუსოლინის პასუხი ზეიპელს

რომი, 6 მარტი. ავსტრიის პარლამენტში ზეიპელის იმ გამოსვლასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ომის შემდეგ იტალიისათვის გადაცემულ სამხრეთ- ტიროლის გერმანელ მოსახლეობის ჩაგვრის საკითხს, მუსოლინიმ პარლამენტში წარმოსთქვა სიტყვა:

„ეხლა იტალიელები დიდი ხალხია, —დაიწყო თავისი სიტყვა მუსოლინიმ. ავსტრიელები კი —ეს მხოლოდ ავსტრიაა. მე თვით შევეკითხე ჩემს თავს—ღირს თუ არა საერთოდ პასუხის გაცემა, და ჩემთვის რომ არ მოეცა შეკითხვა ავსტრიის მთავრობის მეთაურს, მე არ მივაქცევდი ყურადღებას ავსტრიის ნაციონალური მთავრობის წევრთა ანტი-იტალიურ და ანტი-ფაშისტურ ვარჯიშობას. უნდა აღვნიშნო, რომ დღეს მე ამ საკითხს შევეხები უკანასკნელად. სინამდვილეში —საკითხი მცირერიცხოვან ნაციონალურ უმცირესობის შესახებ სამხრეთ ტიროლში არ არსებობს. ეს უმცირესობა სრულიად უმნიშვნელოა იტალიაში მცხოვრებ 42 მილიონ იტალიელთან შედარებით, ის უმნიშვნელოა აგრეთვე იმ მრავალ მილიონ გერმანელებთან შედარებით, რომლებიც ცხოვრობენ სხვა სახელმწიფოებში. ეს საკითხი რომ არსებობდეს საერთოდ, ის თავის გამოხატულებას ჰპოებდა რომელიმე სამშვიდობო ხელშეკრულებაში ან დიპლომატიურ შეთანხმებაში. მაგრამ ამას ჩვენ არ ვხედავთ. ყოველგვარი ცდა იმის შესაქმნელად, რაც არ არსებობს, უსარგებლო და უნაყოფოა. ავსტრიის პარლამენტის დეპუტატი კოლბე ლაპარაკობდა ჩაგვრის რეჟიმის შესახებ, მაგრამ მან არც ერთი მაგალითი არ მოუყვანია თავისი სიტყვების დასამტკიცებლად. ჩვენ ვიცით, რომ გერმანული ენა, ადგილობრივი ჩვეულებები და ტრადიციები არ განიცდის დევნას. ამჟამად ფაშისტური რეჟიმის 6 წლის არსებობის შემდეგ ბოლზანოში გერმანულ ენაზე გამოდის 15 გაზეთი. გამოდის პოლიტიკური, ეკონომიური, რელიგიოზური, ლიტერატურ. და სასკოლო გამოცემები. მაგრამ ჩვენს მოთმინებას ბოროტად იყენებენ. მე უკანასკნელად ვიძლევი გაფრთხილებას: თუ ბრენეროს მეორე მხარეზე არ შეწყდა ანტი-იტალიური კამპანია, აკრძალულ იქნება ყველა გამოცემები გერმანულ ენაზე. ავსტრიის ნაციონალურ საბჭოს და ზეიპელის მოულოდნელი დემონსტრაცია ხომ არ აიხსნება საერთაშორისო ხასიათის მოსაზრებებით ან განსაკუთრებული მიზეზებით? ეს დემონსტრაცია არ ყოფილა მოულოდნელი, ვინაიდან ის დაუკავშირდა იმ კამპანიის კულმინაციურ მომენტს, რომელიც სწარმოებს ომის დამთავრების შემდეგ და გაძლიერდა ბალზანოს პროვინციის შექმნის მომენტიდან. სინამდვილეში გერმანიზმმა ყვირილი ასტეხა იმიტომ, რომ გრძნობს, რომ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს ფაშისტურ იტალიის უდრეკ ნებისყოფას და სისტემატიურობას, თუ ევროპას სურს კიდევ უფრო ძლიერ დაავადმყოფდეს იმ სნეულებით, რომლიდგანაც ჩვენ განვიკურნეთ, მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით ფხიზლად ვიყვეთ და ყველა საშუალებებით დავიცვათ თავი ამ სენის გადადებისაგან, ერთა ლიგა? ჟენევა? —ტყუილი იმედებია. ჟენევის კრება რომ შევიდეს ეგრედწოდებულ ნაციონალ. „უმცირესობათა“ საკითხის ლაბირინთში, ის ვერასოდის ვერ გამოვა იქედან. და ჩვენი დღევანდელი ბრალმდებლები სამართლიანად დაიკავებდენ ბრალდებულთა ადგილებს. ეხლა დროა განვაცხადოთ, შეიძლება უკანასკნელად, რომ ყოველგვარი დემონსტრაციები ბრენეროს იქითა მხარეზე უნაყოფო და უაზროა. დროა განვაცხადოთ, რომ ყველა თავხედურ სიტყვებს, აღმაშფოთებელ ინსინუაციებს და ვულგარულ ბრალდებებს შეიძლება ექნეს მხოლოდ ის შედეგი, რომ ისინი დააჩქარებენ ფაშიზმის „ევოლიუციას“. (ადს)

მუსოლინის სიტყვის გამოძახილი

ვენა, 6 მარტი. ავსტრიის ბურჟუაზიული პრესა მეტად თავდაჭერილად უკეთებს კომენტარიებს მუსოლინის სიტყვას სამხრეთ ტიროლის შესახებ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ მუსოლინის არ უარუყვია ზეიპელის არცერთი მტკიცება და მის განცხადებაში ხედავენ სამხრეთ ტიროლში ჩაგვრის რეჟიმის კიდევ უფრო გაძლიერების მუქარას.

სოციალ- დემოკრატიული „არბეიტერ ცეიტუნგ“ სასტიკად ილაშქრებს ფაშიზმის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ მხოლოდ ფაშისტური რეჟიმის დამხობა მოუტანს სამხრეთ ტიროლს განთავისუფლებას.

პარიზი, 6 მარტი. მემარჯვენე პრესა მხურვალეთ ესალმება მუსოლინის სიტყვას, „რომლის გაბედული ტონი ალბათ არ მოეწონებათ ჟენევის ავგურებს, მაგრამ სამაგიეროთ სასარგებლოა მშვიდობიანობის საქმისათვის, რადგან გერმანიზმის განვითარება საფრთხეს უმზადებს ევროპის მშვიდობიანობას და იტალიის მთლიანობას“.

მემარცხენე პრესა მუსოლინის სიტყვაში ხედავს საფრთხეს ევროპის მშვიდობიანობისათვის და მოითხოვს, რომ საზღვარი დაედოს იტალიის ფაშიზმის თავხედურ პოლიტიკას.

სოციალისტურ „პოპიულერ“ ფიქრობს, რომ მუსოლინიმ თავისი სიტყვა ერთა ლიგის საბჭოს სესიის გახსნას დაუკავშირა ორი მიზეზით: საფრანგეთის და ლათინურ ქვეყნების კავშირის შესაქმნელად გერმანიის ერების წინააღმდეგ, და აგრეთვე იმიტომ, რომ ლიგის საბჭოს მომავალ სესიაზე დასმულია საკითხი უნგრეთში იარაღის საიდუმლოთ გადატანის შესახებ. (ადს)

პოლონეთის ახალი სეიმი

ვარშავა, 6 მარტი. მანდატების საბოლოო განაწილება ახალ სეიმში ალბათ, ასეთი იქნება: მთავრობასთან თანამშრომლობის ბლოკი—135 მანდატი, პოლონეთის სოციალისტური პარტია—63, ეროვნულ უმცირესობათა ბლოკი—56, რადიკალურ გლეხური პარტია ვიზვოლენიე—36, ეროვნული დემოკრატები—37, პიასტასა და ქრისტიანულ დემოკრატების ბლოკი—34, უკრაინის სოციალისტურ პარტიების ბლოკი—11, კომუნისტები—5, სხვადასხვა ადგილობრივი სიები—12 და სხვ

მთავრობასთან თანამშრომლობის ბლოკში, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო, შედიან პილსუდსკის მთავრობის მომხრე მრეწველები, მსხვილი მემამულეები, კონსერვატორები, გენერალიტეტის წარმომადგენლები, „ვიზვოლენიეს“ პარტიის ყოფილი მოღვაწენი, ებრაელ ვაჭართა ჯგუფები და სხვა ჯგუფები, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას.

ეროვნულ უმცირესობათა ბლოკი შესდგა უკრაინელთა, ბელორუსთა, ებრაელთა და გერმანელთა ფსევდოოპოზიციონურ ჯგუფებისაგან. სხვადა სხვა ადგილობრივ სიების მიერ მიღებულ 12 მანდატებს შორის, ორი მანდატი მიიღო მუშურ-გლეხურ მთლიანობის პლატფორმაზე მდგომმა სიამ ლოძში, 3 მანდატი მიიღო ბელორუსთა გრომადამ ნოვოგრუდკში, ზემო სილეზიაში მიღებული ერთი მანდატი უნდა ეკუთვნოდეს კომუნისტურ პლატფორმაზე მდგომ სიას, ერთი მანდატი კი-მიიღო თვით დახმარების მემარცხენე გლეხურმა ჯგუფმა ლიუბლინში.

მუშურ-გლეხური მთლიანობის № 13 სიამ ლვოვში მიიღო 4.200 ხმა. დასავლეთ უკრაინის კომპარტიის ყოფილ წევრ-რენეგატების ჯგუფმა, რომელსაც კრილიკი ხელმძღვანელობს, ლვოვში წამოაყენა სია, ამ სიამ სულ 100 ხმა შეაგროვა. არც ერთ ამ სიას მანდატი არ მიუღია, მაგრამ ის დიდი განსხვავება, რომელიც ამ ორი ჯგუფის მიერ შეგროვილ ხმებს შორისაა. ნათლად მოწმობს, თუ როგორი უმნიშვნელო გავლენით სარგებლობს ლვოვის პროლეტარიატში გამთიშველების ჯგუფი. (ადს).

სამარცხვინო ვაჭრობა

ინგლისურ რეფორმისტების თავხედური წინადადება

ლონდონი, 6 მარტი. პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ სამთამადნო მუშათა ფედერაციის ალმასკომს აცნობა, რომ ის თანახმაა მხარი დაუჭიროს სამთამადნო მუშებს ნოტინგემშირში,— სადაც მაღაროს მეპატრონეები სხვადასხვა მანევრების საშუალებით ამცირებენ სამუშაო ხელფასს,—მხოლოდ იმ პირობით, თუ ფედერაციის ალმასკომი აიძულებს კუკს შესწყვიტოს იერიშები გენერალურ საბჭოს წინააღმდეგ სამრეწველო მშვიდობიანობის პოლიტიკის საკითხში. ამასთან დაკავშირებით ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის თავმჯდომარემ გერბერტ სმიტმა მოითხოვა ფედერაციის ალმასკომის ყველა წევრებისაგან „თავი შეიკავონ გენერალური საბჭოს კრიტიკისაგან“. კუკმა დასდო პირობა, რომ „დაიცავს ფედერაციის ალმასკომის გადაწყვეტილებებს“. (ადს)

ამერიკა საპრეზიდენტო არჩევნების წინ

გრინი ვაჭრობს

ნიუ-იორკი, 6 მარტი. ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე ვილიამ გრინის განცხადებით, ფედერაციამ დაადგინა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში დაადგეს „უპარტიო ტაქტიკას“ და მხარი დაუჭიროს ყოველი პარტიის კანდიდატს, რომელიც ფედერაციის პროგრამას მიიღებს. ფედერაციის პროგრამა განსახილველად გადაეცემა „გაბატონებულ პოლიტიკურ პარტიებს“ — რესპუბლიკანურ და დემოკრატიულ პარტიებს. ფედერაცია გადაჭრით უარყოფს დამოუკიდებელ მუშათა პარტიის შექმნას. (ადს)

რეფორმისტები მხარს უჭერენ ბურჟუაზიის კანდიდატს.

ნიუ - იორკი, 6 მარტი. ნიუ-იორკის შტატის შრომის ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელიც ამერიკის შრომის ფედერაციას ემხრობა მიიღო რეზოლიუცია მხარი დაუჭიროს ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის—დემოკრატიული პარტიის წევრის სმიტის კანდიდატურას. რეზოლიუცია მოუწოდებს ყველა მუშებს მხარი დაუჭირონ სმიტს. ეს გადაწყვეტილება არ იყო მოულოდნელი, ვინაიდან ნიუ-იორკის პროფკავშირების ბიუროკრატია მჭიდროდაა დაკავშირებული პარტიის ორგანიზაციებთან.

კლარა ცეტკინის მიმართვა

საბჭოთა კავშირის განაპირა რესპუბლიკების ქალებისადმი

მშრომელო ქალებო—დებო და ამხანაგებო!

ქალთა საერთაშორისო დღეს მხურვალედ მოგესალმებით თქვენ, რომელთა სახეს ბურავს ჩადრი იმ მიზნით, რომ დაფაროს თქვენგან, თუ რამდენად ლამაზი შეიძლება ყოფილიყო თქვენი ცხოვრება, რომ თქვენ მონა ქალებიდან ქცეულიყავით თავისუფალ ადამიანებად.

8 მარტს მთელი ქვეყნის მშრომელი ქალები ირაზმებიან კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ იმ ახალ ცხოვრების შექმნისათვის საბრძოლველად, რომელიც ყველასათვის უზრუნველყოფს თავისუფლებასა და უფლებას კულტურაზე.

ამ დღეს უცხოეთის ქალთა მრავალ მილიონიანი მასები მოგმართავს თქვენ მოწოდებით: გაერთიანდით ჩვენთან! დაგვეხმარეთ ხელი შეუშალოთ მდიდართა და ხელისუფალთ, რომ თავისი ჯიბის გასასქელებლად არ გარეკონ ჩვენი ძმები, შვილები და ქმრები სასაკლაოზე იმ ხალხების ექსპლოატაციისა და ჩაგვრის მიზნით, რომლებსაც ევროპიელები ზიზღით ველურებსა და ნახევრად ველურებს უწოდებენ. დაგვეხმარეთ ხელი შეუშალოთ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ამერიკისა და იაპონიის მდიდართა და მმართველთ, რომ არ გაგზავნონ ჩინეთში გამანადგურებელი იარაღები იმ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, რომელთაც ექსპლოატაციისა და მონობისაგან განთავისუფლება სურთ!

ჩვენ უნდა შევებრძოლოთ მდიდრებსა და ხელისუფლების სათავეში მყოფთ ყველა იმ ქვეყნებში. სადაც ოქროს ბატონობა მშრომელებს მონებად ხდის, სადაც გამანადგურებელი ომი მზადდება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ მოვახმაროთ მთელი ჩვენი ნებისყოფა და მთელი ჩვენი ძალები ბრძოლას მშვიდობიანობისათვის, თავისუფლებისათვის და საბჭოთა კავშირისათვის, რომელიც ერთად ერთი სახელმწიფოა მთელ მსოფლიოში, სადაც ყველა მშრომელები თავისუფალია და სადაც ქალები სარგებლობენ სრულ თანასწორუფლებიანობით.

განაპირა რესპუბლიკების მშრომელო ქალებო, დებო და ამხანაგებო!

ჩვენ თქვენთან ერთად შევადგენთ მჭიდროთ შეკავშირებულ არმიას. საბჭოთა კავშირი თქვენი თავისუფლებისა და თქვენი თანასწორუფლებიანობის დამცველი ციხე-სიმაგრეა. თქვენი მტრები—ჩვენი მტრებია, ჩვენი მტრები—თქვენი მტრებია.

საბჭოთა კავშირის კანონები თქვენ, მონა ქალებისა და მამაკაცის კუთვნილ ნივთის მდგომარეობაში მყოფთ განიჭებთ თავისუფალ მოქალაქეთა უფლებებს.

საბჭოთა კანონები გაძლევენ თქვენ შრომის უფლებას მამაკაცის თანაბრად, საბჭოთა კანონები კრძალავენ, რომ თქვენ გაგყიდონ და გიყიდონ, როგორც ცხვარი, და გიფარავენ იმ ტანჯვა-წამებისაგან, რომელიც მოაქვს მრავალცოლიანობას. ღიაა თქვენთვის სასწავლებლები, საბჭოებში და სახალხო სასამართლოებში თქვენ შეგიძლიათ ახალი ცხოვრების შექმნა. პროფკავშირები იცავენ თქვენ შრომას, ზრუნავენ თქვენ მატერიალურ მდგომარეობაზე, ამსუბუქებენ თქვენ დედობრივ მზრუნველობასა და ოჯახურ ჭირ-ვარამს. პროფკავშირები გინერგავენ შეგნებას, რომ თქვენ და ყველა მშრომელებს ერთგვარი ინტერესები გაქვთ.

საკავშირო კომპარტია წარმოადგენს თქვენს ერთგულ მრჩეველს, დამცველსა და ბელადს.

მრავალი ათასი წლის განმავლობაში თქვენ პირველად გახდით საკუთარი ბედის ბატონპატრონი. ცარიზმს შეგნებულად ჰყავდით თქვენ სიბნელეში და ის ხელს უწყობდა განაპირა ქვეყნების ჩამორჩენილობას, რათა გაეადვილებია განაპირა ქვეყნებში მოსახლე ერების ექსპლოატაცია. მხოლოდ წითელმა ოქტომბერმა მოგიტანათ თქვენ თავისუფლება.

საბჭოთა კავშირის განაპირა რესპუბლიკების მშრომელო ქალებო!

თქვენი დები მთელს მსოფლიოში სიხარულით ესალმებიან წითელ ოქტომბრის იმ უდიდეს მონაპოვართ, რომელიც თქვენ გაქვთ. ამჟამად თქვენ უნდა მიაქციოთ ყურადღება თქვენ შინაურ მტრებს. ესენია: ეგოიზმი, უხეშობა, მამაკაცების ბატონური მისწრაფებები ძველი „სალვთო“ მოვალეობანი, ჩვეულებები და ცრუმორწმუნეობა, ხოჯების სიცრუე და იმათი ოინბაზობა, რომელთათვისაც ხელსაყრელია თქვენი დამონება და ექსპლოატაცია.

ძვირფასო დებო!

ჩვენ ვგრძნობთ თქვენთან ერთად, თუ რა მძიმეა თქვენი ბრძოლა და რა დიდი მსხვერპლის გაღება გიხდებათ თქვენ. მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ თქვენი მისწრაფება თავისუფლებისადმი, თქვენი სურვილი გახდეთ კაცობრიობის თავისუფალი და კულტურული წარმომადგენლები, უფრო ძლიერია, ვიდრე ყველა მტრული ცდები. ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ გაიმარჯვებთ.

8 მარტს ხადემონსტრაციოთ გამოსული მშრომელი ქალები მოგესალმებათ თქვენ, თავის დებს, რომელთაც მოიცილეთ ფარაჯა და ჩადრა, ამით თქვენ დაამტკიცეთ, რომ თავისუფლებისა და უფლებისათვის ბრძოლაში თქვენი ნებისყოფა მტკიცეა როგორც ფოლადი, თქვენი სული თავისუფალია და თქვენი გული მამაცი. მშრომელი ქალები მოუწოდებენ თქვენი წრიდან იმათ, რომლებიც ჯერ კიდევ მორიდებით გაურბიან ახალ ცხოვრებას, შეუერთდენ თავის მოწინავე დებს. მიბაძეთ მათ მამაცურ მაგალითს. მშრომელი ქალები მიმართავენ მძინარეთ მოწოდებით:

„გაიღვიძეთ, თქვენ შეგიძლიათ განთავისუფლდეთ მონობიდან თუ ამას მოინდომებთ და დაიწყებთ მუშაობას ამ მიმართულებით.

წინ სოციალისტური საზოგადოების გიგანტურ მშენებლობისაკენ: წინ ყველა, ვისაც სურს თავისუფლებისა და კულტურის მზის ქვეშ ადგილის მოპოება. წინ შემჭიდროებული რიგებით!

ექსპლოატაციისა და საკუთრების ქვეყნებში მცხოვრებო მშრომელო ქალებო, შეებრძოლეთ იმ ძალებს, რომლებიც თქვენ გჩაგრავენ. წინ განმანთავისუფლებელ რევოლიუციისაკენ!

საბჭოთა კავშირის განაპირა სახელმწიფოების მშრომელო ქალებო!

ძლევამოსილ რევოლიუციის ქვეყნის ყველა მშრომელებთან ერთად წინ სოციალისტური აღმშენებლობისაკენ!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის განაპირა რესპუბლიკების მშრომელ ქალების კავშირს მათ დებთან—ყველა ქვეყნის მოწინავე რევოლიუციონერ ქალებთან!

გაუმარჯოს მშრომელ ქალის საერთაშორისო კომუნისტურ დღეს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, რომელიც სოციალისტურ საზოგადოებას ქმნის!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

კლარა ცეტკინი.

საბჭოთა კავშირი უერთდება

ოქმს ქიმიური ომის აკრძალვის შესახებ

მოსკოვი, 7 მარტი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დამტკიცებულ იქნას აქტი, რომლის ძალით საბჭოთა მთავრობა უერთდება 1925 წ. 17 ივნისს დადებულ ოქმს, რომელიც კრძალავს მხრჩოლავი, მომწამველი და სხვა ამგვარი გაზებისა და ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა გამოყენებას ომში.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს დავალებული აქვს სარატიფიკაციო სიგელის ჩაბარების დროს განაცხადოს, რომ ეს ოქმი საბჭოთა მთავრობისათვის სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომელთაც დაამტკიცეს ოქმი ან საბოლოოდ შეუერთდენ მას, და რომ ოქმი სავალდებულო აღარ იქნება საბჭოთა მთავრობისათვის ყოველი მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მიმართ, რომლის შეიარაღებული ძალები, და აგრეთვე რომლის ფორმალური ან ფაქტიური მოკავშირენი არ გაუწევენ ანგარიშს ამ პროექტით გათვალისწინებულ აკრძალვას. (ადს).

საბერძნეთის პრესის ანტისაბჭოთა კამპანია

ინგლისის და საბერძნეთის ინტრიგები

ათინა, 6 მარტი. ათინის პრესა კამპანიას აწარმოებს საბჭოთა დელეგაციის პოზიციის წინააღმდეგ საბერძნეთ - საბჭოთა სავაჭრო მოლაპარაკებაში.

გაზეთი „კატიმერინი“ სწერს: „საბჭოთა მთავრობა უარს აცხადებს განსაზღვრული საიმპორტო კონტინგენტის დაწესებაზე საბერძნეთის საქონლისათვის. ამავე დროს საბჭოთა მთავრობამ სათანადო ვალდებულებანი იკისრა ყველა იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებთანაც დასდო სავაჭრო ხელშეკრულებანი. საბერძნეთის საქონლის განსაზღვრული კონტინგენტის ამ პროგრამაში შეუტანლად, საქონლის შეზიდვა საბჭოთა კავშირში შეუძლებელია. ეხლა საბჭოთა საქონლის შეზიდვა საბერძნეთში გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე საბერძნეთის საქონლის შეტანა საბჭოთა კავშირში. თუ საბჭოთა დელეგაცია გააგრძელებს თავის მანევრებს, მაშინ, ცნობების მიხედვით, საბერძნეთის მთავრობას განზრახვა აქვს გაუქმებულად გამოაცხადოს საბჭოთა კავშირთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება“.

გაზეთი „ესტია“ სწერს: „საბერძნეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს არ შეუძლია დაუშვას, რომ საბჭოთა კავშირმა თავისი საქონელი შეიტანოს საბერძნეთში და საბერძნეთს კი არ შეეძლოს საქონლის შეტანა საბჭოთა კავშირში. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა ათინაში თავისი მაღალი ინტელექტუალური თვისებებით ანგარიში უნდა მისცენ თავის თავს იმაში, რომ დიპლომატიური ურთიერთობის შენარჩუნება საბჭოთა კავშირთან არც ისე სასურველია საბერძნეთისათვის“.

მოსკოვი, 7 მარტი. საბჭოთა წარმომადგენლობა საბერძნეთში უარჰყოფს საბერძნეთის პრესის ყალბ ხმებს. ათინის პრესის გამოსვლების გამო საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს საქმის მცოდნე წრეებში აცნობებს შემდეგი: „ათინის პრესა სცდილობს, რომ ყალბი წარმოდგენის შექმნით საბჭოთა მთავრობის პოზიციის შესახებ იმოქმედოს საბერძნეთის საზოგადოებრივ აზრზე, რომლისთვისაც სავსებით გაუგებარი იქნებოდა მოლაპარაკების ისეთი შედეგით დამთავრება, რომლის შესახებაც აშკარად ლაპარაკობენ „კატიმერინი“ და „ესტია“. საბჭოთა მთავრობა სრულებითაც არ ფიქრობს საბერძნეთს მისცეს ვაჭრობის ნაკლებ ხელსაყრელი პირობები, ვიდრე დასავლეთ - ევროპის სხვა სახელმწიფოებს, და სრულიად არ არის მართალი მტკიცება იმისა, რომ ვითომც ყველა ჩვენს სავაჭრო ხელშეკრულებაში მეორე შემთანხმებელ მხარეს ეძლევა განსაზღვრული საიმპორტო კონტინგენტი. სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან არა ნაკლებ სასარგებლოა საბერძნეთისათვის, ვიდრე საბჭოთა კავშირისათვის. თუ იმპორტისა და ექსპორტის შეფარდება ისეთია, რომ საბჭოთა ექსპორტი აღემატება იმპორტს, ეს იმას ნიშნავს, რომ საბერძნეთი მომხმარებელი სასარგებლოდ სთვლის იყიდოს საბჭოთა საქონელი, ამ საქონლის კარგი ხარისხისა და დაბალი ფასის გამო. ასეთი შეფარდება არსებობდა, სხვათა შორის, ომამდეც საბერძნეთ - რუსეთის ვაჭრობაში. „ესტია“-ს მტკიცება, რომ „დიპლომატიური ურთიერთობის შენარჩუნება საბჭოთა კავშირთან არც ისე სასურველია საბერძნეთისათვის“-ო, აშკარად ატარებს გარეგანი ინტრიგების ხასიათს. საბჭოთა კავშირს, პირიქით, შეუძლია დასვას საკითხი: არსებობს თუ არა საბჭოთა კავშირის და საბერძნეთს შორის ისეთი წინააღმდეგობა, რომელიც აბრკოლებდეს ურთიერთობას ამ ორი ქვეყნის შორის? პასუხი, უეჭველად უარყოფითი იქნება. ინგლისის ინტრიგები საბერძნეთში — აი რა ქმნის საფრთხეს ნორმალური ურთიერთობისათვის საბერძნეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, და აი, რა აიძულებს ზოგიერთ წრეებს დაუსაბუთებელი მტრული გამოსვლები მოახდინონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ საბჭოთა საზოგადოებრივ აზრს ეჭვი არ შეაქვს იმაში, რომ ინტრიგები საბერძნეთ - საბჭოთა ურთიერთობის ირგვლივ, რომელიც საზიანოა როგორც საბერძნეთის ფართო მასების ინტერესებისათვის, ისე საბჭოთა კავშირის ინტერესებისათვის, სავსებით იქნება გამომჟღავნებული“ (ადს).

ომი არაბეთში

ლონდონი, 6 მარტი. „ტაიმს“-ის ცნობით, იმამ იახიას (არაბეთის ნახევარ კუნძულის სამხრეთ -აღმოსავლეთში მდებარე არაბთა სახელმწიფო—იემენის მეთაური) ჯარები თავს დაესხნენ „ინგლისის მფარველობის ქვეშ მყოფ“ არაბთა ორ შეიხს და ტყვედ წამოიყვანეს ორივე შეიხი. ამ თავდასხმის საპასუხოდ ინგლისის ჰაეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს კატაბუს და იემენს. (ადს)

მუშების დაპატიმრება

ვენა, 6 მარტი. ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ პოლიციამ დააპატიმრა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის მდივანი ცვიკელი, ცეკას წევრი მ. ხეილ საბი და 20 ახალგაზრდა მუშა, რომლებიც პოლიციის მტკიცებით, იმავე პარტიას ეკუთვნიან. (ადს)

ინგლის-სპარსეთის ურთიერთობა

ბახრეინის კუნძულების დაპყრობის გარშემო

თეირანი, 6 მარტი. სპარსეთის გაზეთები ათავსებენ რეიტერის სააგენტოს ცნობას ინგლისის მიერ ბახრეინის კუნძულების შესახებ სპარსეთისათვის გაგზავნილ ნოტაზე და სასტიკად აკრიტიკებენ ამ ნოტას (ინგლისის ნოტა უარყოფს სპარსეთის მთავრობის მოთხოვნილებას, ბახრეინის კუნძულებზე სპარსეთის სუვერენიტეტის აღიარებას, სპარსეთის სუვერენიტეტის აღიარების შესახებ და აცხადებს, რომ ინგლისის მთავრობა დამოუკიდებელ მმართველად სცნობს ბახრეინის შეიხს, რომელიც იმყოფება ინგლისის პროტექტორატის ქვეშ).

განცხადება, რომელიც ზედმეტი იქნებოდა, რომ ქვეყანაზე უფრო ცოტა იყოს სულელები

ფრანგულ გაზეთ „ავენირ“-ში მსხვილი სათაურით და ქვესათაურებით დაბეჭდილია „ბუხარინის წერილი“ („სენსაციური დოკუმენტი“), რომელიც გადმობეჭდილია „რევიუ უნივერსელ“-იდან. ეხლა ეს „სენსაციური დოკუმენტი“, ავსილი ყოველგვარი სისულელით, ჭორებით, მისტიური პრეტენზიებით და ობივატელური მოსაზრებებით, იბეჭდება გერმანულ პრესაშიც.

კიდევ უფრო ადრე, ერთი წლის წინად, მე ის ვნახე დაბეჭდილი და ისევ ჩემი სახელის მოწერით ერთ დიდ ამერიკულ ჟურნალში, ყველაზე უფრო სასაცილო ის არის, რომ მთელი ეს გიჟური სისულელე, რომელიც შეიცავს ლენინის მიერ ბოლშევიზმის, პარტიის ხელმძღვანელობის და სხვ. კონტრ-რევოლიუციონურ შეფასებას, პირველად გამოშვებულ იქნა გერმანიაში ამ სისულელის ნამდვილ ავტორის ნახევრად ნორმალურ კაცის და მენშევიკის, ვინმე ბრიტანის, ნამდვილი გვარით. ეს ბრიტანი, თუ არ ვცდები, გაძევებულ იქნა მოსკოვიდან. მე არასოდეს არ მქონია არც „პატივი“ და არც „ბედნიერება“ მეხილა ის პირადად. მან, როგორც სჩანს წარმოიდგინა თავი ბელეტრისტად და დასწერა თავისი ძლიერ უფერული პასკვილი ბოლშევიკებზე. ეს პასკვილი ჩვეულებრივ მენშევიკურ პასკვილებიდან იმდენად განსხვავდება, რამდენადაც ბრიტანი მთელი მისი ინდივიდუალობით განსხვავდება ნორმალურ ტიპის მენშევიკისაგან. ეხლა როგორც პუანკარეს „მშვენიერ საფრანგეთის“, ისე ჰინდენბურგის სოლდაფონურ რესპუბლიკის ბულვარულ, მოსყიდულ, გარყვნილ პრესას საჭიროდ მიაჩნია (აშკარაა, არჩევნების წინ) გამოიყენოს ეს სულელური „სენსაცია“ და ბრიტანის (შეიძლება იგივე ბრიტანულ) ფაბრიკატებს დასძენს ყალბ ალტაცებას „კომუნისტურ ბელადის ალსარების“, „პირველი რანგის ფსიქოლოგიურ დოკუმენტის“, „ბუხარინის სტილის“ გამო და სხვ...

ვიღაც ცოტაოდნად მაინც იცნობს ჩვენს ურთიერთობას, ის თავიდანვე დაინახავს, რომ ის ხალხი, რომელიც იყენებს ამ დოკუმენტს, შეიძლება გაიყოს ორ კატეგორიად: შარლატანებათ და სულელებათ. შარლატანს სურს ამ სიყალბეში ნახოს „პატარა სასარგებლო საქმე“, სულელები კი უჯერიან შარლატანებს, რომლებიც აბრიყვებენ მათ. თუმცა მაკდონალდი უკვე რამოდენიმე წლის განმავლობაში ბრწყინვალედ ამტკიცებს თავისი პირადი მამაცური მაგალითით, რომ შეიძლება ორივე ამ კატეგორიის გაერთიანება. რაც შეეხება თვით ბრიტანს, მას შეუძლია მოსთხოვოს ჰონორარი სამ სახელმწიფოს მაინც: ამერიკას, საფრანგეთს, გერმანიას, და მალე ალბათ, სხვებსაც. შესაძლებელია ამ ჰონორარებმა ხელი შეუწყოს „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-ის და მის მონათესავე, დემოკრატიულ სუნის, გამოცემების შემდგომ აყვავებას, ბურჟუაზიულ ჯიბეებიდან საქონლის საყოველთაო ეკვივალენტის სათანადოდ გაულებლად.

მე დიდხანს არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი ამ „დოკუმენტ“-ის გამოჩენას. მაგრამ, როდესაც ის კიდევ და კიდევ გამოაჩინეს და მას თან შოჰყვა ბურჟუაზიულ მეგაზეთეების და ჩასუქებულ მედუქნეების ალტაცებული ტაში, მე საბოლოოდ მივედი იმ დასკვნამდე, რომ შარლატანები და სულელები უფრო ბევრია, ვიდრე მე ვფიქრობდი. სწორედ ჩემი ასეთი დასკვნის გაზიარება გადავწყვიტე მკითხველებისათვის ამ წერილში.

ნ. ბუხარინი.

„პრავდა“, 7 მარტი.

ბრძოლა ჩინეთში

ჩრდილოელების დამარცხება

პეკინი, 6 მარტი. აქ მიღებულ ცნობების თანახმად, **დამინის მახლობლად** (მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი ჩჟილის პროვინციის სამხრეთით) **მუკდენის ჯარების ნაწილებზე სასტიკი იერიში მიიტანეს ფინ-იუ-სიანის ჯარებმა და უკან დაახევიეს მათ პეკინ-ხანკოუს რკ. გზებისაკენ, დამინიდან 65 კილომეტრის მანძილზე.** (ადს).

საბაჟო ავტონომიის კომიტეტი.

პეკინი, 6 მარტი. გამოქვეყნდა პეკინის მთავრობის დეკრეტი ჩინეთის საბაჟო ავტონომიის საქმეების კომიტეტის დაარსების შესახებ. დეკრეტში აღნიშნულია, რომ კომიტეტის მთავარი ამოცანაა ჩინეთის საბაჟო ავტონომიის განხორციელების მომზადება 1929 წლის 1 იანვრისათვის (ადს).

კომუნისტების „შტაბის“ დარბევა.

შანხაი, 6 მარტი. ნანკინის მთავრობის აგენტის ცნობით, ნანკინში აღმოაჩინეს არალეგალურ კომუნისტურ ორგანიზაციის „შტაბი“. დაპატიმრებულია ორი კომუნისტი. სააგენტოს სიტყვით, პოლიციას ხელში ჩაუვარდა აუარებელი კომუნისტური ლიტერატურა. (ადს).

ჩან - კაი - შის ტერორი.

შანხაი, 6 მარტი. გაზეთ „შუნბაო“-ს ცნობით ჩან-კაი-შიმ გასცა ბრძანება, რომელიც კრძალავს იმ პირთა განთავისუფლებას, რომლებიც დაპატიმრებულია ჩინეთის კომპარტიასთან ურთიერთობისათვის. (ადს).

იტალიური გაფიცვა.

პეკინი, 6 მარტი. მუკდენის არსენალის 5.000 მუშა ადმინისტრაციის ცუდი მოპყრობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ატარებს იტალიურ გაფიცვას. (ადს).

კომუნისტური მოძრაობა არ სცხრება.

ნიუ - იორკი, 6 მარტი. „ასოშეიტედ პრესის“ კანტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ კომუნისტების **მუშაობის გაძლიერებამ კანტონის მთავრობა აიძულა გაეწვია გიულიდან 25.000 ჯარისკაცი კომუნისტებისაგან კანტონის დაცვის მიზნით. მთავრობის ჯარები რცხვით სჭარბობს კომუნისტურ ჯარებს, მაგრამ უკანასკნელნი კარგად არიან მოწყობილნი და მშვენივრად აქვთ დაყენებული დაზვერვის საქმე, რის გამო მთავრობის სამხედრო ოპერაციები მეტად ძნელ პირობებში სწარმოებს. (ადს).**

ტერორი ხარბინში.

პეკინი, 7 მარტი. ხარბინის პოლიციამ ხარბინის პროფკავშირთა საბჭოსაგან მოითხოვა ხელწერილი, რომ ის შესწყვეტს საწევრო გადასახადის აკრეფას. დააპატიმრეს და გაჩხრიკეს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის რამოდენიმე მოსამსახურე. ერთი კვირით დაიხურა გაზეთი „ნოვოსტი ჟიზნი“, რომელიც საბჭოთა პლატფორმაზე სდგას. გაზეთი დახურეს შენიშვნისათვის, რომელშიაც ლაპარაკი იყო დაიანის კურსის დაცემისა და პეხის კურსის გადიდების შესახებ. ეს ცნობა მოთავსებული იყო ყველა დანარჩენ გაზეთებში.

დაიხურა გამოფენა ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 6 მარტი. უცხოეთთან კულტურული კავშირის გამოფენა ნიუ იორკში პირველი ორი კვირის განმავლობაში ინახულა 70.000 კაცმა. პირველი კვირის განმავლობაში გაიყიდა შინა-მრეწველობის მთელი განყოფილება. პრესა დადებითად აფასებს გამოფენას და ათავსებს მრავალ ილიუსტრაციას გამოფენის შესახებ. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ გამოფენა მოწმობს საბჭოთა მრეწველობის დიდ მიღწევებს. გამოფენა დაიხურა. (ადს)

უკანასკნელი ცნობები

ბოლდუინი მოცდას არჩევს

ლონდონი, 7 მარტი. თემთა პალატის დღევანდელ სხდომაზე მუშათა პარტიის დეპუტატი მეკსტონი შეეკითხა პრემიერს: დანიშნავს თუ არა იგი კომისიას იმის გამოსაძიებლად, თუ როგორ მოხდა, რომ საიდუმლო და კონფიდენციალური დოკუმენტი, რომელიც ეცნობა სამხედრო სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და გარეშე საქმეთა სამინისტროს და რომელიც ცნობილია „ზინოვიევის წერილის“ სახელწოდებით, ეს დოკუმენტი 1294 წლის 24 ოქტომბერს ჩაუვარდა ხელში გაზეთების რედაქციებს?

ბოლდუინმა უპასუხა, რომ მისი აზრით უკეთესია მოუცადონ კამათს იმ კომისიის მოხსენების ირგვლივ, რომელმაც გამოიძია გრეგორის და სხვათა საქმე. (ადს).

განიარაღების ახალი დასაყრდენი

ბერლინი, 7 მარტი. პოლიტიკური წრეები ესალმებიან საბჭოთა მთავრობის წინადადებას იმის შესახებ, რომ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნას ოსმალეთი. პოლიტიკური წრეების აზრით, ოსმალეთის დელეგატების დასწრება განიარაღების კომისიის სესიაზე „ახალ დასაყრდენს მისცემს განიარაღების ტენდენციებს“ და გამოამჟღავნებს იმას, რომ სახელმწიფოებს არ სურთ განიარაღება. (ადს).

მწარმოებლებმა ლოკაუტი გამოუცხადეს კიდევ 15.000 მუშას

ბერლინი, 7 მარტი. დღეს ლოკაუტი გამოუცხადეს სიმენსის ელექტროტეხნიკური კომპანიის კიდევ 15.000 მუშას. საერთოდ ლოკაუტი გამოცხადებული აქვს სიმენსის კომპანიის 60.000 მუშას, ლოკაუტი წარმოადგენს პასუხს ბერლინის მელითონეთა გაფიცვაზე და მიზნად აქვს ზეგავლენა მოახდინოს იმ მოლაპარაკებაზე, რომელიც დღეს დაიწყება მწარმოებლებსა და მუშებს წარმომადგენლებს შორის.

ბერლინი, 7 მარტი. სიმენსის კომპანიის 15.000 მუშისათვის ლოკაუტის გამოცხადების შემდეგ მუშაობა შესწყვიტა ბერლინის ლითონის მრეწველთა კავშირის ყველა 5 წარმოებამ, რომლებშიაც გაფიცვა არის გამოცხადებული. (ადს).

დუბროვის კომბინატის ცეცხლის წამკიდებელთა საქმე

მოსკოვი, 7 მარტი. 5-7 მარტს საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ განიხილა მენშიკოვის, ვარტიაინენის, მაიროვის და ტიმოფეევს საქმე, რომელთაც ბრალად ედებოდათ დუბროვის კომბინატის დაწვა კონტრ-რევოლიუციონური მიზნით. ყველა ბრალდებულთ მიუსაჯეს დახვრეტა ამნისტიის შეუფარდებლად.

სასამართლომ გამოარკვია, რომ 1926 წლის გაზაფხულზე ლენინგრადში ფინეთიდან ჩამოვიდა დუბროვის კომბინატის ყოფილი მოსამსახურე ბუტენგოფი, რომელსაც განზრახული ჰქონდა დუბროვის კომბინატის დაწვის მოწყობა საბჭოთა ქაღალდის მრეწველობის დასუსტების მიზნით. ბუტენგოფმა მიმართა თავის ყოფილ მოსამსახურეებს ტიმოფეევს და მაიოროვს, რომელთაც იგი იცნობდა როგორც ანტისაბჭოთა ელემენტებს და წინადადება მისცა მოეწყოთ კომბინატის დაწვა, რისთვისაც იგი შეჰპირდა მათ ჯილდოს და ფინეთში გაქცევის საშუალებას.

ტიმოფეევმა და მაიოროვმა თავის მხრივ 1926 წ. მაისში კომბინატში მომუშავე მენშიკოვს და ვარტიაინენს მისცეს წინადადება დაეწვათ კომბინატი. ეს უკანასკნელი პირნი არალეგალურად დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირში ემიგრაციიდან და კავშირი ჰქონდათ ფინეთის ფაშისტურ ორგანიზაციასთან. 1926 წ. 2 ივლისს მენშიკოვმა და ვარტიაინენმა სისრულეში მოიყვანეს განზრახული ბოროტმოქმედება. ხანძარით გამოწვეული ზარალი უდრიდა 1,5 მილიონ მანეთს. მენშიკოვი არის ფინეთის რესპუბლიკის მოქალაქე. ჩარლი ბუტენგოფი მიიმალა (ადს).

ამხ. მილიუტინი—ცენტრ. სტატ. სამმართველოს მმართველი

მოსკოვი, 7 მარტი. საბჭოთა კავშირის პრეზიდიუმის ცაკმა დაადგინა გაანთავისუფლოს ამხ. ოსანსკი საბჭოთა კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველობის მოვალეობისაგან; ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველად დაინიშნოს ამხ. ვლადიმერ პავლესძე მილიუტინი. (ადს).

ვოლდემარასი პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების შესახებ

კოვნო, 6 მარტი პოლონეთის პრესის წარმომდგენლებთან საუბარში ლიტვის პრემიერმა ვალდემარასმა პოლონეთ-ლიტვის მომავალი მოლაპარაკების შესახებ განაცხადა:

„ნორმალური მოლაპარაკება პოლონეთთან შესაძლოა მხოლოდ ვილნოს საკითხის გადაწყვეტის შემდეგ. საეჭვოა, რომ ერთა ლიგას საბჭომ კვლავ განიხილოს პოლონეთ-ლიტვის საკითხი, მაგრამ რა არსებობს იმის გარანტია, რომ პოლონეთი ერთ მშვენიერ დღეს არ შექმნის ომის საფრთხეს“.

დასასრულ ვოლდემარასმა განაცხადა, რომ პოლონეთთან მოლაპარაკების დროს ის თვითონ იქნება ლიტვის დელეგაციის მეთაური. (ადს).

უმუშევრობა ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 6 მარტი. ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატების სენატის სხდომაზე სენატორი ვაგნერი (დემოკრატიული პარტიის წევრი) გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც ამხილა კულიჯის განცხადება ჩრ.-ამერიკის „აყვავების შესახებ“. ვაგნერმა აღნიშნა, რომ **კულიჯის მტკიცება ეწინააღმდეგება შრომის სამინისტროს ინფორმაციას, რომელიც მოწმობს უმუშევრობის ზრდასა და დეპრესიას.** ვაგნერი მოითხოვდა. რომ მთავრობას გამოეკვლია უმუშევრობის საკითხი. გამწვავებულ დებატების შემდეგ სენატმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც ავალებს შრომის სამინისტროს გამოიკვლიოს უმუშევრობის საკითხი. (ადს).

რეპრესიები დემონსტრანტების წინააღმდეგ

ანგორა, 6 მარტი. ბაღდადიდან მიღებული ცნობით, იქ გრძელდება გაძლიერებული რეპრესიები იმ დემონსტრაციის მონაწილეთა წინააღმდეგ, რომელიც ნაციონალისტებმა მოაწყვეს ინგლისელ მრეწველის და კონსერვატორ დეპუტატ ალფრედ მონდის ბაღდადში ყოფნის დროს. რეპრესიების წინააღმეგ პროტესტის ნიშნად შესდგა ახალი დემონსტრაციები. ამის საპასუხოდ მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რომლითაც სასტიკად აკრძალულია ყოველგვარი დემონსტრაციები და კრებები. აკრძალულია ნაციონალისტურ გაზეთების გამოცემა. უმაღლეს სასწავლებლებიდან გამორიცხეს 20 სტუდენტი, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ დემონსტრაციაში.

საბჭოთა კავშირში

პლეხანოვის გარდაცვალების ათი წლისთავი

ტამბოვი, 7 მარტი. მოეწყო კომისია პლეხანოვის გარდაცვალების ათი წლისთავის ჩასატარებლად. ლიპეცკში, სადაც პლეხანოვი დაიბადა, და აგრეთვე ლიპეცკის მაზრაში განზრახულია პლეხანოვის სახელობის მთელი რიგი კულტურული დაწესებულებების და მათ შორის ახალი სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნა. ლიპეცკში ჩავიდნენ დეიჩი და მისი მეუღლე, რომლებიც პლეხანოვის გარდაცვალების ათი წლისთავის ჩამტარებელ მოსკოვის კომიტეტის წევრებია. (ადს).

კოციოს მკვლელის შუამდგომლობა უარყოფილია

ხარკოვი, 7 მარტი. უკრაინის ცენტრ. აღმასრულებელმა კომიტეტმა უარჰყო იტალიის ვიცე-კონსულ (ოდესაში) კოციოს მკვლელის დობროვოლსკის შუამდგომლობა პატიების შესახებ. (ადს).

შრომის დროშის ორდენით დაჯილდოვება

ხარკოვი, 7 მარტი. უკრაინის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა სტალინის კომბინატის ცენტრალურ მაღაროს მუშა ვორობიოვი ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის დააჯილდოვოს შრომის წითელი დროშის ორდენით. (ადს).

დეკაბრისტ კახოვსკის შვილისშვილები

სმოლენსკი, 7 მარტი. ვიაზემსკის მაზრის პიატნიცკის თემში ცხოვრობენ დეკაბრისტ კახოვსკის შვილისშვილები—ნატალია და მიხეილ კახოვსკები, რომლებიც დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიან. გადაწყდა კახოვსკის შვილისშვილებს დაენიშნოს პერსონალური პენსია. (ადს).

სრ. საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა

მეორე დღე

სრულიად საქართველოს მწერლობის მეორე ყრილობის მეორე სხდომა გაიხსნა გრიგოლ რობაქიძის თავმჯდომარეობით.

კამათი ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გარშემო

კამათი კულტურულ რევოლიუციისა და საბჭოთა ამოცანების შესახებ დაიწყო ამხ ბ. ბუაჩიძის სიტყვით.

ბ. ბუაჩიძე

(საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაცია)

საკითხი წარსული კულტურული მემკვიდრეობის მიღების შესახებ, — ამბობს ამხ. ბუაჩიძე, — საქ. პროლეტარულ მწერლობისათვის უკვე გამორკვეულია. ჩვენ ვიღებთ წარსულ კულტურას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ იგი გადმოვგვქონდეს მთლიანად. წარსული კულტურიდან ჩვენ გადმოგვაქვს ის, რაც გამოადგება პროლეტარიატს მის აღმშენებლობაში. წარსულ მემკვიდრეობის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ სდგას ეხლა, როცა დაიწყო კულტურულ რევოლიუციის პერიოდი, როცა ჩვენ წინაშე წამოიჭრა ცხოვრების გარდაქმნის ამოცანა. მწერლობა მოწოდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ კულტურულ მშენებლობაში და ემოციონალური ზეგავლენით ხელი შეუწყოს ჩვენი ყოფა-ცხოვრების გარდაქმნას, ცხადია, ამ დანიშნულებას მწერლობა შეასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი იღებს რევოლიუციას, თუ კი მისთვის ახლოა ის ამოცანები, რომელიც რევოლიუციის მიერ არის წამოყენებული ამ მხრით, თუ შევხედავთ ქართული მწერლობის ევოლიუციას. შევვიძლია დავადასტუროთ ის ფაქტი, რომ რევოლიუციის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მწერალთა — ე. წ. თანამგზავრთა კადრი თანდათან ძლიერდება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში არ არსებობდენ მწერლები, რომელნიც არ უპირდაპირდებოდენ თავის შემოქმედებით რევოლიუციას. მიზეზი ამ გარემოების ის არის, რომ სულიერი გარდაქმნა მწერლისა ძალიან ძნელი საქმეა. ამ სულიერის უძრაობის საფუძველი წარსულ სოციალურ ურთიერთობაში მარხია, ესა თუ ის მწერალი, როგორც მოქალაქე, შეიძლება თანაუგრძნობდეს რევოლიუციას, მაგრამ, როგორც შემოქმედი ვერ გამოსახავდეს რევოლიუციის თვალსაზრისს. ეს სულიერი გაორება ახასიათებს ქართული მწერლობის თითქმის ყველა დაჯგუფებებს. შედარებით უფრო გარკვეულ გზას ადგია მწერალთა ჯგუფი — ქემარცხენეობა, რომელიც უფრო და უფრო თავს აღწევს ამ გაორებას და უახლოვდება თანამედროვეობას.

არ. ჭუმბაძე

(ქართული აკადემიური მწერლობა)

როგორც პირველ, ისე მეორე ყრილობას თან დაჰყვა ერთგვარი გულახდილობა, რომელმაც გაადვილა ურთიერთ გაგება და ხელი შეუწყო მწერლობის ხელისუფლებასთან დაახლოებას. გამოირკვა, რომ ხელისუფლებასა და ქართულ მწერლობის შორის სადაო არაფერი ყოფილა და ქართული მწერლობა, რომელსაც აქვს საუკეთესო ტრადიციები, ამოქმედდა ქართველი ხალხის სასარგებლოდ. კერძოდ, აკადემიურ ჯგუფის მწერლობა შეეცადა შეძლებისდაგვარად შეეტანა თავისი წვლილი კულტურულ აღმშენებლობაში. თუ ყველაფერი ის, რაც პირველ ყრილობაზე იყო განზრახული, არ გაკეთდა. ეს იმიტომ, რომ ამისათვის წლებია საჭირო. სამუშაო შემდეგისათვისაც ბევრია და ქართული აკადემიური მწერლობა გასწევს შესაფერ ღვაწლს. ამავე დროს საჭიროა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ქართული მწერლობის გამოყენებას ამა თუ იმ საქმეზე. არის კულტურულ მუშაობის მთელი რიგი დარგები, სადაც ქართველ მწერალს დიდი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია. საქართველოს აკადემიურმა მწერლობამ საკმაოდ მოძარჯვებულათ იხმარა მწერლის იარაღი, მან გამოიჩინა ახალი ცხოვრების ალღოს აღების და ჩაჭიდომით უნარი, რომელიც მას თანდათან იზამს ჩვენი ქვეყნის ყოველ დღიურ მშენებლობაში.

ბას. ჟღენტი

(მემარცხენეობის ჯგუფი)

საქართველოს მწერალთა პირველ და მეორე ყრილობის შორის არის მსგავსება და ამავე დროს განსხვავება. თუ პირველ ჩვენ ყრილობას უმთავრესად პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა მიმდინარე ყრილობის წინაშე სდგას უმთავრესად სპეციფიური ლიტერატურულ-კულტურული პრობლემა, ყრილობამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი თუ რა [illegible] უნდა მიიღოს ქართველმა მწერლობამ მიმდინარე მშენებლობაში, კულტურულ რევოლიუციაში.

კულტურული რევოლიუცია ეს არის კულტურის შინაგანი გარდაქმნა მისი ძირეული რეკონსტრუქცია.

თუ საკითხს დავაყენებთ პოლიტიკური თვალსაზრისით, — ვეკითხავთ, არსებობს თუ არა დაჯგუფება, რომელიც თავისთავს რევოლიუციას უპირდაპირებდეს, მაშინ მართალი იქნება პასუხი, რომ ასეთი დაჯგუფება არ არსებობს. მაგრამ თუ [illegible] იმ თვალსაზრისით, თუ რა ხერხებით ფიქრობს ესა თუ ის ლიტერატურული ჯგუფი ახალი კულტურის შენებას, მაშინ, ცხადია არსებობენ ერთი მხრით ისეთი ჯგუფები, რომელნიც ცდილობენ თავიანთ შემოქმედება გააგრძონ ძველი ფორმებით, ძველი ტრადიციებით და, მეორე მხრივ, ჯგუფები, რომელთაც ახალი კულტურული მშენებლობა ვერ წარმოუდგენიათ ახალი ფორმების გამოყენების გარეშე. არავის არ უარუყვია წარსული ლიტერატურული მემკვიდრეობა. მაგრამ, როცა მოითხოვენ, რომ ჩვენ ვისწავლოთ და აღვიზარდოთ წარსულ ფორმებზე და ტრადიციებზე, ეს დიდი შეუსაბამობაა, რადგან ახალი კულტურის შექმნა არ შეიძლება ძველი ტრადიციების, ძველი ხერხების საშუალებით.

ჩვენი თანამედროვეობა მრავალ მასალას იძლევა შემოქმედებისათვის. თემის გამონახვა ძნელი არ არის, მაგრამ ძნელია მისი გადაცემა ახალ ფორმებში. როგორ უნდა დამუშავდეს მასალა, — აი ის საკითხი, რომლის გარშემო სწარმოებს ბრძოლა ქართულ მწერლების დაჯგუფებათა შორის. ეს ბრძოლა კულტურული რევოლიუც. ერთი დამახასიათებელი მოვლენათაგანია, რომელსაც სჭირია ხელის შეწყობა და დახმარება. პარტიის დადგენილების თანახმად, საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ ყველა ჯგუფებისათვის უნდა შეიქმნეს ერთნაირი პირობები მეტოქეობისათვის, რომ ამ საშუალებით გამოინახოს ახალი გზები კულტურული შემოქმედებისა.

პაოლო იაშვილი

(ცისფერი ყანწების ჯგუფი)

შემცდარია ის გავრცელებული შეხედულება, თითქოს ე. წ. ტეხნიკური ინტელიგენცია უფრო ადრე ამოუდგა გვერდში ხელისუფლებას, ვიდრე ქართველი მწერლობა. საქმე ის არის, რომ ტეხნიკური ინტელიგენციის მუშაობის საკითხი ისეთია, რომ უფრო ადვილია მისი შრომის გამოყენება. მაგალითად, რომელიმე ინჟინერი ადვილად გამოიყენებს ლოგარითმს, რომელიმე ხიდის ასაგებად, მაგრამ ასე ადვილად ვერ მოიმარჯვებს კალამს მწერალი ლექსის, თუ სხვა მხატვრული ნაწარმოების დასაწერად, რადგან ეს არის სულიერი შემოქმედების სფერო. სულიერი შემოქმედებისთვის აუცილებელია სათანადო მორალური ატმოსფერა. ხელისუფლებას არ დაუზოგავს ძალ-ღონე ნივთიერი პირობების და ამ სულიერი ატმოსფეროს შესაქმნელად. მაგრამ ამ მხრივ ბევრი რამ არის ჯერ კიდევ გასაკეთებელი. ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას ესაჭიროება მტკიცე —ავტორიტეტული ხელმძღვანელობა, რომელიც უნდა იკისროს კომუნისტურმა პარტიამ.

მეორე სხდომაზე კამათი არ დამთავრებულა.

საერთაშორისო პედაგოგიური გამოფენა

განათლების სახალხო კომისარიატმა მიიღო მისაწვევი ბარათი საერთაშორისო პედაგოგიურ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებათ. კონფერენცია გაიხსნება ლეიპციგში.

ამავე კონფერენციასთან გაიხსნება საერთაშორისო პედაგოგიური გამოფენა. კონფერენციასა და გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა სახელმწიფოები და საბჭოთა კავშირში, შემავალი რესპუბლიკები.

განათლების კომისარიატი უკვე შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას გამოფენაზე მასალების გასაგზავნათ.

გამოფენაზე საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებს დაეთმობათ ცალკე განყოფილება „საბჭოთა კავშირის შრომის სკოლები“-ს სახელწოდებით. საბჭოთა განყოფილებაში უმთავრესად წარმოდგენილი იქნება საბჭოთა კავშირის შრომის სკოლების მიღწევები და მათი დღევანდელი მდგომარეობის დამახასიათებელი ნიმუშები. სახალხო განათლების სხვა დარგები წარმოდგენილი იქნება როგორც დამატებითი მასალა.

საქართველოს განათლ. სახ. კომისარიატი საქართველოს შრომის სკოლების და განათლების სხვა დარგების შესახებ ყოველგვარ მასალას, გადაუგზავნის განათლების მუშაკთა ცენტრალურ კომიტეტს მოსკოვში, საიდანაც გამოფენის ადგილზე გადაიგზავნება საბჭოთა კავშირში დაგროვილი ყველა მასალები.

საბჭოთა განყოფილებას ექნება შემდეგი კუთხეები: საგანმანათლებლო პოლიტიკა და სახალხო განათლების სისტემა, განათლების საქმის მატერიალური მხარე, საქმეთა მმართველობა, განათლების მუშაკთა მდგომარეობა, სასკოლო ქსელი, შრომის სკოლის ცალკე ტიპები, შრომის სკოლების მუშაობის ხასიათი, დეფექტურ მუშათა აღზრდა ბავშვთა დაცვა, სასკოლო ჰასაკამდე აღზრდა და სხვ.

სასწავლო წიგნის ევოლიუცია, გამომცემლობის მუშაობა, ეროვნულ უმცირესობათა ლიტერატურა, საბავშვო ლიტერატურა, პიონერთა პრესა და პიონერთა მოძრაობა, პედაგოგიური ლიტერატურა და პრესა, სამეცნიერო ორგანიზაციების მონაწილეობა სასწავლო წიგნის შექმნაში და სხ.

პედაგოგიური კონფერენცია და გამოფენა გაიხსნება 7 აპრილს.

მენშევიკურ „ცეკას“ ყოფ. თავმჯდომარის განცხადება

სიტყვები და ილიუზიები იღუპება ფაქტები რჩება.
პისარევი.

„თუ ყუთიდან გადმობნეული სტამბის შრიფტი ერთბაშად ილიადად აეწყო, მე არ შემიძლია ეს უბრალო შემთხვევად ჩავთვალო, აქ მე ვხედავ გეგმას“-ო, განაცხადა პლეხანოვმა ერთ - ერთ თავის გენიალურ სიტყვაში.

რუსეთის სინამდვილესთან შეფარდებით ეს ფრაზა შეიძლება შეიცვალოს შემდეგნაირად: თუ საბჭოთა ხელისუფლება, ათი წლის განმავლობაში, გასაოცარი სიმედგრით აცამტვერებს შინაურ კონტრ - რევოლიუციისა და გარეშე იმპერიალისტურ ძალების ყველა მახინაციებს, აქ უსათუოდ სჩანს გარდაუვალი კანონი ყოვლის შემძლე ისტორიისა, რომელიც წარმოადგენს სოციალ - პოლიტიკურ ურთიერთობათა ძველ, დრომოჭმულ ფორმების მესაფლავეს.

ოქტომბრის რევოლიუციამ ახალი მიჯნა დასდო მსოფლიო ისტორიაში ბრძოლა, რომელიც სწარმოებს საბჭოთა კავშირსა და ბურჟუაზიულ მსოფლიოს შორის თავისი შინაარსით არის ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის, ბრძოლა, რომელიც ავსებს მიმდინარე ეპოქის უკანასკნელ ათწლეულს და წარმოადგენს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის შესავალს.

ამ ტიტანიურ ბრძოლაში ყველა მშრომელნი, ყველა გულწრფელი რევოლიუციონერები და პატიოსანი მოქალაქენი, აუცილებლად უნდა იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. რომელიც მოწოდებულია ისტორიის მიერ გაუადვილოს თანამედროვე კაცობრიობას გადასვლა ბრმა აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლებისა და შრომის სამეფოში.

ჰეგელის მიხედვით — ყოველივე არსებული გონივრულია, ყოველივე გონივრული — რეალურია. საბჭოთა ხელისუფლების არსებობა გონივრულია იმ მხრივ, რომ ეს ხელისუფლება წარმოადგენს მომავალ საზოგადოების ჩანასახს. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი ამ „ჩანასახის“ ნორმალურ განვითარებას და დავიცვათ იგი ყოველგვარ თავდასხმებისაგან შინაურ კონტრ - რევოლიუციის და გარეშე იმპერიალისტურ ძალების მხრივ.

მეორე ინტერნაციონალი უძლური აღმოჩნდა მუშათა მსოფლიო მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის. მეორე ინტერნაციონალის ბელადები გადაიქცნენ მსოფლიო ბურჟუაზიის მოციქულებად. კლასობრივ ბრძოლის მაგიერ ისინი ჰქადაგებენ კლასობრივ სოლიდარობას, სოციალურ - რევოლიუციის მაგიერ — სოციალურ მშვიდობიანობას. ამით აიხსნება პროლეტარულ ძალების მასიური ჩამოშორება მეორე ინტერნაციონალისაგან; ამით აიხსნება შეგნებულ მუშათა მასიურივე გადასვლა კომინტერნის მხარეზე.

მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთ რაზმს წარმოადგენს „საქართველოს მენშევიკური პარტიაც!, რომელიც უკვე დაადგა პოლიტიკურ და მორალურ გახრწნის აშკარ გზას. მოვლენათა ლოღიკა სულ უფრო და უფრო იტაცებს მებრძოლ მენშევიზმის ლიდერებს ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციისაკენ. მათ ვერ გაიგეს ეპოქის სული და ულმობელი ბრძოლა გამოუცხადეს პროლეტარულ რევოლიუციის ყველა მონაპოვარს.

საბჭოთა კავშირის დამარცხება მისდამი მტრულად განწყობილ ძალებთან ბრძოლაში აუცილებლად გამოიწვევდა აურაცხელ უბედურებას მთელ მსოფლიოს მშრომელთათვის. მსოფლიო რეაქციის შეუკავებელი ტალღა წალეკავს ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიას. შავი რეაქცია ცეცხლითა და მახვილით გადაივლის მთელ ჩვენ თავისუფალ ქვეყანაზე. მდინარეებად დაიღვრება უდანაშაულო სისხლი. განადგურდება ყველა სოციალისტური პარტიები. დაიღუპება ერთად - ერთი მუშურ - გლეხური ხელისუფლება. ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართაგან ქვალიც კი აღარ დარჩება. მუშათა საერთაშორისო მოძრაობა უკან დაიწევს მთელი საუკუნით.

ამ მრისხანე მოვლენის გათვალისწინების გამო ჩვენი ქვეყნის ყველა ცოცხალი შემოქმედებითი ძალები მთლიანად უნდა იქნეს მიმართული საბჭოთა კავშირის ბრძოლის უნარიანობის გადიდებისაკენ. ამას მოითხოვს ჩვენგან ჩვენი რევოლიუციონური მოვალეობის შეგნება. ამას მოელიან ჩვენგან მშრომელთა და ჩაგრულთა მილიონები. სხვა გამოსავალი არ არსებობს.

სოციალურმა ბრძოლამ არ იცის ლმობიერება. ძალადობა ყოველთვის ასამაშობდა ისტორიაში ბებია - ქალის როლს, როდესაც ძველი საზოგადოების წიაღიდან იბადება ახალი წყობილება. იქიდან, რაც დარჩა ღირებულების მქონე ბურჟუაზიულ მსოფლიოს ნამსხვრევებში — ჩვენ უნდა ავაგოთ მომავლის სახელმწიფო. საქართველოს ისტორიული განვითარება არ ხდება პარიზის ემიგრაციის ჯიუტთა მითითებით, საქართველომ უკვე შესდგა ფეხი კულტურულ და ეკონომიურ აღორძინების ახალ ხანაში. ჩვენ თვალწინ სწარმოებს საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ფორმების გიგანტური შემოქმედება. „დემოკრატიზმი“ სავსებით განწირულია ისტორიის მიერ. საბჭოთა სისტემა წარმოადგენს სახელმწიფო მართვა - გამგეობის ერთად - ერთ ფორმას. საქართველოს კულტურული და ეკონომიური აღორძინება სავსებით არის უზრუნველყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში. პროლეტარიატის პოლიტიკურ და სამეურნეო ხელმძღვანელობის გარეშე შეუძლებელია მომავლის სახელმწიფოს აღმშენებლობა. „დასავლეთ ევროპაზე“ ორიენტაცია ეწინააღმდეგება საქართველოს საარსებო ინტერესებს. იმედის დამყარებას შინაურ და გარეშე გართულებაზე აუცილებლად მოჰყვება საბედისწერო შედეგები.

ყოველგვარი არალეგალური მუშაობა უსარგებლოა და დამღუპველი. ის იწვევს აურაცხელ მსხვერპლს, იტაცებს ჩვენს ახალგაზრდობას პოლიტიკური ავანტიურის საშიშარ და მოლიპულ გზაზე, სწყვეტს მშვიდობიან მოსახლეობას ნაყოფიერ მუშაობიდან, ძირს უთხრის საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობას.

უნდა გამოეცხადოს მედგარი იდეოლოგიური ბრძოლა მებრძოლ მენშევიზმს. უნდა გამოაშკარავდეს ფართო მასების წინაშე მუშებისა და გლეხების ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული არალეგალურ მუშაობის მთელი დამღუპველობა. კმარა სიგიჟე. კმარა პოლიტიკური ავანტიურა; დროა გონს მოსვლა და ხელის აღება დამღუპველ ბრძოლაზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება გადასვლა საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ფორმების შემოქმედებაზე და გაბედული მსვლელობა დიად მისწრაფებათა გზაზე.

კ. ა. სვანიძე.

P. S. 1927 წლის სექტემბრიდან ჩემი დაპატიმრების დღემდე, ე. ი. 1927 წლის 12 ოქტომბრამდე მე ვიყავი საქართველოს სოციალ - დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცეკას თავმჯდომარედ.

კ. ა სვანიძე.

6 მარტი, 1928 წ.—ქ. თბილისი.

დეპუტატის ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე და მისი ვადამდე გამოწვევის უფლება

„... ეს აპარატი (საბჭოები. შ. მ.) ქმნის კავშირს მასებთან, ხალხის უმრავლესობასთან, იმდენად მჭიდროს, განუყრელს, ადვილად შესამოწმებელს და განსაახლებელს, რომ არავითარი ა [illegible] ავსი არ იყო წინანდელ სახელმწიფო აპარატში“. (ლენინი: შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალა-უფლებას. ტ. XIV, ნაწ. II, გ. 229).

დეპუტატთა ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე და დეპუტატების ვადამდე გამოწვევის უფლება, რომელსაც აწესებს საბჭოთა კონსტიტუცია, სავსებით ანსხვავებს მას ყველა ბურჟუაზიული-პროლეტარული სახელმწიფოების კონსტიტუციებისაგან.

კაპიტალისტური სახელმწიფო თავის ამოცანად ისახავს პარლამენტის გადაქცევას მასებისაგან მოწყვეტილ, ამომრჩეველთაგან მოშორებულ ინსტიტუტად. ბურჟუაზია პარლამენტის გადაქცევას ცარიელ, სალაყბო ორგანოდ აღწევს იმით, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას ანცალკავებს საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან და ქმნის ისეთ პირობებს, რომელნიც ყველაზე უფრო უწყობენ ხელს დეპუტატის-პარლამენტის წევრის მოწყვეტას თავის ამომრჩეველთაგან.

დეპუტატის მოწყვეტას მის ამომრჩეველ მასებისგან ბურჟუაზიულ სახელმწიფოში აღწევენ შემდეგი საშუალებებით: ა) აწესებენ დეპუტატის რწმუნებულებათა ხანგრძლივ ვადას; ბ) აწესებენ ისეთ პრინციპს, რომლის ძალით დეპუტატი უპასუხისმგებლოა ამომრჩეველთა წინაშე, გ) დეპუტატებს უკრძალავენ თავისმოქმედებაში იხელმძღვანელონ ამომრჩეველთა ინსტრუქციებით და დ) ამომრჩეველთ არ აძლევენ უფლებას ვადამდე გამოიწვიონ თავისი დეპუტატი.

პროლეტარული სახელმწიფო სრულიად საწინააღმდეგო ამოცანებს ისახავს. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მას მჭიდრო, განუყრელი კავშირი აქვს მშრომელ მასებთან. საბჭოები არის კლასიური დიქტატურის მასიური ორგანოები, რომლებშიაც მოქცეულია როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლება.

„საბჭოთა ხელისუფლება მშრომელი მასებისათვის უზრუნველყოფს გაცილებით მეტ შესაძლებლობასიმისა, რომ დეპუტატების არჩევნები და გამოწვევა მოხდეს მუშებისათვის მეტად ადვილი და მისაწვდომი საშუალებით; საბჭოთა ხელისუფლება ამავე დროს სპობს პარლამენტარიზმის უარყოფით მხარეებს, განსაკუთრებით საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დაყოფას, წარმომადგენლობითი დაწესებულებათა მოწყვეტას მასებისაგან და სხ.

„პარტიის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მთელი მუშაობა აწარმოოს ამ მიმართულებით, შეეცადოს ხელისუფლების ორგანოებს კიდევ უფრო დაახლოებას მშრომელ მასებთან იმ ნიადაგზე. რომ ამ მასებმა სულ უფრო და უფრო მტკიცედ და სულ უფრო სავსებით განახორციელონ პრაქტიკულად დემოკრატიზმი, განსაკუთრებით თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის და ანგარიშგების გატარებით“ (საკავშირო კომპარტიის (ბ) პროგრამიდან).

საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების დაახლოებას მასებთან ვაღწევთ შემდეგი გზით:

1) ჩვენ ვაწესებთ დეპუტატების რწმუნებულთა ხანმოკლე ვადას (ერთი წელი);

2) ჩვენ ვაწესებთ დეპუტატების პასუხისმგებლობას და ანგარიშგებას ამომრჩეველთა წინაშე;

3) ამომრჩეველს ვანიჭებთ უფლებას, რომ ყოველ დროს გამოიწვიოს თავისი დეპუტატი და მის მაგივრად აირჩიოს სხვა.

დეპუტატების რწმუნებულებათა ვადები კაპიტალისტურ სახელმწიფოებში გაცილებით უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ჩვენში. ასე, მაგალითად, პოლონეთის სეიმის დეპუტატთა რწმუნებულების ვადა—ხუთი წელია. გერმანიის რეიხსტაგის და ავსტრიის ეროვნული საბჭოს დეპუტატთა ვადა—ოთხი წელია, ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების სენატის დეპუტატთა რწმუნებულების ვადა—ექვსი წელია და სხ.

ცხადია, რომ დეპუტატის რწმუნებულებათა ასეთი ხანგრძლივი ვადა ხელს უწყობს პარლამენტების დეპუტატების მოწყვეტას ამომრჩეველთაგან.

ჩვენი კანონმდებლობა დიდ ყურადღებას აქცევს იმას, რომ საბჭოების დეპუტატთა ანგარიშგება და პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე ნამდვილად გატარდეს ცხოვრებაში.

საბჭოთა ხელისუფლების შემდგომი განმტკიცების მიზნით ს. ს. რ. კავშირის საბჭოთა მე-8 ყრილობა აუცილებლად სთვლის „ნორმად იქნას შემოღებული საბჭოების წევრთა რეგულიარული ანგარიშების წარდგენა ამომრჩეველთა წინაშე, ამანგარიშების ფართოდ განხილვა ამომრჩეველთა მიერ“, რომ საბჭოს ყოველი წევრი თავის უმთავრეს მოვალეობად სთვლიდეს „ანგარიშის რეგულიარულად წარდგენას თავის ამომრჩეველთა წინაშე და ისეთ მჭიდრო კავშირის დამყარებას მათთან, რომელიც უზრუნველჰყოფს იმას, რომ მუშურ გლეხური მასები სავსებით გაეცნონ როგორც საბჭოების მთელ მუშაობას, ისე იმას, თუ რა გვარი მონაწილეობა უნდა მიიღონ მათ საბჭოების მუშაობაში შენიშნულ ამა თუ იმ ნაკლულოვანებათა გამოსწორების საქმეში“.

საბჭოების დეპუტატთა პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე საბჭოთა კანონმდებლობა მხედველობაში აქვს არა მარტო პოლიტიკური პასუხისმგებლობა საერთოდ, არამედ პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა გარკვეულ კონკრეტული ამოცანების შესრულებაში. მაგალითად, დეპუტატს ეკისრება პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესის (ნაკაზის) შესრულებაში.

პრაქტიკით დაწესებულია ისეთი ჩვეულება, რომ ამომრჩევლები თავის დეპუტატებს აძლევენ წერილობით განაწესებს, რომლითაც დეპუტატებმა უნდა იხელმძღვანელონ თავის მოქმედებაში.

ამ ჩვეულებას კანონის ძალა ენიჭება. ცაკის დირექტივები საარჩევნო კამპანიის მოწყობის შესახებ შეიცავს მითითებას განაწესების პროექტების შედგენისა და დამუშავების შესახებ, ცაკის პრეზიდიუმის ცირკულიარი საარჩევნო კამპანიის შესახებ (1928 წ. თებერვალი) ამბობს, რომ საბჭოების ანგარიშები უნდა შეიცავდეს ჩატარებული მუშაობის განხილვას, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების თვალსაზრისით“, საბჭოთა კავშ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ამბობს, რომ დეპუტატი გამოწვეულ უნდა იქნას „იმ შემთხვევაში, თუ არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს მუშაობა ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესის შესრულებისათვის“ და სხ.

ეგრედ წოდებული „დემოკრატიული“ ქვეყნების კანონებით, დეპუტატები უპასუხისმგებლონი არიან ამომრჩეველთა წინაშე, ისინი პასუხს აგებენ მხოლოდ თავისი სინდისის წინაშე და შეზღუდული არ არიან მანდატებით (გერმანიის სახელმწიფოს კონსტიტუცია, გვ. 21).

„ნაციონალური და საკავშირო საბჭოების წევრები თავისი თანამდებობის ასრულების დროს არ არიან შეზღუდული არავითარი ინსტრუქციებით“ (საკავშირო კონსტიტუცია, ავსტრიის კანონი, გვ. 56).

„დეპუტატები არიან მთელი ხალხის წარმომადგენელნი და არ შეიძლება იქნან შეზღუდული ამომრჩეველთა რაიმე ინსტრუქციებით“ (პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხ. 20).

საქ. ს. ს. ს. რესპუბლიკის დებულება ქალაქისა და სათემო საბჭოების შესახებ სპეციალურ თავებს უძღვნის იმ საკითხებს, თუ როგორი წესით უნდა სწარმოებდეს საბჭოების დეპუტატთა ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე. ქალაქის საბჭოების შესახებ არსებული დებულების თანახმად, „ქალაქის საბჭოს წევრები ვალდებული არიან რეგულიარულად, ერთხელ მაინც ყოველ ექვს თვეში საბჭოს მუშაობისა და საბჭოში თავის მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინონ თავის ამომრჩეველთ კრებებზე, რომლებიც სპეციალურად უნდა იქნას მოწვეული ანგარიშის მოსმენისა და განხილვისათვის“, გვ. 79). „მშრომელთათვის მნიშვნელოვან საკითხებზე მოხსენებისათვის მოწვეულ უნდა იქნას ამომრჩეველთა რიგს გარეშე კრებები“, (გვ. 80).

„ასეთი საანგარიშო კრებების მოწვევის გარდა საბჭოს წევრები ამომრჩეველთა ყოველი კრებით (საერთო კრებები დაწესებულებებსა და წარმოებებში, დიასახლისთა რაიონული კრებები და სხ.) სარგებლობენ იმისათვის, რომ თავის ამომრჩეველთ გააცნონ საბჭოს მუშაობა, განიხილონ მათთან ერთად საბჭოს, მისი სექციებისა და კომისიების წინაშე მდგომი მნიშვნელოვანი საკითხები, რომ მიიღონ ამომრჩეველთა მითითებანი ნაკლულოვანებათა და მუშაობის გაუმჯობესებების ზომების შესახებ“. (გვ. 83).

გარდა ამისა, „საბჭოს ყოველი წევრი ვალდებულია ამომრჩეველთა მოთხოვნით წარუდგინოს მათ ანგარიში საბჭოში თავისი მუშაობის შესახებ“, (დებულება სათემო საბჭოების შესახებ. გვ. 81).

ჩვენი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს იმას, თუ რამდენ ამომრჩეველს შეუძლია მოითხოვოს ამომრჩეველთა კრების მოწვევა დეპუტატის ანგარიშის მოსასმენად, არ განსაზღვრავს აგრეთვე იმას, თუ როგორ უნდა განახორციელოს ტეხნიკურად ამომრჩეველთა ჯგუფმა დეპუტატისაგან ანგარიშის მოთხოვნის უფლება. ასეთი ნორმების დაწესება სასურველად უნდა იქნას ცნობილი.

იმისათვის, რომ ამომრჩეველთ მიეცეთ სა[illegible], რომ საანგარიშო კრებას, დებულება ქალაქის საბჭოების შესახებ ამბობს, რომ „ანგარიშის წარდგენის დროსა და ადგილის შესახებ ამომრჩეველთ უნდა ეცნობოს არა უგვიანეს სამი დღისა დანიშნულ ვადამდე“ (მუხ. 81).

ამომრჩეველთა სავალდებულო რაოდენობა, რომელიც უნდა დაესწროს კრებებს იმისათვის, რომ იგი ჩაითვალოს კანონიერად, ქალაქებისა და სოფლის ადგილებისათვის სხვადასხვაგვარია. სათემო საბჭოების შესახებ არსებული დებულების თანახმად ამომრჩეველთა კრება კანონიერად ითვლება, თუ ამ კრებას ესწრება ამომრჩეველთა ერთი მესამედზე არა ნაკლები. ქალაქის საბჭოების შესახებ არსებული დებულების თანახმად „ამომრჩეველთა კრება კანონიერად ითვლება, თუ მას ესწრება ამა თუ იმ საარჩევნო ერთეულის ამომრჩეველთა ნახევარზე არა ნაკლები“. (მუხ. 82).

„იმ შემთხვევაში, თუ კრებაზე არ გამოცხადდა ამომრჩეველთა აღნიშნული რაოდენობა, პირველი კრების შემდეგ არა უადრეს სამი დღის განმავლობაში ინიშნება მეორე კრება, რომელიც კანონიერად ითვლება რამდენი ამომრჩეველიც არ უნდა გამოცხადდეს“ (მუხ. 82). სათემო საბჭოების შესახებ არსებული დებულების მიხედვით ამომრჩეველთა კრება უკანონო იქნება ყოველ ისეთ შემთხვევაში, თუ კრებას არ დაესწრო ამომრჩეველთა ერთი მესამედზე არა ნაკლები, მიუხედავად იმისა, თუ მერამდენეჯერ იქნება მოწვეული კრება. ამიტომ ამ მხრივ სოფლის ადგილებისათვისაც უნდა იქნას შემოღებული ქალაქებისათვის არსებული წესი.

რატომ აწესებს ჩვენი კანონმდებლობა ასეთ ნორმას, რომ ამომრჩეველთა კრების კანონიერად ცნობისათვის ქალაქებში მას ამომრჩეველთა უფრო მეტი რაოდენობა უნდა დაესწროს, ვიდრე სოფლებში? საარჩევნო კრებების პრაქტიკამ უკანასკნელი წლების განმავლობაში გვიჩვენა, რომ ამომრჩეველთა კრებებზე დამსწრეთა პროცენტი ქალაქებში უფრო მეტია, ვიდრე სოფლებში.

საარჩევნო კრებებზე დამსწრეთა პროცენტი ქალაქებში 1927 წ. საშუალოდ უდრიდა არა ნაკლებ 50 პროცენტს.

საარჩევნო ინსტრუქცია როგორც ქალაქისათვის, ისე სოფლისათვის აწესებს ერთ ნორმას იმისათვის, რომ დეპუტატების ასარჩევად მოწვეული ამომრჩეველთა კრება (საარჩევნო კრება) ჩაითვალოს კანონიერად—კრებას უნდა დაესწროს ამა თუ იმ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის არა ნაკლებ 35 პროც. (მუხ. 47).

ლოღიკა მოითხოვს, რომ როგორც საანგარიშო, ისე საარჩევნო კრებებისათვის დაწესებულ იქნას კრებაზე დამსწრე ამომრჩეველთა რაოდენობის ერთი და იგივე ნორმა.

ამიტომ საარჩევნო ინსტრუქცია ამ ნაწილში შეთანხმებულ უნდა იქნას ქალაქის საბჭოების შესახებ არსებულ დებულებასთან, მხოლოდ იმ ვარაუდით, რომ საარჩევნო კრება უკანონოდ უნდა იქნას ცნობილი ყოველთვის, როცა მას დაესწრება კანონით დაწესებულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის მინიმუმზე ნაკლები, მიუხედავად იმისა, მოწვეულია ეს კრება პირველად, მეორედ, ან რამოდენიმეჯერ. ეს აუცილებელია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დეპუტატის არჩევა შეიძლება მოხდეს ამომრჩეველთა ძალიან დიდი ნაწილის მონაწილეობის მიუღებლად. ასეთი წესს ამყარებს მომქმედი კანონმდებლობა.

გაბატონებული ბურჟუაზია სცდილობს თავისი სახელმწიფო ინსტიტუტების კლასიური ხასიათი დაფაროს ხალხოსნობის პრინციპის გარეგანი ფორმით—„დეპუტატები არიან მთელი ხალხის წარმომადგენელნი“-ო. პარლამენტის დეპუტატებს, რომელნიც არჩეული არიან ტერიტორიალურ ოლქებში, თავისი ინტერესებით სხვადასხვაგვარი წოდებრივი, კლასობრივი და სხ. ჯგუფების მონაწილეობით, არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ წარმოადგინონ ყველა თავის ამომრჩეველთა ინტერესები, რამდენადაც ამ ამომრჩევლებს არ აქვთ საერთო ინტერესები.

პარლამენტის წევრი, რომელიც ვითომც არის თავისი ოლქის მუშის და ფაბრიკანტის, გლეხის და მიწადმფლობელის წარმომადგენელი, ნამდვილად არის ეკონომიურად და პოლიტიკურად გაბატონებული, თავის ამომრჩეველთა თუმცა მცირერიცხოვანი ნაწილის წარმომადგენელი.

„საბჭოთა სახელმწიფო აპარატს აახლოებს მასებთან აგრეთვე იმით, რომ საარჩევნო ერთეულად და სახელმწიფოს ძირითადი უჯრედად ხდება.არა ტერიტორიალური ოლქი, არამედ საწარმოო ერთეული (ფაბრიკა, ქარხანა)“ (საკავშირო კომპარტიის (ბ) პროგრამიდან). მხოლოდ საარჩევნო ერთეულების ამგვარი დანაწილებით, როცა ეს ერთეულები აერთიანებენ საერთო ინტერესებით შეკავშირებულ პირთა ჯგუფებს, შესაძლებელია ამომრჩეველთა ინტერესების ნამდვილი წარმომადგენლობა.

საბჭოთა საარჩევნო ერთეულების საორგანიზაციო სქემა შექმნილია თვით ცხოვრების მიერ რევოლიუციონური ბრძოლის პროცესში. ქალაქის საბჭოების წარმოშობისთანავე ამ საბჭოების დეპუტატებს ირჩევდენ ფაბრიკებიდან, ქარხნებიდან, პოლკებიდან, ბატალიონებიდან და სხ. საბჭოები სოფლებში და სხვა დასახლებულ პუნქტებში შეიქმნა დეპუტატთა არჩევით მშრომელი გლეხების მიერ. ამგვარად, საბჭოთა საარჩევნო ერთეულს საფუძვლად დაედო პროფესიონალურ-საწარმოო და ტერიტორიალურ-საწარმოო პრინციპები.

ეს პრინციპები თავის გამოხატულებას კანონმდებლობაში პოულობს ამგვარი სახით.

„ქალაქებში საარჩევნო კრებები ეწყობა საწარმოო და პროფესიონალური ერთეულების მიხედვით (წარმოებებში, დაწესებულებებში და პროფესიონალურ კავშირებში).

მოქალაქენი, რომელნიც არ შედიან წარმოებებში ან დაწესებულებებში და არ არიან გაერთიანებული პროფესიონალურ კავშირებში, როგორც მაგალითად: შინამრეწველები, ხელოსნები, დიასახლისები, მეეტლეები და სხვ., არჩევნებში მონაწილეობას იღებენ ან დანარჩენ ამომრჩევლებთან ერთად საწარმოო და პროფესიონალურ კრებებზე, ან მათთვის ცალკე ეწყობა საარჩევნო კრებები ტერიტორიალურ ერთეულებში (რაიონებში, უბნებში და სხ.).

სათემო საბჭოს და სასოფლო საბჭოს არჩევნები სწარმოებს ცალკე სოფლებში“... (საარჩევნო ინსტრუქცია, მუხ. 43, 44).

ჩვენი საარჩევნო ერთეულის (უბნის) არსებითი ტეხნიკური ნაკლი არის ის, რომ ეს ერთეული ხშირად ძალიან დიდია ამომრჩეველთა რაოდენობის მხრივ. უკანასკნელ წლებში არსებობს საარჩევნო უბნების დაპატარავების ტენდენცია.

მართლაც, დეპუტატის კავშირი ამომრჩევლებთან, მისი ანგარიშგება მათ წინაშე, ამომრჩეველთა კონტროლი დეპუტატის მოქმედებაზე,—ტეხნიკურად მეტად ძნელდება, თუ საარჩევნო ოლქი ხანდახან ირჩევს რამოდენიმე ათეულ დეპუტატს.

რაც უფრო ნაკლებია საარჩევნო ერთეული, რაც დეპუტატების უფრო ნაკლებ რაოდენობას ირჩევს ის, მით უფრო მეტად იქნება უზრუნველყოფილი ნამდვილი კავშირი ამომრჩეველთან და დეპუტატის მოქმედების ფაქტიური კონტროლი.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საარჩევნო ერთეულის გამოყოფის ტეხნიკამ არ უნდა მოჩქმალოს მისი პოლიტიკური მხარე, რომ საარჩევნო ერთეულების შექმნის სისტემა უნდა დაექვემდებაროს როგორც ტეხნიკურ, ისე პოლიტიკურ მიზანშეწონილებას.

დეპუტატების ვადამდე გამოწვევის უფლება, რომელსაც საბჭოთა კონსტიტუცია ანიჭებს ამომრჩეველთ, ოოგორც შედეგს დეპუტატის პასუხისმგებლობისა ამომრჩეველთა წინაშე, არის საბჭოთა დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა.

ს. ს. რ. კავშირის საბჭოთა მე-8 ყრილობა თავის დადგენილებაში საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე „მოაგონებს როგორც ამომრჩევლებს, ისე საბჭოს წევრებს, რომ საბჭოთა კონსტიტუციის ერთ-ერთი ძირითადი დებულებაა ის, რომ ამომრჩევლებს აქვთ უფლება ვადამდე გამოიწვიონ საბჭოს წევრი, რომელიც არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ან ანგარიშს არ ადგენს თავის ამომრჩეველთა წინაშე“.

საბჭოთა კანონმდებლობის დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ სწორი რეგლამენტაცია არ არსებობს იმისათვის თუ როგორი წესით უნდა განახორციელონ ამომრჩევლებმა დეპუტატის ვადამდე გამოწვევის უფლება.

ასეთი რეგლამენტაციის ცდებს გვაძლევს საარჩევნო ინსტრუქცია (მუხ. 72 და 73)., დებულება ქალაქის საბჭოების შესახებ (მუხ. 8. 78, 84, 85, 87) და დებულება სათემო საბჭოების შესახებ (მუხ. 27, 34, 35, 36).

კანონმდებლობა ამ საკითხში საჭიროებს კიდევ უფრო მეტ გარკვეულობას.

იგივეა საბჭოთა სხვა რესპუბლიკებშიაც.

კანონმდებლობამ, რომელიც ამომრჩეველს ანიჭებს დეპუტატების ვადამდე გამოწვევის უფლებას. უნდა გამოარკვიოს:

ა) მიზეზები, რომელთა გამოც შეიძლება დეპუტატის ვადამდე გამოწვევა და ბ) დეპუტატის გამოწვევის საორგანიზაციო ფორმები და ტეხნიკა.

თუ ჯამს გაუკეთებთ იმ მიზეზებს, რომელთა გამო შეიძლება დეპუტატის ვადამდე გამოწვევა, მიზეზებს, რომლებიც აღნიშნულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში (საქართველოს ს. ს. რ. დებულება ქალაქის და სათემო საბჭოების შესახებ, ძირითადი დებულებანი საბჭოების მოწყობის შესახებ ს. ს. რ. კავშირში, ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის ცირკულიარი ა. წ. 5 იანვრის თარიღით და საბჭოთა კავშირის მე-8 ყრილობის საბჭოების დადგენილება), ჩვენ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ დეპუტატი ვადამდე შეიძლება იქნას გამოწვეული შემდეგ შემთხვევებში:

1) როცა დეპუტატი სისტემატიურად არ ესწრება საბჭოს, მისი სექციების, კომისიების სხდომებზე; 2) არ ასრულებს საბჭოს, მისი სექციების და კომისიების დავალებებს; 3) არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესის შესრულებისათვის; 4) რეგულიარულად არ ადგენს თავისი მუშაობის ანგარიშს ამომრჩეველთა წინაშე; 5) არ ემორჩილება ან ბეჯითად არ ასრულებს მაღლამდგომი ორგანოების დადგენილებებს; 6) უხეშ მოპყრობას იჩენს ამომრჩეველთა მიმართ (უგულო, ბიუროკრატიული მოპყრობა); 7) სჩადის ისეთ საქციელს, რომელიც არ შეეფერება საბჭოს წევრის წოდებას.

ვისგან შეიძლება გამომდინარეობდეს დეპუტატის გამოწვევის ინიციატივა?

დებულება ქალაქისა და თემის საბჭოების შესახებ ითვალისწინებს მხოლოდ ორ შემთხვევას: პირველი—დეპუტატის ანგარიშის მოსმენისათვის მოწვეული ამომრჩეველთა კრება აფასებს მის მუშაობას, და იმ შემთხვევაში, თუ ეს მუშაობა ცნობილ იქნა არადამაკმაყოფილებლად, გამოაქვს დადგენილება დეპუტატის გამოწვევის შესახებ. ამ შემთხვევაში ინიციატივა გამომდინარეობს უშუალოდ ამომრჩეველთა კრებისაგან.

მეორე—როცა სათანადო საბჭო, დისციპლინარული ზემოქმედების ზომის სახით, ამომრჩეველთა წინაშე აღძრავს საკითხს დეპუტატის გამოწვევის შესახებ ამ შემთხვევაში ინიციატივა ეკუთვნის სათანადო საბჭოს.

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის ცირკულიარის თანახმად, რომლის მიზანია „გარკვეულობა შეიტანოს იმ კანონმდებლობაში, რომელიც ამომრჩეველთ ანიჭებს უფლებას უკან გამოიწვიონ მათ მიერ არჩეული დეპუტატი“, გამოწვევის ინიციატივა შეიძლება გამომდინარეობდეს ამა თუ იმ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა არა ნაკლებ ერთი მესამედისგან, პროფესიონალური ორგანიზაციებისგან, ღარიბთა კრებებისგან, გლეხთა ურთიერთდამხმარე საზოგადოებათა კრებებისაგან, ქალთა სადელეგატო კრებებისგან და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან.

ეს მითითებანი კიდევ უფრო მეტ გარკვეულობას საჭიროებს. აუცილებელია. მაგალითად, ითქვას იმის შესახებ, რომ საჭიროა თუ არა ამომრჩეველთა ერთი მესამედის სურვილი დეპუტატის უკან გამოწვევის შესახებ გამოხატულ იქნას წერილობითი დოკუმენტის ან სხვა რომელიმე ფორმით? როცა საბჭო მიიღებს განცხადებებს ამომრჩეველთა ჯგუფებისა ან ორგანიზაციებისაგან, როგორი ვადა ეძლევა მას იმისათვის, რომ მოიწვიოს ამომრჩეველთა კრება დეპუტატის გამოწვევის საკითხის დასასმელად?

ამომრჩეველთა კრებებს ყველა შემთხვევაში იწვევენ სათანადო საბჭოს განკარგულებით.

იმისათვის, რომ გადაწყვეტილება დეპუტატის უკან გამოწვევის შესახებ იქნას კანონიერად ცნობილი, დებულება ქალაქის საბჭოების შესახებ აწესებს შემდეგ ნორმებს:

ა) დადგენილება დეპუტატის გაწვევის შესახებ მიღებულ უნდა იქნას იმ უბნის ამომრჩეველთა ხმების უბრალო უმრავლესობით, სადაც დეპუტატი იყო არჩეული; ბ) კრებაზე მონაწილეობა უნდა მიიღოს ამა თუ იმ უბანში გაერთიანებული ამომრჩევლების მთელი რიცხვის ნახევარზე არა ნაკლებმა.

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის ცირკულიარი ამბობს, რომ „გამოსაწვევი დეპუტატის მიწვევა ახსნა-განმარტების მისაცემად სათანადო კრებაზე სავალდებულო არის“.

„გადაწყვეტილება დეპუტატის გამოწვევის შესახებ საბოლოოა და არ შეიძლება იქნას გასაჩივრებული“ (დებულება ქალაქის საბჭოების შესახებ, მუხ. 87)., ცხადია, აღნიშნული პირობების დაცვის შემდეგ, ვინაიდან კანონის ეს მითითება უნდა გავიგოთ ისე, რომ ამ შემთხვევაში საქმე შეიძლება ეხებოდეს გასაჩივრებას არსებითად, და არა ფორმალური ნიშნების მიხედვით.

დებულება სათემო საბჭოების შესახებ, რომელიც უფრო ადრე იქნა გამოცემული (1925 წ.), სცნობს, რომ „გადაწყვეტილება დეპუტატის გამოწვევის შესახებ კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ წინადადებას ხმა მისცა ამა თუ იმ საარჩევნო ერთეულის ამომრჩეველთა მთელი რაოდენობის ერთმა მესამედმა“. (გვ. 36).

ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოს დეპუტატის გამოწვევისათვის ქალაქში საჭიროა ამომრჩეველთა მთელ რიცხვის არა ნაკლებ ერთი მეოთხედი ხმები (26 ხმა 100 ამომრჩეველიდან), ხოლო საბჭოს წევრის გამოწვევისათვის სოფლად საჭიროა ამომრჩეველთა ხმების არა ნაკლებ ერთი მესამედი (33 ხმა 100 ამომრჩეველიდან).

დებულება სათემო საბჭოების შესახებ ამ ნაწილში უნდა შეუთანხმოთ დებულებას ქალაქის საბჭოების შესახებ.

გამოწვეული დეპუტატის ნაცვლად ამომრჩევლები ირჩევენ სხვას (საქართ. სოც. საბჭ. რესპ. კონსტიტუცია, მუხ. 99). „იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს შემადგენლობიდან გავლენ ცალკე წევრები (მაგ. გამოწვევის შემდეგ. შ. მ.), საბჭო დანიშნავს ნაწილობრივ არჩევნებს სათანადო საარჩევნო უბნებში“ (დებულება საქალაქო საბჭოების შესახებ. მუხ. 8). მითითება იმაზე, რომ საბჭოს ცალკე წევრები შეიძლება იქნას დამატებით არჩეული იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლები გამოიწვევენ დეპუტატებს, ჩვენ გვაქვს აგრეთვე საარჩევნო ინსტრუქციაშიაც (გვ. 72), დებულებაშიაც სათემო საბჭოების შესახებ (გვ. 36) და ამ საკანონმდებლო აქტების აზრის მიხედვით დამატებითი არჩევა ხდება არა უშუალოდ ამომრჩეველთა იმ კრებაზე, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება დეპუტატის გამოწვევის შესახებ, არამედ სხვა, ამ მიზნისათვის სპეციალურად მოწვეულ კრებაზე.

პრაქტიკულად, ჩვეულებრივ დეპუტატის დამატებით არჩევა სწარმოებს იმავე კრებაზე, რომელმაც გამოიტანა დადგენილება დეპუტატის გამოწვევის შესახებ.

შესაძლოა, რასაკვირველია, შემთხვევები, როცა რაიმე პირობების გამო დეპუტატის დამატებით არჩევა გადაიდება ამომრჩეველთა შემდეგი კრებისათვის. კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს ორივე შესაძლებლობა.

„დამატებით არჩევნებს ამტკიცებს სათანადო სათემო, სასოფლო და ქალაქის საბჭოები“ (საარჩევნო ინსტრუქცია, მუხ 72).

შ. მათიკაშვილი.

მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

ოქტომბრის რევოლუციამ ბოლო მოუღო მშრომელ ქალთა ეკონომიურ ჩაგვრას და პოლიტიკურ უუფლებობას...

„ოქტომბერმა“ მშრომელ ქალებს მიანიჭა პოლიტიკური და იურიდიული თანასწორუფლებიანობა, ამასთანავე მათ მიეცათ ფაქტიური შესაძლებლობა დაეწყოთ ბრძოლა საკუთარი განთავისუფლებისათვის ეკონომიური და ოჯახური ჩაგვრისაგან.

„მთავარს და ძირითად ბოლშევიზმსა და რუსეთის ოქტომბრის რევოლუციაში არის სწორედ იმათი მოზიდვა კომუნიზმისაკენ, ვინც ყველაზე უფრო მეტად იყო დაჩაგრული კაპიტალიზმის დროს“, სამართლიანად სწერდა ამხ. ლენინი.

პროლეტარიატის დიქტატურას, საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით, სერიოზული მიღწევები აქვს მშრომელ ქალთა თანასწორ უფლებიანობის ფაქტიურად განხორციელების საქმეში.

ქალზე საუკუნოებით იქმნებოდა შეხედულება, რომ ის არის უფრო დაბალი გონების ადამიანი, რომელიც არაა ღირსი დაიკავოს მამაკაცის გვერდით ესა თუ ის მნიშვნელოვანი ადგილი ცხოვრებაში. მთავარ დაბრკოლებას ასეთი შემცდარი შეხედულებისა და ქალის ასეთი მდგომარეობის მოსასპობად წარმოადგენს ჩვენი კულტურული ჩამორჩენილობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განსაზღვრულ პირობებში.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და წარმოების რაციონალიზაციის ამოცანა 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით, ამჟამად კიდევ უფრო მწვავედ აყენებს არა მარტო წერა-კითხვის მცოდნე, არამედ კვალიფიციურ მუშა-ქალის მომზადების საკითხს.

ეხლა, როცა ჩვენ უკვე შევუდექით სოციალისტური მშენებლობის საკითხების გადაჭრას, ჩვენს წინაშე სდგება მთელი რიგი ამოცანებისა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „ყოფა-ცხოვრების რევოლუციის“ საკითხს.

ყოფა მჭიდროთაა დაკავშირებული ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებასთან.

ქალის შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში დიდი როლი შეუძლია ითამაშოს კოოპერაციამ.

საერთოდ კოოპერაციის მნიშვნელობა დიდია იმ დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებაში, სადაც გლეხი ქალი დიდ როლს ითამაშებს. ამიტომ აუცილებელია მუშაობის გაძლიერება სასოფლო მეურნეობის გარდასაქმნელად მსხვილ კოლექტიურ მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე, რისთვისაც საჭიროა მასების კოოპერატიულად შეკავშირება, სასოფლო-სამეურნეო კომუნების, არტელების და ამხანაგობების მოწყობა და მათში სოფლის ეკონომიურად უფრო ჩამორჩენილ ქალთა ჯგუფების—ღარიბ გლეხ-ქალთა და მოჯამაგირე ქალთა ჩაბმა საშუალო შეძლების გლეხ ქალებთან ერთად.

ამასთანავე ჩვენს მთავარ ამოცანას წარმოადგენს მუშა და გლეხ-ქალთა ფართო მასების ჩაბმა სახელმწიფო მშენებლობაში. ტყუილა კი არ ამბობდა ლენინი: „როცა ასეულ ქალის ნაცვლად მთელ რუსეთში, მასში (სახელმწიფო მშენებლობაში) მონაწილეობას მიიღებს მრავალი მილიონი ქალი, მაშინ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, სოციალისტური მშენებლობის საქმე განმტკიცდება“.

აი, ამიტომაა საჭირო მასიური მუშაობა მშრომელ ქალთა ფართო ფენებს შორის მუშა და გლეხ ქალების კულტურული და პოლიტიკური დონის ასაწევად.

ჩვენი პოლიტიკა არის მშვიდობიანობის პოლიტიკა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ გარს გვარტყია მტრები. მუშა და გლეხ ქალებმა, ისე როგორც მამაკაცებმა, არ უნდა დაზოგონ თავისი ძალა. მაგარი ზურგის გასამაგრებლად. უნდა ვემზადოთ ოქტომბრის მონაპოვრის—მუშათა სოციალისტური ფაბრიკა-ქარხნებისა და ნაციონალიზაციაქმნილ გლეხების მიწის დასაცავად. უნდა დავიცვათ ჩვენი კულტურულ-სოციალისტური მშენებლობა, ჩვენი რევოლუცია, ჩვენი სოციალისტური სამშობლო, რომელიც დღეს უკვე ყველა ქვეყნის პროლეტარებისა და იმპერიალიზმისაგან დაჩაგრულ თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხების სამშობლოდ იქცა...

ამიტომ საჭიროა, რომ ყველა მშრომელი ქალები შევიდნენ თავდაცვაავიაქიმში, მის წრეებში, სადაც ისინი შეისწავლიან არა მარტო იმას, თუ როგორ უნდა აღმოუჩინონ საექიმო დახმარება მებრძოლთ, არამედ იარაღის ხმარებასაც.

ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე (8 მარტი) წარმოადგენს დიდ ფაქტორს საერთაშორისო პროლეტარულ მოძრაობაში. ბურჟუაზიული ქვეყნების მუშა ქალებისათვის 8 მარტი არის აგრეთვე საბჭოთა კავშირის მხარის დაჭერის დღეც, მთელ მსოფლიოში პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის დღეც.

საბჭოთა კავშირი არის ის შუქურა ვარსკვლავი, რომელიც უნათებს მთელი ქვეყნის მშრომელ ქალებს მონობიდან განთავისუფლების გზას და აძლევს მითითებას, თუ როგორ უნდა შემოკლდეს პროლეტ. რევოლუციის გამარჯვებისაკენ სავალი გზა. ჩვენი კავშირის მშრომელ ქალებს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მათკენ გამოწვდილია კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმისაგან დამონებულ აღმოსავლეთისა და მთელი ქვეყნის მშრომელი ქალების ხელები...

მუშა ქალმა უნდა განამტკიცოს კავშირი უცხოეთის მშრომელ ქალებთან. გლეხი, მოჯამაგირე, ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხი ქალი არ უნდა ჩამორჩეს უკან ქალაქის პროლეტარ-მშრომელ ქალს!

მშრომელ ქალებმა—უნდა განამტკიცონ საბჭოთა ქვეყნის —მსოფლიოში პირველ თავისუფალ მუშურ-გლეხური რესპუბლიკის—თავდაცვა და პროლეტარიატის დიქტატურა, რომელსაც ლენინური საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობს.

„მუშა და გლეხ ქალმა უნდა ისწავლოს წერა-კითხვა, და ასწიოს თავისი კულტურული დონე, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში.

დეე, მთელს აღმოსავლეთში ჩადრი, აღმოსავლეთის ქალის მონობის ეს სიმბოლო, შესცვალოს წითელ თავსაფარმა!

ამის საჭიროებას ამჟამად კარგად გრძნობენ ა.-კ. ს. ფ. ს. რ. არა მარტო მოწინავე თურქი მუშა- და გლეხი ქალები, არამედ მათი უმრავლესობაც, განსაკუთრებით ახალი თაობიდან..,

ჩვენი მრავალერიან—საბჭოთა—სოციალისტურ ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელი ქალები—მუშა-ქალები, მოჯამაგირე, ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხი ქალები—თურქი, სომეხი, ქართველი, აჭარელი, ოსი და აფხაზი ქალები, მთელი ჩვენი დიდ საბჭოთა კავშირის მშრომელ ქალებთან ერთად ოქტომბრის მეორე ათწლედის დასაწყისში მუშებისა და მშრომელი გლეხობის დახმარებით წინ წასწევენ თავისი საბოლოო განთავისუფლებისა და ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმეს...

მხურვალე სალამი მშრომელ ქალებს მათი საერთაშორისო კომუნისტურ დღეს—8 მარტს!

ძირს ძველი ჩაგვრა და ძველი ცრუმორწმუნოება!

დეე, საბჭოთა კავშირის მშრომელი ქალებმა მისცენ მაგალითი უცხოეთის მშრომელ ქალებს და მშრომელ მამაკაცებს, თუ როგორ უნდა აწარმოონ მათ შეუპოვარი ბრძოლა კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის საზიზღარი ტირანიის წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად და ოქტომბრის გასამარჯვებლად მთელ მსოფლიოში!.

გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციის შტაბს და ბელადს—კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს მის სახელოვან რაზმს—ლენინურ საკავშირო კომპარტიას (ბ)!

მიხა ცხაკაია.

სალამი მშრომელი მასის ქალთა კადრს

რა მცირე დრომ განვლო, ისტორიულ ეპოქასთან შედარებით, 1910 წლიდან, — მას შემდეგ, რაც კოპენჰაგენში მეორე საერთაშორისო სოციალისტურმა კონფერენციამ კლარა ცეტკინის წინადადებით დაადგინა ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის შემოღება ყველა ქვეყნებში ლოზუნგით „საარჩევნო უფლება ქალს თავის ძალების გაერთიანებულად მამაკაცთან სოციალიზმისათვის ბრძოლაში“.

სულ რაღაც 17 წლის წინად, როდესაც წამოყენებულ იქნა ეს ლოზუნგი, მშრომელი ქალი იყო მონა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით საზოგადოებაშიაც და ოჯახშიაც; ის მამაკაცის თანასწორად შრომობდა ყველგან — ქარხნებში, ფაბრიკებში და მინდვრებში; ამას გარდა მას კისერზე აწვა ოჯახის მოვლის და ბავშვების აღზრდის მთელი სიმძიმე — მაგრამ ამავე დროს ის არ სარგებლობდა არავითარი უფლებებით.

ქალი მაშინ ყველაზე უფრო განიცდიდა თავის მხრებზე კონსერვატიზმის ბრჭყალებრან ხელის და ძველი ტრადიციების სიმძიმეს, მას ყველაზე უფრო ესაჭიროებოდა განთავისუფლება სულის შემხუთავ, პიროვნების მომსპობ კაპიტალისტურ მონობისაგან.

დიდხანს იტანჯებოდა ასე ქალი, სანამ არ შეიგნო, რომ ის მუშათა კლასის განუყოფელი ნაწილია და სანამ არ მიემხრო მუშათა მოძრაობას.

და უნდა ითქვას, რომ მამაკაცთან ერთად მან უშიშრად გასწია ბრძოლაში კაპიტალისტურ წყობილების სულის შემხუთავ პირობებთან. კიდევ მეტი, ის ხშირად სათავეში ედგა მუშათა მოძრაობას. მუშათა მოძრაობის შემდგომი განვითარების ისტორია იძლევა უამრავ მაგალითებს ამის დასამტკიცებლად. გადასაგზავნ საპყრობილეების არქივები უძიმეს რეაქციის ხანებიდან, მოგვითხრობს მრავალ მუშა და გლეხ ქალებზე, რომლებსაც მთავრობა ასახლებდა ციმბირის შორეულ ადგილებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში გამართულ გაფიცვების და აგრეთვე გლეხთა აჯანყებების ხელმძღვანელობისათვის.

რას ვხედავთ ჩვენ ამჟამად?

მამაკაცის და ქალის ასეთი მწყობრი მუშაობის გამო მტერი საბოლოოდ დამარცხებულია. მუშები და გლეხები სათავეში ჩაუდგნენ ხელისუფლებას. მუშურ - გლეხურმა მთავრობამ თავიდანვე გამოაცხადა ქალის სრული უფლებრივი გათანასწორება მამაკაცთან და ჩააბა ქალი საბოლოო პოლიტიკურ, სამეურნეო და საზოგადოებრივ მუშაობაში სოციალიზმისაკენ წინსვლელობისათვის.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა, ამასთან ერთად საჭირო იყო ისეთ სოციალურ პირობების შექმნა, ისეთ ღონისძიებათა გატარება, რომლებმაც რეალური საშუალება უნდა მისცეს ქალს მოიშოროს თავიდან ზრუნვა საოჯახო საქმეებზე და ბავშვთა აღზრდაზე.

და მართლაც მხოლოდ საბჭოთა კავშირის ქვეყანაში ეთმობა მაქსიმალური ყურადღება და საშუალებები ბაგების, საბავშო ბაღების და კერების, საბავშო სახლების, დედისა და ბავშვის სახლების საზოგადოებრივ სასადილოებისა და სამრეცხაოების, ძუძუმწოვარ ბავშვებისათვის საზოგადოებრივ მოვლის ორგანიზაციების მჭიდრო ქსელის შექმნას — ყოველივე ეს იმ მიზნით, რათა ქალს მიეცეს საშუალება მეტი დრო მოანდომოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ - სამეურნეო მუშაობას.

ქალთა საერთაშორისო დღე არ არის მარტო ქალთა დღესასწაული; მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც შემოღებულია ეს დღესასწაული, მუშათა მოძრაობისათვის, ის ამავე დროს წარმოადგენდა ჯამის გაკეთებას მშრომელ მასების ორგანიზაციულ დარაზმულობისათვის და ცხოვრების საერთო აღმშენებლობაში მათი მონაწილეობის შემოწმებას.

მეფის რუსეთში, პირველად დიდი ხნის შეწყვეტის შემდეგ, ქალთა საერთაშორისო დღე იდღესასწაულეს 1917 წლის 8 მარტს, როდესაც არაჩვეულებრივმა შიმშილმა, სიცივემ ბავშვთა სიკვდილიანობამ და სხვ. ქუჩებში გამორეკა ქალაქ პეტროგრადის მუშა - ქალები და მუშები მოთხოვნილებით: „მოგვეცით პური“.

სამოქალაქო ომის წლებში 8 მარტის დღესასწაული ტარდებოდა ლოზუნგით:

ყველაფერი წითელი არმიის დასახმარებლად!

1921 — 22 წლებში, როდესაც ჩვენი კავშირი ომიდან გადადიოდა მშვიდობიან აღმშენებლობაზე, 8 მარტის დღესასწაული ტარდებოდა ლოზუნგით: „ყველაფერი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის აღსადგენად“.

* * *

რა დროშებით უნდა ჩავატაროთ ჩვენ ქალთა საერთაშორისო დღის მიმდინარე დღესასწაული? რა ლოზუნგებით უნდა გავეღენთოთ მთელი ატმოსფერა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების მთელ ტერიტორიაზე? როგორი მოწოდებით უნდა მიმართოს საბჭოთა ხელისუფლებამ თავის ქვეყნის თვითეულ მშრომელს?

პასუხებს ამ კითხვებზე გვაძლევს საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის დადგენილებები, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს, როგორც პირველხარისხოვან მნიშვნელობის პრობლემები:

1) საკითხი მშრომელთა კულტურულ დონის მასიურად აწევის შესახებ;

2) საკითხი სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპის გაძლიერების შესახებ და

3) საკითხი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ.

მართლაც, როგორც სრულიად სამართლიანად არის აღნიშნული მე-15 ყრილობის რეზოლუციაში — მშრომელ მასების კულტურულ დონის აწევა ძირითად პირობას წარმოადგენს იმისათვის, რომ წარმატებით დამთავრდეს ჩვენი ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, ჩვენი ბრძოლა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის და წარმოების რაციონალიზაციისათვის.

წარმოებისა და მართვა - გამგეობის რაციონალიზაცია ყრილობამ გამოაცხადა მომავალ პერიოდის ძირითად ამოცანად. და რამდენადაც წარმოებისა და მართვა - გამგეობის რაციონალიზაციის საკითხებს ეკუთვნება უმთავრესი როლი ჩვენს სამეურნეო - საზოგადოებრივ მუშაობაში — კულტურის პრობლემებს ეძლევა კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა.

ნათქვამთან დაკავშირებით, დღევანდელი დღე, ქალთა საერთაშორისო დღესასწაული ჩვენ უნდა გავატაროთ ლოზუნგებით:

ყველაფერი მშრომელთა კულტურულ დონის აწევისათვის!

ყველაფერი ჩვენი წარმოებისა და მართვა - გამგეობის რაციონალიზაციისათვის!

თავის თავად იგულისხმება, რომ ამასთან ერთად ჩვენ კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ და გავამრავლოთ ის ორგანიზაციები, და დაწესებულებები (ბაგები, საბავშო სახლები და ბაღები, საზოგადოებრივი სასადილოები, სამრეცხაოები და სხვ.), რომლებიც ანთავისუფლებს ქალს საოჯახო შრომისა და მზრუნველობისაგან, რათა მივცეთ მას რეალური საშუალება ფართო და შემოქმედებითი მონაწილეობა მიიღოს ამ ლოზუნგების პრაქტიკულად განხორციელების საქმეში.

ასეთი წინსვლით ჩვენ მალე შევასრულებთ ჩვენი უკვდავი ბელადის — ლენინის — ანდერძს — უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, „რომ თვითეული მზარეული ქალი შეეჩვიოს ქვეყნის მართვა - გამგეობას“.

გაუმარჯოს ქალის განთავისუფლების საერთაშორისო დღესასწაულს!

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — ს. ჯუღელი.

ა.-კ. ცაკის მოწოდება

ამიერ-კავკასიის მშრომელ ქალებისადმი

8 მარტის დღეს მხურვალე სალამი ამიერ - კავკასიის მუშა და გლეხ ქალებს

დიადმა პროლეტარულმა რევოლუციამ, რომელიც გადავიდა თავის არსებობის მეორე ათწლედში, ძირ-ფესვიანად შეარყია ბურჟუაზიულ ფეოდალური საზოგადოების ყველა საფუძვლები და არა მარტო გაანთავისუფლა ქალები ჩაგვრისაგან დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე, არამედ აანთო მშრომელი ქალების ჩირაღდანი მთელ მსოფლიოში.

მეფის რუსეთის მემამულეთა და კაპიტალისტების მთავრობას ქალი არ მიაჩნდა ადამიანად და ის, განსაკუთრებით კი მშრომელი ქალი, სიძნელესა, უკულტურობასა და შემბოჭველ ოჯახურ პირობებში ყავდა. ამ მთავრობას ბაძავდენ თითქმის სავსებით აზერბეიჯანიც, საქართველოც და სომხეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მთავრობები,—მათ ვერ შესძლეს ამ.-კავკასიის ამ ნახევარი მოსახლეობის განთავისუფლება უუფლებო მდგომარეობიდან. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამიერ-კავკასიის ქალმა მიიღო სრული პოლიტიკური თავისუფლება და არა მარტო მამაკაცის თანაბრად კულტურული განვითარების უფლება, არამედ ახალი საზოგადოებრივ წყობილების მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობაც.

ამიერ-კავკასიის ქალი ამჟამად თამამად გამოდის საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო გზაზე და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და კულტურულ-სამეურნეო მშენებლობაში. ის დაინტერესებულია მთელი მოსახლეობისა და მთელი საბჭოთა ქვეყნის საკითხებით და თავგანწირვით იბრძვის ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის, კულტუროსნობისათვის და ადგილობრივ დაწესებულებების მუშაობის გაჯანსაღებისათვის.

საბჭოებისა და პარტიის ღონისძიებათა მთელი სისტემა ხელს უწყობს ქალის პოლიტიკური შეგნების სისტემატიურ გაღრმავებას ამიერ-კავკასიის მივარდნილ და მიყრუებულ კუთხეებშიაც კი და ნერგავს მასში ოქტომბრის რევოლუციის კულტურას.

წითელი თავსაფარი თანდათან სცვლის ჩადრს, თურქი ქალების მონობის ამ სიმბოლოს. კაპიტალისტებისა და მემამულეებისათვის ჩამორთმეულ სასახლეებში ეწყობა ბაღები და ბაგები პროლეტართა ბავშვებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის დირიჟორმა ლენინმა გადმოისროლა ლოზუნგი: „თვითეულმა მზარეულ ქალმა უნდა შეისწავლოს ქვეყნის მართვა-გამგეობა“. და აი, უკვე ათი წელიწადია, რაც საბჭოთა კავშირში და შვიდი წელიწადი, რაც ამიერ-კავკასიაში ქალი მამაკაცის თანაბრად აშენებს ქვეყანას და სწავლობს მის მართვა-გამგეობას. უკვე ამჟამად ამიერ-კავკასიაში ათეული ათასი აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი ქალია, და ეს არმია სულ უფრო და უფრო იზრდება.

ლენინი ქალების მასიურად ჩაბმას საზოგადოებრივ მუშაობაში დიდ მნიშვნელობას აძლევდა. ის ამბობდა: „საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული საქმე მხოლოდ მაშინ წაიწევს წინ, როცა მთელ საბჭოთა რუსეთში რამდენიმე ასეული ქალების ნაცვლად მასში მონაწილეობას მიიღებს მრავალი მილიონი ქალი. მაშინ სოციალისტური მშენებლობის საქმე, ჩვენ დარწმუნებული ვართ, განმტკიცდება, მაშინ მშრომელები დაამტკიცებენ, რომ მათ შეუძლიათ ცხოვრება და მეურნეობის გაძღოლა მემამულეებისა და კაპიტალისტების გარეშე, მაშინ სოციალისტური მშენებლობა რუსეთში ისეთ მტკიცე საფუძველზე იქნება, რომ არც ერთი გარეშე მტერი არ იქნება საშიშო საბჭოთა რესპუბლიკისათვის“.

ამ ჟამად, როცა საბჭოთა ქვეყნების წინაშე სდგას ისეთი უდიდესი მნიშვნელობის ამოცანები, როგორიცაა სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, მსხვილი კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა სოფლად, ქვეყნის თავდაცვა და სხვა,—მოსახლეობის ნახევარი—ქალები მაქსიმალურად უნდა ჩავაბათ იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლება მიმართავს. ასეთივე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ქალმა ჩვენი წარმოებისა და სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციაში. ქალებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე საწარმოო თათბირებში და თავისი წინადადებებით შეძლებისდაგვარად შეიტანონ ჩვენს წარმოებაში გაუმჯობესება.

7 საათის სამუშაო დღეზე თანდათანობითი გადასვლით, ქალი შესაძლებლობას ღებულობს ასწიოს თავისი შრომის კვალიფიკაცია და კულტურული დონე, ამიტომ მან ყოველნაირად ხელი უნდა შეუწყოს შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლას.

პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის გამარჯვების საქმე მდგომარეობს პროლეტარული რევოლუციის ინტერნაციონალურ ხასიათში. ყველა ქვეყნის პროლეტარების დარაზმვა კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად—ჩვენი ყოველდღიური ამოცანაა.

ჩვენი ქვეყნის მუშა და გლეხი ქალი მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს უცხოეთის მშრომელ ქალებს.

საერთაშორისო კაპიტალიზმი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამზადებს ახალ ომს და ამ მიზნით არავითარ საშუალებებს არ ზოგავს, აძლიერებს რა ამავე დროს ბურჟუაზიული ქვეყნების მუშათა კლასის ექსპლოატაციას და ძარცვა-გლეჯას. დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები ყოველ ნაბიჯზე ცდილობენ მოგვიწყონ ომის პროვოკაცია. რათა მათ ვერ გაბედონ საბჭოთა სახელმწიფოს სოციალისტური მშენებლობისათვის ხელის შეშლა. ქალიც გაძლიერებით უნდა ემზადოს თავდაცვისათვის, მთელი მოსახლეობის გასამხედროებისათვის, მან უნდა შეისწავლოს სამხედრო საქმე და საჭიროების დროს შესცვალოს მებრძოლი მუშები.

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს—8 მარტს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას!

გაუმარჯოს პროლეტარიატის კავშირს ყველა ქვეყნის ღარიბ და საშუალო გლეხობასთან!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელს—საკავშირო კომპარტიას (ბ)!

ჩვენი ძმური სალამი ამიერ-კავკასიისა, მთელი საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს!

ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.
ა.-კ. ცაკის მდივანი
ი. ტაგიევი.

8 მარტი

საქართველოს კომპარტიის ც. კ.-ის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს—8 მარტს—საქართველოს მშრომელ ქალებს მხურვალე სალამს უთვლის.

წელს ქალთა საერთაშორისო დღე მიმდინარეობს, როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით, ახალ რევოლუციონურ ბრძოლათა ტალღის ზრდის პირობებში. ამ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ დაჩაგრული ერების მუშა და გლეხ-ქალები. ამავე დროს იმპერიალიზმი ამზადებს ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას, უფრო სისხლის მღვრელსა და უფრო გამანადგურებელს, ვიდრე როდესმე ყოფილა.

საბჭოთა საქართველოს თვითეული მშრომელი ქალის ამოცანას შეადგენს, რომ თავის საზღვარგარეთელ ძმებსა და დებს ბრძოლაში ყოველნაირად დაეხმაროს; საქართველოს მშრომელმა ქალმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ქვეყნის თავდაცვაში იმ მხრით, რომ იგი მზად იყოს შესცვალოს სოციალისტური მშენებლობისა და მმართველობის ყველა ფრონტზე ომში წასულნი. ჩვენი მოწოდება—საქართველოს ყოველი მშრომელი ქალი მზად იყოს ქვეყნის თავდაცვისათვის.

ქალთა ეხლანდელ საერთაშორისო დღეს გაშლილი შეტევა სწარმოებს სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე. ამხ. სტალინის მოხსენების გამო გამოტანილ რეზოლუციაში ნათქვამია: „მე-15 პარტიული ყრილობა ანდობს ცენტრალურ კომიტეტს, რომ შეუნელებელი ტემპით განაგრძოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა“, ხოლო სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „თვითღირებულების შემცირება მრეწველობის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს და ამ პრობლემის გადაჭრას უნდა დაექვემდებაროს ყველა დანარჩენი ამოცანა“.

ლენინური პარტიის ეს სახელმძღვანელო მითითება შეიძლება განხორციელდეს მშრომელი მასების, მათ შორის, ქალთა მასების, აქტიური დახმარებით. ამ დადგენილებათა შესასრულებლად და მეორე მნიშვნელოვანი ამოცანის—სამეურნეო აპარატის ბიუროკრატიზმთან ბრძოლის—განსახორციელებლად, ჩვენს მრეწველობაში მომუშავე ქალთა ფართო მასამ უნდა თავისი შემოქმედების წვლილი გაიღოს და ამ მიზნით უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს პროფორგანიზაციების, საწარმოო თათბირების მუშაობაში, ხელი უნდა შეუწყოს წარმოების რაციონალიზაციას და თავისი კვალიფიკაციის ამაღლებას. ასეთია თვითეული მუშა-ქალის პრაქტიკული ამოცანები სოციალისტური წარმოების გაძლიერებისა და განმტკიცების საქმეში. 8 მარტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლოზუნგად ის უნდა იყოს, რომ მუშა ქალმა თავისი კვალიფიკაციით მოიპოვოს მამაკაცთან თანაბარი მდგომარეობა წარმოებაში.

კომუნისტური პარტიის მე-15 ყრილობამ უდიდესი ყურადღება მიაქცია სოფლად მუშაობას. ყრილობამ დღევანდელი დღის ძირითად ლოზუნგად წამოაყენა წვრილი საგლეხო მეურნეობის გარდაქმნა სოციალსტურ ნიადაგზე—კოლექტივიზაციის, კოოპერაციაში გაერთიანების და განსაზოგადოების გზით. მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ამ დირექტივების განხორციელების უდიდეს მნიშვნელობას, მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ სოფლის ყოფა-ცხოვრების გარდაქმნა საგრძნობლად არის დამოკიდებული გლეხ-ქალებზე და ამიტომ უნდა მოახერხონ, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ ხელი შეუწყოს სოფლად ისეთი მანქანების შეტანას, რომლებიც შრომას გაუადვილებს გლეხ ქალს და წარმოების იმ დარგების კოლექტივიზაციას მოახდენს, სადაც გლეხ-ქალთა შრომა თვალსაჩინოა; ასეთი მანქანებია სეპარატორები, სადღვებლები, ხელის და ხალიჩების მანქანები და სხვ.

საერთოდ, გლეხ-ქალთა კოოპერაციაში გაერთიანების გასაძლიერებლად, საჭიროა ადგილობრივ იქნას განხილული კოოპერაციაში გლეხი ქალების შეღავათიან პირობებში გაერთიანების საკითხი. საჭიროა განხილულ იქნას საკითხი იმის შესახებ, რომ გლეხმა ქალებმა კრედიტი მიიღონ თავისი საჭიროებისათვის.

დიდი მუშაობაა აგრეთვე საჭირო საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად ტეხნიკურ კულტურათა ნათესების გაფართოებისათვის და პროდუქციის ღირსების გაუმჯობესებისათვის (დელეგატთა კრებებმა თაოსნობა უნდა გამოიჩინონ ტეხნიკურ კულტურათა ნათესების საერთო ნაკვეთებზე გადასვლისა და, საერთოდ, დამუშავების საქმეში).

მე-15 ყრილობის დადგენილებაში ნათქვამია: „გლეხი ქალების კულტურული დონის აწევისა და კოოპერაციაში გაერთიანების მიზნით ღარიბ და მოჯამაგირე ქალთა მასის ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივში ჩაბმის დროს დიდ როლს თამაშობენ გლეხ-ქალთა სადელეგატო კრებები, რომლებმაც თავისი მუშაობა უნდა გააძლიერონ იმ მიმართულებით, რომ სოფლად მთელ სოციალისტურ მშენებლობაში ფართოდ იქნან ჩაბმულნი პარტიის ახლობელი გლეხ-ქალთა ელემენტები“.

მართლაც, დელეგატთა კრებამ თაოსნობა უნდა გამოიჩინოს ტეხნიკურ კულტურათა ნათესის საერთო ნაკვეთებზე გადასვლაში და, მინდვრების საერთო დამუშავებაში, სასოფლო-სამეურნეო მანქანების საერთო გამოყენებაში, საქონლის ერთად გამოკვებაში და სხვა, აგრეთვე თაოსნობა უნდა გამოიჩინონ იმ მხრით, რომ გლეხი ქალები ჩაებან პირველი საფეხურის სხვადასხვა არტელებსა და ამხანაგობებში; დელეგატთა კრებამ ასეთივე თაოსნობა უნდა გამოიჩინოს კოლექტიურ სამეურნეო მშენებლობაში სოფლად.

მაგრამ მე-15 ყრილობის დადგენილებათა შესასრულებლად, პირველ ყოვლისა, საჭიროა აღმოფხვრას სიბნელე და უმეცრება, მშრომელი მასების კულტურულად ჩამორჩენა. კულტურული რევოლუცია—ეს ის ახალი რამ არის, რაზედაც მიქცეული იქნა ყრილობის ყურადღება; და ჩვენ საჭიროა მოვახდინოთ ეს რევოლუცია იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა ნამდვილ სოციალისტურ ქვეყნად გადავაქციოთ.

კულტურული რევოლუციის ერთ-ერთ პირველ ხარისხოვან ამოცანას შეადგენს მედგარი ბრძოლა ქალთა გათანასწორებისათვის. არ კმარა ქალისა და მამაკაცის უფლებრივად გათანასწორება, საჭიროა გავათანასწოროთ მისი მდგომარეობა მამაკაცთან ყოველდღიურ ცხოვრებაში, შრომასა და მუშაობაში. ამისათვის მთელ საბჭოთა საქართველოში, მის ყველაზე ჩამორჩენილ კუთხეებშიაც, უნდა ფართოდ მოვფინოთ ქალთა გამანთავისუფლებელ დაწესებულებათა ქსელი—საბავშვო ბაგები, მოედნები, კონსულტაციები გლეხ-ქალთა კუთხეები, საერთო სასადილოები, სამრეცხაოები და სხვადასხვა—და ამით საშუალება მივცეთ ქალს, რომ თვითონ მიიღოს მონაწილეობა სოციალიზმის მშენებლობაში. სოციალიზმის მშენებლობა მოუხერხებელია კარგი საბჭოების გარეშე. აქედან გამომდინარეობს დიდი და ხანგრძლივი ამოცანა—საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება. რაც უფრო შეგნებული, კულტუროსანი და აქტიური გახდება მასა, მით უფრო სწორედ შეასრულებენ საბჭოები თავის ისტორიულ როლს. საჭიროა განემარტოს ფართო მასებს, რომ საბჭოების არჩევნების უახლოეს კამპანიაში აუცილებლად უნდა განხორციელდეს შემდეგი ძირითადი ამოცანები: ყოველნაირად გაძლიერდეს ქალთა მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში, რათა ამომრჩეველ ქალთა პროცენტი ავიდეს, საშუალოდ, 50-დე მაინც, შარშანდელი 37 პროცენტის მაგიერ.

უნდა აუცილებლად მოხერხდეს გარდატეხა პარტიულ და საბჭოთა ორგანოების დამოკიდებულებაში დაწინაურებულ გლეხ-ქალთა მიმართ და საბჭოების დეპუტატ ქალების პროცენტი ერთი-ორად მაინც გაიზარდოს. ახლა დეპუტატ ქალების პროცენტი სულ 7-8 უდრის. ყოველგვარი ყურადღება, ნდობა და დახმარება უნდა აღმოეჩინოთ ქალთა კანდიდატებს საბჭოების თავმჯდომარეთა თანამდებობაზე, ისე, რომ არჩევნების შემდეგ თვითეულ მაზრაში ერთი თემსაბჭოს თავმჯდომარე მაინც გვყავდეს.

მუშა ქალის რევოლუციონურ-კლასობრივი შეგნება მძლავრი იარაღი იქნება იმ ყოფა-ცხოვრების გარდაქმნის საქმეში, რომელიც დღევანდლამდე ბორკილად ადევს ფეხზე არა მარტო ქალთა მასას, არამედ, საერთოდ, მუშათა კლასსაც.

ყველა ეს დიდი და რთული საკითხები შეიძლება გადასწყდეს მხოლოდ მაშინ, თუ საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა მასები მჭიდროდ იქნებიან შემოკავშირებულნი ლენინური პარტიის დროშის ქვეშ.

საბჭოთა საქართველოს მუშა და გლეხ-ქალებმა თავისი საუკეთესო რჩეული დები უნდა მისცენ კომუნისტურ ოჯახს—ლენინურ პარტიას და მის მოზარდ რეზერვს—კომკავშირს. ისინი უნდა შეკავშირდნენ ლენინური პარტიის გარშემო, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მუშაობაში და მით სწრაფი ნაბიჯით გასწიონ წინ პროლეტარული რევოლუციის სრული გამარჯვებისათვის და მთელ მსოფლიოში სოციალიზმის დამყარებისათვის.

მხოლოდ ამ კონკრეტიულ ამოცანათა განხორციელების დროს მოვახერხებთ მშრომელი ქალების ჩაბმას საბჭოთა მშენებლობაში. მხოლოდ მაშინ მოვახერხებთ პირველი დიდი ნაბიჯის გადადგმას იმ საქმეში, რომელსაც ეწოდება პრაქტიკულად განხორციელება მე-15 პარტიული ყრილობის დირექტივებისა; ეს დირექტივები კი შეეხება მშრომელთა ფართო მასების, მათ შორის,—ყველაზე უწინ,—ქალთა მასების აქტიურ მონაწილეობას საბჭოების გამოცოცხლებისა და განმტკიცების საქმეში, ჩვენი სახელმწიფო აპარატის გარდაქმნაში, ბიუროკრატიზმის იარებთან გადამწყვეტ ბრძოლაში.

მ. ჯაფარიძე.

კულტურული რევოლუცია და ქალთა განათლების საკითხები

რომ მასების კულტურული ჩამორჩენილობა ერთ-ერთი ძირითადი დაბრკოლებაა სოციალისტური მშენებლობისათვის, ეს კარგად ქონდათ და აქვთ შეგნებული ხელმძღვანელ ორგანოებს, როგორც ის დებულებაც, რომ კულტურული ზრდა არის საბჭოთა კავშირის არა მარტო პოლიტიკური განმტკიცებისა და სამეურნეო ზრდის შედეგი, არამედ თავის მხრივ შემდგომი ზრდისა და გამაგრების ფაქტორი. პარტია კულტურულ რევოლუციას ყოველთვის განიხილავდა როგორც პოლიტიკური, სამეურნეო და სოციალური გადატრიალების აუცილებელ დამატებას.

მიუხედავად ასეთი გაგებისა, მიუხედავად იმ დიდ საშუალებათა და ძალთა, რომელნიც ხმარდებოდა კულტურულ ფრონტზე, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ კულტურული განვითარება ჩამორჩება ჩვენს სამეურნეო განვითარებას და მუშათა და გლეხთა ცხოვრების დონის ზრდას. მე-15 ყრილობა ერთგვარი გარდატეხაა კულტურული რევოლუციის პრობლემის დასმის საკითხში. ამიერიდან სოციალისტური კულტურის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება სოციალისტური მშენებლობის დანარჩენ პრობლემებს საერთოდ. ამიერიდან კულტურული პრობლემები დაგეგმილ უნდა იქნას უშუალოდ ჩვენი მეურნეობის ყველა მხარების განვითარების გეგმასთან დაკავშირებით. კულტურული რევოლუცია იყო პერსპექტივა და გადაიქცა ჩვენი ხანის აქტუალურ, სადღეისო ამოცანად — მასების კულტურული განვითარების საკითხი განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, თეატრის, კლუბების საკითხი, საბჭოთა სკოლის საუკეთესო მეთოდების მიხედვით მოწყობის საკითხი. უკვე გახდა ყველა ხელმძღვანელი ორგანოების და მთელი მშრომელი მასების ნამდვილ საკითხებად.

რომ ლენინი კულტურულ რევოლუციას უკავშირებს სოციალისტურ მშენებლობას, მის შემდგომ ზრდას და განმტკიცებას, ეს სჩანს თუნდაც მისი შემდეგი სიტყვებიდან:

„წერა-კითხვის უცოდინარობას უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნაც არაა საკმაო, საჭიროა ის კულტურა, რომელიც გვასწავლის ბრძოლას საქმის გაჭიანურებასთან და მექრთამეობასთან. ეს ისეთი იარაა, რომელიც არავითარი სამხედრო გამარჯვებით, არავითარი პოლიტიკური გარდაქმნით არ შეიძლება იქნას განკურნებული. არსებითად ეს იარა არ შეიძლება განკურნებულ იქნას სამხედრო გამარჯვებებით და პოლიტიკური გარდაქმნით, მისი განკურნება შეიძლება მხოლოდ კულტურის აღორძინებით“. ლენინის იდეა ცხადია: მხოლოდ მასები, რომელნიც შეისწავლიან სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის საქმეს, შესძლებენ ბიუროკრატიზმის და საქმის გაჭიანურების აღმოფხვრას. მუშათა სახელმწიფოს სოციალისტური მშენებლობის როგორი ამოცანებით არ უნდა ავიღოთ, ჩვენ ვხედავთ, რომ ამხ. ლენინი მათ გადაწყვეტას უკავშირებს სოციალისტური კულტურის განვითარებას და გაღრმავებას. ლენინი კულტურის საკითხს სვამს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მდგომარეობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს იმ ორ ელემენტს, რომლებიც გვესაჭიროება, იმისათვის, რომ შევქმნათ ჩვენთვის საჭირო, ბიუროკრატიზმისაგან განთავისუფლებული აპარატი, სახელდობრ: „პირველი, — სოციალიზმისათვის ბრძოლით გატაცებული მუშები, რომლებიც საკმაოდ განათლებული არ არიან. მათ სურთ მოგვცენ საუკეთესო აპარატი. მაგრამ არ იციან, როგორ შექმნან ეს აპარატი. მათ არ შეუძლიათ. მათ დღემდე არ მიუღიათ ისეთი განვითარება, ისეთი კულტურა, რომელიც აუცილებელია ამისათვის. აქ ვერაფერს გავაკეთებთ ჩქარი შეტევით, სიმკვირცხლით ანუ ენერგიით, ანუ ადამიანის რაიმე საუკეთესო თვისებით საერთოდ. მეორე, — ცოდნის, განათლების, სწავლების ელემენტი, რომელიც ჩვენ ძალიან მცირე გვაქვს ყველა სხვა სახელმწიფოებთან შედარებით“. (ლენინი).

ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. მუშათა და გლეხთა მასები ჩაბმული არიან სახელმწიფოს უშუალო ხელმძღვანელობის საქმეში, ჩაბმული არიან სოციალიზმის დიად მშენებლობაში, და მშრომელები ამ გზით ეზიარებიან კულტურას, იცვლებიან თვითონ და სცვლიან სახელმწიფო აპარატს. გაცილებით უფრო ცუდი მდგომარეობაა მშრომელ ქალთა აქტიობის მხრივ. საბჭოთა ხელისუფლებამ პირველად მსოფლიოში გამოაცხადა ქალთა და მამაკაცთა სრულუფლებიანობა და ამით განახორციელა მთელი რიგი ზომები ქალების კულტურული დონის აწევისათვის. მაგრამ ეს არ კმარა. უდიდესი მუშაობა გველის ამ დარგში, ვინაიდან „ბრძოლა ქალთა ეკონომიური და სოციალური თანასწორობისათვის არის ხანგრძლივი ბრძოლა საზოგადოებრივი ტეხნიკის შეცვლის, ყოფა-ცხოვრების შეცვლის ნიადაგზე“. სამწუხაროდ ტეხნიკა და ქალთა ყოფა-ცხოვრება ძლიერ ჩამორჩენილია. განსხვავება მამაკაცებისა და ქალის კულტურული დონის შორის გამოიხატება არა მარტო იმაში, რომ ქალები რაოდენობით და თვისობრივად ნაკლებ მონაწილეობას იღებენ სოციალისტური მშენებლობაში, ნაკლებ გავლენას ახდენენ სახელმწიფო აპარატზე მისი გაუმჯობესების მხრივ, — ეს გამოიხატება აგრეთვე იმაში, რომ ქალების უფრო ნაკლები რაოდენობა იძენს ელემენტარულ ცოდნას, სწავლობს წერა-კითხვას, ქალიშვილები ნაკლებ არიან ჩაბმული ყოველგვარი სახის და ტიპის სკოლებში. თუ ავიღებთ 1926-27 წელს, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში, ჩვენ დავინახავთ, რომ წერა - კითხვის შემსწავლელთა შორის ქალთა რაოდენობა შეადგენს 22 პროც.-ს; და ეს იმ დროს, როცა წერა-კითხვის უცოდინარი ქალები საერთოდ ჩვენს ქვეყანაში გაცილებით მეტია, ვიდრე მამაკაცები. შემდეგ, თუ ავიღებთ პირველი და მეორე საფეხურის სკოლებს, რომლებმაც რამოდენიმე წლის განმავლობაში უნდა დაიტიონ ბავშვთა მთელი მოსახლეობა, განსაკუთრებით თუ ავიღებთ ოთხწლედებს, — რომელთა გარეთ არ უნდა დარჩეს არც ერთი ბავში, ვინაიდან საყოველთაო სავალდებულო სწავლების გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი რაიმე კულტურაზე, მით უფრო სოციალისტურ კულტურაზე, — აქაც მეტად ცუდ სურათს დავინახავთ. ქალიშვილების რიცხვი ამ სკოლებში, შეადგენს მხოლოდ 35 პროც.-ს. მართალია, ეს ჩამორჩენილობა უმეტეს ნაწილად მოდის თურქთა მოსახლეობაზე, ხევსურეთზე, სვანეთზე და სხვა ჩამორჩენილ რაიონებზე, სადაც ყოფა-ცხოვრებას და რელიგიური ტრადიციები ძლიერია და მაგარი; მაგრამ ჩვენი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყველაზე უფრო ჩამორჩენილები ავიყვანოთ საერთო კულტურულ დონემდე.

რაც შეეხება პროფტეხნიკურ განათლებას, აქ უფრო მძიმე მდგომარეობაა ქალისათვის. ქალებს, რომელნიც მოკლებული არიან კვალიფიკაციას, არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ წარმოებაში, მით უფრო, რომ ეხლა სწარმოებს ჩვენი ქარხნებისა და ფაბრიკების რეკონსტრუქცია, რაციონალიზაცია, ხოლო ახალი ფაბრიკა - ქარხნები შენდება უმაღლესი ტეხნიკის საფუძველზე, რომელიც მოითხოვს სულ უფრო და უფრო მეტ კვალიფიციურ მუშა - ხელს. ცხადია, რომ ქალთა სრულუფლებიანობა ფაქტიურად შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, თუ მშრომელ ქალთა მასები მოემზადებიან საზოგადოებრივად — სასარგებლო შრომისათვის, სათანადო განათლების, აღზრდის საშუალებით. იმ სტატისტიკური ციფრების ანალიზი, რომელიც ჩვენ გვაქვს პროფტეხნიკური განათლების დარგში, სრულებით ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ სურათს. თუ ავიღებთ საფაბრიკო - საქარხნო სკოლებს, სპეცტეხნიკუმებს და სპეცფაკულტეტებს, რომელნიც უშუალოდ ამზადებენ საშუალო და მაღალი კვალიფიკაციის მუშაკებს სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა დარგებისათვის, ჩვენ დავინახავთ, რომ ქალიშვილთა პროცენტი აქ უმნიშვნელოა. მაგალითად საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში მათი რიცხვი უდრის 15 პროც.-ს, უმრავლესობა ამ 15 პროც.-ში არის ბავშვთა სახლებიდან გაგზავნილი განათლების სახალხო კომისარიატის მიერ. მოსახლეობაში კი არ წარმოიშვა მოთხოვნილება იმისა, რომ ქალიშვილებს მისცენ ტეხნიკური განათლება, რაც შეეხება ინდუსტრიალურ, ქიმიურ ტეხნიკუმებს და პოლიტიკურ ფაკულტეტებს, აქ იგივე სურათია — ქალიშვილთა რიცხვი უდრის არა უმეტეს 10 - 12 პროც.-ს.

თუ ავიღებთ ამხ. ლენინის ერთ-ერთ უკანასკნელ წერილს, რომელშიაც იგი ანვითარებს გენიალურ კოოპერატიულ გეგმას, დაქსაქსული ღარიბ-საშუალო გლეხთა მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის გეგმას ჩვენ დავინახავთ, რომ კულტურის პრობლემას იგი აქ აყენებს როგორც უმთავრეს, გადამწყვეტ პრობლემას. ლენინის შორსმჭვრეტელობა კოოპერატიულ გზას სახავს, როგორც ინდივიდუალური მეურნეობის კოლექტიურ მეურნეობად გარდაქმნის ფართო გზას.

„ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ ერთი: ჩვენი მოსახლეობა უნდა გავხადოთ იმდენად განათლებული, რომ მან შეიგნოს ყველა ის სარგებლობანი, რომლებსაც იგი მიიღებს კოოპერაციაში მონაწილეობით. „მხოლოდ“ ეს, სხვა არაფერი გვესაჭიროება ეხლა ჩვენ იმისათვის, რომ გადავიდეთ სოციალიზმში. მაგრამ იმისათვის, რომ მოვახდინოთ ეს „მხოლოდ“, გვესაჭიროება მთელი გადატრიალება, მთელი ხალხის მასების კულტურული განვითარების მთელი პერიოდი“. ეს ამოცანები გვავალებს ისე დავაყენოთ სასოფლო - სამეურნეო და კოოპერატიული განათლება, რომ რაც შეიძლება უკეთესად და დაჩქარებით ჩავატაროთ მშრომელ ხალხთა ხელმეორედ მომზადება და ქალიშვილთა მომზადებამ დიდი ამოცანისათვის,—სოფლის გარდაქმნისათვის ახალ კოლექტიურ კოოპერატიულ საფუძველზე. აქ ციფრები ცოტა უფრო სანუგეშოა, მაგრამ ჯერ მაინც კიდევ არ არის საკმაო. ასე, მაგალითად, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში ქალიშვილთა რიცხვი უდრის მხოლოდ 30 %-ს; სასოფლო-სამეურნ. ტეხნიკუმებში მხოლოდ 15 % უფრო უკეთესი მდგომარეობაა აგრონომიულ ფაკულტეტზე, სადაც ქალიშვილთა რიცხვი შეადგენს 35-37 პროც.-ს, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაკულტეტს ამთავრებს ძალიან მცირე პროცენტი.

რაც შეეხება ქალთა მოსახლეობას სოფლად, აქ საქმის ვითარება ძალიან ცუდია; ერთად-ერთი სკოლა მათთვის იქ არის ჭრა-კერვის სკოლა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ქალების საზოგადოებრივად სასარგებლო მუშაობაში ჩაბმის ფაქტორად. ჩვენი მთავარი ამოცანა სოფლად უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ ქალების რაც შეიძლება მეტი პროცენტი მივიზიდოთ სკოლებში, ლიკპუნქტებში, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში, ქოხ-სამკითხველოებში, სადელეგატო კრებებზე და ყოველგვარ წრეებში რომელთა საშუალებითაც უნდა მოვამზადოთ ქალები და დავარწმუნოთ იმაში, რომ კოლექტიურ მეურნეობას დიდი უპირატესობანი აქვს ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით.

წვრილ ინდივიდუალურ მეურნეობათა გაერთიანებისა და მსხვილ კოლექტიურ მეურნეობად გარდაქმნის ამოცანა დასახულ უნდა იქნას პარტიის ძირითად ამოცანად ქალთა შორის მუშაობაში. სოფლის გზა სოციალიზმისაკენ ამგვარად ისახება. წვრილი ინდივიდუალური მეურნეობიდან მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა მაღალი ტეხნიკის საფუძველზე. „სოფელი წინ, მსხვილ კოლექტიური მეურნეობისაკენ!“ — აი, ქალთა მასებში მომუშავე ყოველი უჯრედის ლოზუნგი.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა საქართველოში პედაგოგიური და სამედიცინო განათლების დარგში, სადაც ქალთა რიცხვი 40—60 პროც.-მდე აღწევს. მაგრამ აქაც საჭიროა კორექტივის შეტანა, საჭიროა სათანადო მიმართულება მიეცეს ამ განათლებას. აუცილებელია, რომ მომავალი ექიმი — ქალები და პედაგოგი — ქალები მიისწრაფოდენ სოფლისაკენ და სათანადოდ იქნენ მომზადებული. ექიმი - ქალი ბავშვთა ავადმყოფობის, ქალთა ავადმყოფობის და მეანობის დარგში უფრო მეტ სარგებლობას მოიტანს, ვიდრე სხვა დარგში. სარგებლობას მე აქ ვზომავ არა მარტო მკურნალობის თვალსაზრისით, არამედ უმთავრესად მხედველობაში მაქვს პროფილაქტიკის საკითხები — ავად გახდომის თავიდან აცილების საკითხები, ბავშვთა და დედათა ჯანმრთელობის დაცვის საკითხები, პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის განვითარების და სხვ. საკითხები, მხედველობაში მაქვს აგრეთვე ექიმ-ქალის საზოგადოებრივი მუშაობა ქალთა მასების ასაყვანად კულტურის საერთო დონემდე. იგივე, თუ მეტი არა, უნდა ითქვას პედაგოგ ქალზე, რომელზედაც ბევრი რამ არის დამოკიდებული სოფლის კულტურული მშენებლობის დარგში.

განსაკუთრებით გულისტკივილით უნდა აღინიშნოს ის, რომ ქალიშვილები შედარებით სუსტად არიან ჩაბმული კომკავშირში, პიონერთა ორგანიზაციაში, რაიც, რასაკვირველია, დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ქალთა მასების საზოგადოებრივ - კომუნისტური აღზრდისა და ახალი ყოფა - ცხოვრებისათვის მებრძოლთა მომზადების საქმეში. საქართველოში კომკავშირში არის 69.954 წევრი და კანდიდატი, აქედან ქალიშვილთა რიცხვი უდრის 11.109, ე. ი. მხოლოდ 15.9 პროც.-ს. 60.808 პიონერზე მოდის 19.806 ქალიშვილი, ე. ი. 32.6 პროც. ეს ციფრები ნათლად ამტკიცებს, რომ ახალგაზრდა ქალთა ახალ კადრებს ჯერ კიდევ სუსტად ვამზადებთ სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

თუ ჩვენი პარტია და მუშათა სახელმწიფო ამჟამად მწვავედ გრძნობს მკაცრი გეგმიანი მუშაობის აუცილებლობას, მე ვფიქრობ, რომ არა ნაკლებ მწვავედ უნდა ვიგრძნოთ ასეთი გეგმიანი მუშაობის აუცილებლობა მშრომელი მასებისა და მათი ბავშვების აღზრდისა და განათლების დარგში, განსაკუთრებით ქალთა აღზრდისა და განათლების დარგში. საჭიროა გეგმიანად, ყველა ნაბიჯის გაზომვით მოეწყოს ქალთა მასების ჩაბმა იმ ტიპების სკოლებში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელნიც დაეხმარებიან ქალებს, რომ ისინი გახდენ სოციალისტური მშენებლობის თანასწორი და ღირსეული მონაწილენი.

8 მარტის დღის მნიშვნელობა ჩვენში, საბჭოთა რესპუბლიკაში უნდა განვიხილოთ, როგორც ჯამის გაკეთება იმისა, თუ რამდენად მივუახლოვდით ამ ძირითად მიზანს, რამდენი და როგორი ხარისხის კადრები მივეცით მუშათა სახელმწიფოს ქალთა მასებიდან ახალი ცხოვრების შენებისათვის. 8 მარტის დღეს ერთხელ კიდევ უნდა შევეკითხოთ ჩვენს თავს: რა გავაკეთეთ იმისათვის, რომ გვესწავლებია ქალისათვის წერა-კითხვა გვესწავლებია კოლექტიურად მუშაობა. გაგვეცნო მისთვის ეხლანდელი ცხოვრება, მიგვეცა იმპულსი ახალი წესების, ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის საბრძოლველად, გაგვეხადა მისი სიცოცხლე უფრო ჯანსაღი, შეგნებული, მხიარული. ბევრი რამ ვასწავლეთ ქალებს, მაგრამ კიდევ უფრო მეტი უნდა ვასწავლოთ. მხურვალედ უსურვებთ მშრომელ ქალებს, რომ მომავალი წლის 8 მარტმა მოგვცეს გაცილებით უფრო მეტი შედეგები, მიღწევები, ვიდრე ამ წელმა მოგვცა. საჭიროა ჩვენი რესპუბლიკის ყველა ცოცხალმა ძალებმა გაგვიწიონ დახმარება იმაში, რომ ეს ამოცანა მშრომელი ქალების სასარგებლოდ გადაწყდეს.

მარიამ ორახელაშვილი.

კულტურული რევოლუცია და ყოფა-ცხოვრების საკითხები

კულტურულ რევოლუციის საკითხები, რომლებიც საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობამ დააყენა ჩვენი ყოველდღიური სოციალისტურ საამშენებლო მუშაობის დღის წესრიგში, შეიცავენ მრავალ ამოცანებს — წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას და იდეოლოგიურ ბრძოლას პროლეტარიატის საწინააღმდეგო მიმდინარეობებთან, მეურნეობის უფრო კარგად წარმოების წესების შეთვისებას, ქვეყნის მმართველობაში მონაწილეობის მიღებას და მთელი ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე გადაკეთებას — და დაბეჯითებით აყენებენ მუშა და გლეხ-ქალის პრაქტიკული მონაწილეობის გაძლიერების საჭიროებას სოციალისტურ აღმშენებლობაში.

საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზაციების სისტემამ თავის გავლენის სფეროში მოაქცია არაერთი ათასი პროლეტარი ქალი და საუკეთესო გლეხი ქალი:

66.306 ქალი, პროფკავშირებში ჩაბმული,
50.287 — სამომხმარებლო კოოპერაციაში,
25.000 — დელეგატი ქალი,
9.357 ქალი საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებში (23 თურქი ქალი — სოფლის საბჭოს თავმჯდომარე) მარტო ამიერ - კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში. ეს მცირე მიღწევა არ არის!

საბჭოების წევრ მუშა და გლეხ ქალების ყრილობებმა, რომლებიც 1927 წლის ბოლოს ჩატარდა საქართველოში, სომხეთში და აზერბეიჯანში, დაადასტურა ის ფაქტი, რომ **პროლეტარიატის დიქტატურის ათი წლის განმავლობაში კომპარტიის გარშემო აღიზარდა მუშა და გლეხ - ქალთა მტკიცედ შეკავშირებული აქტივი.** ის საქმიანობა, რომლითაც უდგებოდნენ ყრილობის წევრები საბჭოთა სინამდვილის ყველა საკითხებს (სწორედ ყველა საკითხებს, და არა მარტო იმ საკითხებს, რომლებიც ეხება „ქალის ბედიღბალს“), განსაკუთრებული ნდობა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი („1920 წლამდე ჩვენ ჩვენი დები თურქი ქალები მიგვაჩნდა მტრებად, მაგრამ გასაბჭოების შემდეგ ჩვენ ხელიხელ ჩაკიდებული ერთად ვწყვეტთ ჩვენი სახელმწიფოს საკითხებს... მე, მაგალითად, ვმუშაობ სოფლის საბჭოში, ვარ კულტურულ სექციის მდივანი, ვმუშაობ ქალთა ორგანიზატორად სოფლად, ვარ კორესპონდენტი და რამოდენიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციის წევრი“ — ამბობს სომეხი დელეგატი ქალი ყრილობაზე აზერბეიჯანში და მადლობას უცხადებს ცაკს მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებას გლეხ-ქალების მჭიდრო კავშირის შექმნისათვის და მისი კარგად მიღებისათვის), ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისათვის მზადყოფა („სანამ ცოცხალი ვართ, არ დავანებებთ მტრებს პროლეტარულ რევოლუციის დროშას“ — განაცხადა გლეხ დელეგატ - ქალმა ზუგდიდიდან ყრილობაზე საქართველოში), — ყოველივე ეს ახალი ცხოვრების ცოცხალი ნაკვეთებია, რომელთა გვერდის ავლა შეუძლებელია.

ამ ყრილობებმა დაამტკიცა ქალთა მასების ლტოლვა საზოგადოებრივ მუშაობისადმი, მათი უნარი ამ მუშაობის, მაგრამ ამასთან ერთად ყრილობებმა გამოარკვია, რომ ბაგების, საბავშვო მოედნების, სასადილოების, საბავშვო ოთახების და სხვ. ქსელის ნაკლები განვითარება აიძულებს მშრომელ ქალს კიდევ ატაროს ზრუნვა ოჯახზე, შინაურ საქმეებზე. მაგრამ არა მარტო ეს. ყრილობებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ამიერ - კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის პირობებში არის კიდევ ერთი **უფრო საშიშარი** ხელის შემშლელი პირობა ქალის მონაწილეობისათვის წარმოებაში და საზოგადოებრივ მუშაობაში. ეს არის **კონსერვატიული დამოკიდებულება ქალის მონაწილეობისადმი ჩვენს აღმშენებლობაში**, ასეთ დამოკიდებულებას ხშირად აქვს ადგილი, ის წარმოადგენს იმ მძიმე მემკვიდრეობის ნაწილს, რომელიც მიიღო პროლეტარიატმა ბურჟუაზიისა და მემამულეების წარსულ ბატონობიდან.

ქალის განმარტოება მშობიარობის დროს მისი მოთავსება „ბოსელში“), მისი დატოვება საექიმო დახმარების გარეშე, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, როდესაც ქალი, იმავე საბჭოს წევრი, მას „ამხანაგს“ („ბაბა“-ს) უწოდებს; თურქი დელეგატი - ქალი, საზოგადოებრივი მუშაკი, რომელიც მიილტვის პარტიისაკენ, დადის კომუჯრედის კრებებზე, მაგრამ ვერ ბედავს ჩადრის მოხსნას; კომკავშირელი ვაჟი, რომელიც უკრძალავს კომკავშირელ ქალს დრამატულ წრეში და საერთოდ საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობას, მას შემდეგ, რაც უკანასკნელი მისი ცოლი გახდა (ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ ის თავის საცოლის სწორედ იმავე დრამატულ წრეში დაუმეგობრდა); პარტიული, რომელიც საზოგადოებრივ მუშაობაში არ აბამს თავის დებს, ცოლს, ამავე დროს კი სხვადასხვა კრებებზე პროპაგანდას ეწევა ქალების ჩაბმის სასარგებლოდ ფართო საზოგადოებრივ მუშაობაში, ახალგაზრდა მუშა-ქალი, ხშირად საზოგადოებრივი მუშაკი, რომელიც იკეტება თავის ოჯახის ვიწრო ფარგლებში და სიტყვის შეუბრუნებლად ემორჩილება ქმრის „დარიგებას“, რომ მას არაფერი საქმე აქვს კრებებზე; ორი დიასახლისი, ერთ წარმოების მუშათა ცოლები, რომლებიც გააფთრებით აყენებენ ერთმანეთს შეურაცხყოფას საერთო სამზარეულოში პრიმუსის, ან გატეხილ კოჭკის გამო და დიდი ხნით არღვევენ მეგობრულ ურთიერთობას თავის ქმრებს შორის, — რა არის ყოველივე ეს, თუ არა ძველის ნამსხვრევები, დამხობილ, მაგრამ ჯერ კიდევ საბოლოოდ აღმოუფხვრელ წარსულის ნაშთები?

ხომ არ მოასწავებს ასეთი ფაქტების არსებობა ჩვენს სინამდვილეში, რომ ჩვენ ხშირად, „ყოფა - ცხოვრების პირობებისათვის ანგარიშის გაწევის“ (მათთვის ანგარიშის გაწევა კი, რა თქმა უნდა, საჭიროა), მოსაზრების გამო, ჩვენთვისვე შეუმჩნევლად, **ტყვედ** ვუვარდებით ამ პირობებს, რომ წარსული ყოფაცხოვრების ნაშთები კიდევ გვაწევს მხრებზე ჩვენ და ჩვენს აქტივს, რომელიც ესოდენი ენტუზიაზმით აშენებს ახალ ცხოვრებას?

აშკარაა, რომ სწორედ ეხლა, როდესაც ამხ. რიკოვის სიტყვებით, „წარმატებით სამეურნეო აღმშენებლობისათვის **კულტურა** იმავეს წარმოადგენს, რასაც **სამხედრო მოწყობილობა** ომის დროს“,—განსაკუთრებით მწვავედ დგება საკითხი ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღების შესახებ, მაგრამ ეს გაჯანსაღება შეუძლებელია, თუ სისტემატიური მედგარი ბრძოლა არ იქნა წარმოებული ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთების აღმოსაფხვრელად ქალის მიმართ.

ამ ბრძოლის საქმეში უნდა გაერთიანდნენ ყველა დაინტერესებული ორგანიზაციები: პარტიული (მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებები, სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებები, კულტკომისიები), საბჭოთა (იუსტიციის ჯანმრთელობის დაცვის, განათლების ორგანოები), პროფესიონალური, კოოპერატიული, კომკავშირის (სწორედ ახალგაზრდობა, პიონერების ჩათვლითაც, შეიძლება და უნდა იყოს ახალ ყოფა-ცხოვრების ორგანიზატორი), ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, ერთი სიტყვით მთელი პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრივობა! საჭიროა, რომ ყველა ამ ორგანიზაციებმა თავის ყოველდღიურ მუშაობის ორგანიულ ნაწილად გახადონ ის ზომები, რომლების მიზანსაც შეადგენს, **ქალის რაც შეიძლება მალე განთავისუფლება ყოფა-ცხოვრების დარგში.**

მხოლოდ მაშინ, თუ კოოპერატივი განაგრძობს გლეხ-ქალების ჩაბმას სამომხმარებლო და საწარმოო კოოპერაციაში და მოგების გამოანგარიშების დროს ნაწილს გადასდებს იაფ სასადილოს, ბავშვთა მოედნის მოსაწყობად, თუ პროფ. განაგრძობს ზრუნვას ქალთა კვალიფიციურ ძალის შესაქმნელად და პოლიტგანთან ერთად მოაწყობს კლუბთან ოთახს, სადაც ქალს შეეძლება ბავშვების დატოვება, როდესაც ის საზოგადოებრივ სამუშაოზეა, თუ იუსტიციის ორგანოები ფართოდ აუხსნიან მშრომელ მასებს საბჭოთა კანონმდებლობას ქალის შესახებ, თუ ჯანმრთელობის დაცვის და სახალხო განათლების ორგანოები გააფართოებენ დედათა და ბავშვთა დამცველ დაწესებულებათა ქსელს და ამასთანავე სათანადო მუშაობას ჩაატარებენ მოსახლეობაში, თუ საბინაო ამხანაგობები გამოჰყოფენ საჭირო მოედანს ისეთ დაწესებულებათა შესაქმნელად, რომლებიც მიმართულია ყოფა-ცხოვრების კოლექტივიზაციისაკენ და ამ ორგანიზაციების გარშემო დარაზმავენ ამ სახლების მცხოვრებლებს, თუ პარტუჯრედი, კომკავშირის უჯრედი, [illegible] ორგანიზაციები [illegible] სისტემატიურად აჩვენებენ თავის [illegible], თუ **რამდენად საზიანოა სოციალისტურ აღმშენებლობის საქმისათვის წარსულის ნაშთები**, თუ სადელეგატო კრებები, ქალთა კლუბები, საბჭოთა, პროფესიონალური, კოოპერატიული აქტივი მიზნად დაისახავენ იყვნენ **პროპაგანდისტებად** ახალი ყოფისათვის, ქალთან კარგი დამოკიდებულებისათვის და ამასთან ერთად, **პირად მაგალითს** აჩვენებენ ამ საქმეში, თუ მუშკორი, გლეხკორი, მთელი პროლეტარული და საბჭოთა საზოგადოებრივობა თვითეულ ორგანიზაციის და ცალკე პირის მუშაობას აღრიცხვის დროს მოსთხოვენ მათ აგრეთვე იმის **პასუხს, თუ როგორ ბრძოლას აწარმოებენ ისინი, რათა აღმოფხვრან ძველი ყოფა-ცხოვრებით წარმოშობილი შეხედულებანი** ქალზე და როგორ ქმნიან პირობებს ქალის ნამდვილ პრაქტიკულ მონაწილეობისათვის სოციალისტურ აღმშენებლობაში,—მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება უზრუნველყოფილი გამარჯვება ჩვენი კულტურული ფრონტის ერთ-ერთ [illegible] ნაკვეთზე და მით განმტკიცებული [illegible] წინასწარი პირობები „ფართო მასების [illegible] და ყოფა-ცხოვრების სოციალისტურად [illegible]თებისათვის“*).

მთელ მსოფლიოს მუშა ქალების საერთაშორისო გადათვალიერებისა და ინტერნაციონალურ სოლიდარობის დღეს მშრომელთა ფართო მასებს ყურადღება უნდა მიაპყროს მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებს და ამასთან ერთად მან უნდა მოახდინოს **მთელ პროლეტარულ და საბჭოთა საზოგადოებრივობის ძალთა მობილიზაცია** სისტემატიურ და უფრო გადამჭრელ მუშაობისათვის იმ შეხედულებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც შექმნა ქალის შესახებ ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთებმა.

გაუმარჯოს კულტურულ რევოლუციას!

სუსანა შავერდოვა.

---

*) საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის რეზოლუციიდან.

მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე

ქალი და ყოფა-ცხოვრების საკითხი

ოქტომბრის რევოლუციამ უფლებრივად გაუთანასწორა ქალი მამაკაცს, მაგრამ არის ქალთა ცხოვრების ერთი მხარე, რომელიც ჯერ კიდევ ხანგრძლივსა და მედგარ ბრძოლას მოითხოვს — ეს არის ყოფა-ცხოვრების საკითხი. ყოფა-ცხოვრების საკითხები მჭიდროდაა დაკავშირებული ბინის საკითხებთან, სადაც მიმდინარეობს მშრომელთა და მეტადრე ქალთა ცხოვრების უდიდესი დრო.

თუ რა დიდად არის ქალი დამოკიდებული ბინის პირობებზე, ამას გვიჩვენებს ამხ. სტრუმილინის შემდეგი ანგარიში. თურმე, მამაკაცი ოჯახში მუშაობას საშუალოდ ახმარებს დღეში 2 საათსა და 8 წუთს, ქალი კი 5 ს. 12 წ., ე. ი. 3 საათითა და 4 წუთით მეტს; მამაკაცი 3 საათსა და 27 წუთს ისვენებს, ქალი კი 2 ს. 21 წ., ე. ი. 1 ს. 6 წ. ნაკლებს; მამაკაცს სძინავს 7 ს. 59 წ., ქალს კი 6 ს. 44 წ., ე. ი. 1 ს. 15 წ. ნაკლები. დროის ასეთ განაწილებას ის მოსდევს, რომ „ქალის ნორმალური 8 საათის სამუშაო დღე 15 საათის სამუშაო დღედ იქცევა“.

ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენი ყოფა-ცხოვრების პირობები დაფუძნებულია ცხოვრების ძველ წესებზე, რაც მძიმე ტვირთად აწვება ოჯახის მუშა-დიასახლისს.

აქედან სრულიად ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქალის განთავისუფლებას საოჯახო მუშაობის უღლისაგან.

საზოგადოებრივ სასადილოებსა, სამრეცხაოებსა და ბაგებს მოკლებული ბინის თანამედროვე მდგომარეობა კი, როდესაც ყველა თვითონ ამზადებს საზრდოს და თვითონვე რეცხავს, — არ შეეფერება ახალი ცხოვრების საჭიროებას და აფერხებს ქალის განთავისუფლებას. იმ ქვეყანაში, სადაც „ყოველმა მზარეულმა ქალმა უნდა შეისწავლოს სახელმწიფოს მართვის საქმე“, საჭიროა მშრომელთა მასების და, მათ შორის, ქალთა მასების აქტიური მონაწილეობის მიღება საზოგადოებრივ მშენებლობაში.

საოჯახო ყოფა-ცხოვრების პირობები კი ძალიან ბევრ ქალს უშლის ხელს, რომ საზოგადოებრივ მუშაკთა სიაში მოხვდეს.

გარდა იმისა, რომ არსებული ძველი ბინა არ შეეფერება ცხოვრების ახალს საზოგადოებრივ ფორმებს, ჩვენში არსებობს აგრეთვე უდიდესი საბინაო კრიზისი.

ადვილად გასაგებია, რომ მწვავე საბინაო კრიზისის პირობებში ახალი ყოფა-ცხოვრება ვერ შეიქმნება, ვერ აღიზრდება ჯანსაღი კულტურული თაობა, ვერ განთავისუფლდება ქალი საოჯახო მონობისაგან — ინდივიდუალური მეურნეობისაგან.

ახალი ყოფა-ცხოვრება ახალ კულტურულ ბინასთან ერთად — აი, რა შეადგენს სადღეისო ამოცანას.

მუშა-ქალს, რომელიც ყველაზე მეტად იჩაგრება ოჯახის უღლისაგან, პირველი ადგილი უნდა ეჭიროს ამ ამოცანის განხორციელების საქმეში.

აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ საჭიროა მშრომელმა ქალმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბინაო კოოპერაციაში და მჭიდრო კავშირი ჰქონდეს მასთან.

საბინაო კოოპერაცია თავის ამოცანად ისახავს მშრომელთა ბინის გაუმჯობესებას.

მაგრამ საბინაო კოოპერაცია რომ ახალ სახლებს აშენებს და სახელმწიფო მუნიციპალიზაციაქმნილი ფონდის უკვე არსებული სახლების გამგებლობას აწესრიგებს, იგი თავის ძირითად ამოცანად ისახავს მშრომელთა ყოფა-ცხოვრების პირობების შეცვლას და ინდივიდუალური საოჯახო მეურნეობის ნაცვლად კოლექტიურის შექმნას.

რამდენ ენერგიას, მზრუნველობას, დროს და ზედმეტ ძალღონეს ანდომებს ქალი სადილის მომზადებას, ბაზარზე სიარულს და სხვა ამისთანა ყოველდღიურ დამქანცველ საოჯახო საქმეებს. რაციონალურად მოწესრიგებულ საზოგადოებრივ კვებას კი შეუძლია დაიხსნას ქალი ასეთი საქმიანობისაგან. საზოგადოებრივი სასადილო და საამხანაგო სამზარეულო (რამდენიმე ოჯახის შეერთება ერთ, ორ, სამ მეზობელ სახლში საერთო ხარჯით საჭმელ-სასმელის მოსამზადებლად) არამც თუ გააიაფებდა საზრდოობას, არამედ გაადვილებს და კიდეც ქალის ნამდვილ მონაწილეობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქალს სარეცხიც დიდ დროსა და ძალღონეს ართმევს. წესიერად მოწყობილი საზოგადოებრივი მექანიკური სამრეცხაო, — სხვა სარგებლობასა და უპირატესობასაც რომ თავი დავანებოთ, — იმდენად გააიაფებდა რეცხვას, რომ თვითეული მუშა ოჯახი ხელსაყრელად მიიჩნევდა საზოგადოებრივი სამრეცხაოს გამოყენებას. მექანიკური სამკერვალო - შემკეთებელი სახელოსნოების ორგანიზაციაც გააიაფებდა და გაადვილებდა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მეურნეობათა გაერთიანება გააუმჯობესებდა საზრდოს შენახვის საქმეს. გამოიწვევდა არა მარტო სანოვაგისა და საწვავი მასალის ეკონომიას, არამედ გაანთავისუფლებდა აგრეთვე რამდენიმე კაცს უსარგებლო მუშაობისაგან და მოსპობდა იმ უთანხმოებას, რომელიც ასე ხშირია დიასახლისებს შორის, როდესაც მათ საქმე აქვთ ერთ ქურასთან.

ბავშვების აღზრდისათვის ზრუნვა, — ყველაზე მნიშვნელოვანი და პასუხსაგები მოვალეობა, — უმთავრესად, ქალს აქვს დაკისრებული. საბავშვო ბაღებისა, საბავშვო მოედნებისა, ბაგებისა, კლუბებისა და სხვათა ორგანიზაცია არა მარტო იხსნიდა ქალს ამ მუშაობისაგან, არამედ ხელს შეუწყობდა ნორჩი, მოზარდი ჯანსაღი თაობის სამედო მოვლასა და გაზრდას, თაობისა, რომელსაც განუვითარდებოდა არა ცრუმორწმუნეობა, არა ინდივიდუალისტური წვრილ - ბურჟუაზიული იდეოლოგია, არამედ პროლეტარული კლასობრივი თვითშეგნება.

ჩვენი ყოფა-ცხოვრების გარდაქმნის საფუძვლად უნდა დაიდოს კოლექტივობის, საზოგადოებრიობის პრინციპები.

ეს არის ახალი ყოფა - ცხოვრების შექმნის საფუძველი. აქედან აუცილებლად გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ საჭიროა საოჯახო მეურნეობის საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოწყობა. საზოგადოებრივი სასადილო, კლუბი, სამრეცხაო, საბავშვო ბაღი, ბაგები — აი ის უჯრედები, რომელნიც, — თუ კი სწორ, ნაციონალურ ნიადაგზე დავაყენებთ, — შეიძლება გადაიქცნენ ახალი ყოფა-ცხოვრების მტკიცე ეკონომიური ბაზისის საფუძვლად. ამ საზოგადოებრივ დაწესებულებათა ორგანიზაცია მოითხოვს მშრომელი ქალების, ოჯახის დიასახლისების ფართო მონაწილეობას. ყველაზე მეტად ქალი განიცდის ძველი ყოფა-ცხოვრების სიმძიმეს, ამიტომ ის აქტიურად უნდა ჩაერიოს ახალი საზოგადოებრივი საოჯახო მეურნეობის მოწესრიგებაში. რაც უფრო ადრე შეიგნებს ქალი, რომ საოჯახო მონობისაგან განთავისუფლებისათვის საჭიროა ბრძოლის გზაზე შედგომა, მით უფრო მალე გადაიქცევა იგი ნამდვილ თანასწორუფლებიან მოქალაქედ და ნამდვილად მიიღებს მონაწილეობას საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში.

რასაკვირველია, ახალი ყოფა-ცხოვრების შექმნას აურაცხელი დაბრკოლება ეღობება: როგორც მატერიალური, ისე იდეოლოგიური ხასიათისა (ქალების უმრავლესობას, და არა მარტო ქალებს, ჯერ კიდევ ურჩევნიათ ვიწრო, პირადი კარჩაკეტილი საოჯახო მეურნეობა). მაგრამ საჭიროა ამ დაბრკოლებათა გადალახვა, დაძლევა საზოგადოებრიობის ინტერესებისათვის.

თუ, მაგალითად, განთქმულმა ფორდმა ისიც კი მოიგონა, რომ საჭმლის მომმზადებელ საოჯახო დიასახლისთა ინსტრუქტაჟი შექმნა, რადგან ფორდი ზედმეტი დივიდენდების გასადიდებლად ამ ღონისძიებას დიდ მნიშვნელობას აძლევს, მით უმეტეს ჩვენს პირობებში უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება საოჯახო ყოფა-ცხოვრების განსაზოგადოებისათვის ზრუნვას, რასაც მოითხოვს საერთოდ მშრომელთა და კერძოდ ქალთა ინტერესები. ამ დარგის მშენებლობის ჩანასახს და კერძოობით საოჯახო მეურნეობის აღმოფხვრისათვის ბრძოლას უკვე ერთგვარი ისტორია აქვს. საბჭოთა კავშირის ზოგიერთ დიდ ქალაქებში საბინაო კოოპერაციამ უკვე შეტევა დაიწყო ჩვენი მეურნეობის ამ მტკივნეულ დარგზე და უკვე ფაქტია, რომ მშრომელთა თვითშემოქმედებამ თავი იჩინა ერთობლივი ცხოვრების ახალი ფორმების მშენებლობაში.

მეტად საინტერესოა მოსკოვის მბეჭდავთა და გემთ-კვების კავშირის მუშაკთა პირველი სახლი—კომუნის ცდა. სახლ-კომუნაში 4 000 სულზე მეტია. სახლ-კომუნას ჰქონდა ნახევრად დანგრეული და ბუჟუიანი სარდაფები; მოკლე ხანში კომუნამ ეს სარდაფები მოაწესრიგა და იქ ახლა მოწყობილია საუცხოო კლუბები (დიდებისათვის და პიონერებისათვის), დარბაზი 800 კაცისათვის, ბიბლიოთეკა—სამკითხველო, ელექტრონის სამრეცხაო, საპარიკმახერო და სხ. ზოგ დიდ საბინაო ამხანაგობას აქვს საამხანაგო სასადილო. ასეთმა საზრდოობამ ამ ამხანაგობებს საშუალება მისცა რომ გაედიდებინათ საჭირო საცხოვრებელი ადგილი: ცალკე ბინების განთავისუფლებული სამზარეულოები მოწყობილია საცხოვრებლად, ხოლო ზოგიერთი სამზარეულო საერთო სარგებლობისათვის, საბავშვო კუთხისათვის და სხვ. შემდგომი გაერთიანება, თუნდაც სამზარეულოთა მეურნეობისა, ამ ფაქტის საყოფაცხოვრებო მნიშვნელობაზედაც რომ არაფერი ვთქვათ, საშუალებას მისცემდა მდგმურებს, რომ ყოველ 8-9 ბინაზე მოეგოთ თითო ბინა, რადგან სამზარეულოს არეს საშუალოდ უჭირავს მთელი ბინის დაახლოებით 12 პროცენტი. რიგიანად მოწყობილი სამზარეულო შემდეგ შეიძლება გადაიქცეს საზოგადოებრივ სასადილოდ, რომელიც თავის მხრით, არა სადილობის დროს, გამოდგება სამკითხველო ოთახად ან პატარა საშინაო კლუბად.

საოჯახო ყოფაცხოვრების ახალი პირობების შექმნის დროს საბინაო კოოპერაცია უკვე ყურადღებას აქცევს საზოგადოებრივი სამრეცხაოების, საუთოებლების და საშრობების ორგანიზაციას. ასე, მაგალითად, მოსკოვის ერთ საბინაო ამხანაგობას არ ჰქონდა დიდი სახსარი და ამიტომ მან სამრეცხაო ადგილად გამოიყენა ყოფილი ხის ფარდული ქვედა სართულში, გაიყვანა იქ წყალი, ბუხრიანი წყლის გასაცხელებელი მილი, მოაწყო საჭირო ქვაბები და ქურა უთოებისათვის. სამრეცხაოს გვერდით მოწყობილია დასაუთოებელი ოთახი და კარგი გასაშრობი ადგილი სხვენზე. სამრეცხაოს საჭიროებისათვის მოწვეულია ორი მუდმივი მრეცხავი და ერთიც დამუთოებელი. სახლის ამხანაგობის 700 წევრიდან 300-ზე მეტი მუდმივ სარგებლობს სამრეცხაოთი. მეზობელ საბინაო ამხანაგობათა წევრები სთხოვენ ხსენებულ ამხანაგობას, რომ მათ სამრეცხაოს გამოყენების ნება მისცეს. საბინაო ამხანაგობის გამგეობის დაკვირვებით, სახლის საერთო სანიტარული მდგომარეობა, საზოგადოებრივი სამრეცხაოს წყალობით, აშკარად გაუმჯობესდა.

ჩვენი დროის მძიმე საბინაო პირობები ძალიან უმოკლებს ბავშვებს სიცოცხლეს მართალია, უკანასკნელ ხანებში ზომებია მიღებული, რომ გაუმჯობესდეს ბავშვების მოვლა, — ამ მიზნით იწყობა სპეციალური საბავშვო დაწესებულებანი—მაგრამ, რასაკვირველია, ეს საკმაო არაა. მცირე ყურადღება ექცევა, მაგალითად, მცენარეულობის დარგვას. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქალაქების გაჯანსაღებისათვის. სტატისტიკის ცნობებით დამტკიცებულია, რომ სიკვდილიანობის რიცხვის მეტ-ნაკლებობა დამოკიდებულია მცენარიან ადგილების მეტ-ნაკლებობაზე.

საბინაო კოოპერაციამ უკვე დაიწყო ბრძოლა არსებულ მცენარეულობის შენარჩუნებისა და გაფართოებისათვის. მაგრამ ეს, ცხადია, არა კმარა; საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, რომ ბავშვებს კარგი მოვლაც ჰქონდეთ.

აქ ჩვენ მივადექით საბავშვო ბაგების, საბავშვო და სასპორტო მოედნების და სხვათა ორგანიზაციის აუცილებლობას. ასეთი პირობები დაარწმუნებს დედას, რომ მისი ბავშვი კარგ პირობებშია; ეს პირობები გადაიქცევა იმის სტიმულად, რომ ქალმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ დაწესებულებებში და მხარი დაუჭიროს მათ.

საოჯახო ცხოვრების კოლექტივიზაცია დაკავშირებულია ბინის მოწყობილობის რაციონალურ ორგანიზაციასთან.

საბინაო კოოპერაცია უკვე დიდი ხანია ყურადღებას აქცევს ამ საკითხს. ჯერ კიდევ 1925 წლის დეკემბერში ცენტრ. საბინაო კავშირმა მოსკოვში გამოფენა მოაწყო, სადაც პირველად პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს პროლეტარიატის მრეწველობა ამ დარგში და მუშა მომხმარებელი. მომენტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ბინის ავეჯი და მოწყობილობა დიდ სასარგებლო სივრცეს არ იჭერდეს და დიასახლისს ენერგიის ზედმეტ უნაყოფო დახარჯვას არ მოსთხოვდეს. ეს ხერხდება კედელში კარადებისა და თახჩების დატანებით, პლიტის გამოყენებით სასადილო მაგიდად. აგრეთვე შეიძლება იატაკს ქვეშ თავისუფალი ადგილის დატოვება, სადაც მოთავსდება სხვადასხვა საგანი, როცა საჭირო აღარ იქნება. კიდევ ბევრი რამის დასახელება შეიძლება, რაც გაამარტივებს და სანიტარულად გააჯანსაღებს ბინას.

ყველა აღნიშნულ მომენტს ანგარიში უნდა გაუწიოს ჩვენმა საბინაო კოოპერაციამ, რომელმაც ამიერ-კავკასიის პირობებში ჯერჯერობით ფართოდ ვერ განავითარა თავისი მუშაობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მხარე. საქმის სიახლე, მუშაკების უუნარობა და სახსრის უქონლობა ხელს უშლიდა მისი ამოცანების განხორციელებას. ამიერ-კავკასიის საბინაო კოოპერაციაში მონაწილე ქალების რიცხვი ათეულობით დაითვლება. ასეთი მდგომარეობა არანორმალურია და უნდა აღმოიფხვრას. საჭიროა ადგილობრივი მუშაობის დაკავშირება ქალთა განყოფილებებთან, კავშირების კულტგანყოფილებებთან, აგრეთვე საჭიროა შეიქმნას მტკიცე მატერიალური ბაზისი ამ მუშაობისათვის. საამისოდ კი უნდა გადაიდოს საბინაო-საიჯარო ამხანაგობათა შემოსავლის ანარიცხთა განსაზღვრული პროცენტი, ხოლო საზოგადოებრივი სარგებლობის დაწესებულებათა მოსაწყობად გამოიყოს ნაწილი იმ კრედიტებიდან, რომელსაც სათანადო ორგანოები გაიღებენ საბინაო მშენებლობისათვის საჭირო მუშაობისათვის.

საბინაო კოოპერაციის ამოცანას შეადგენს არა მარტო ის, რომ შეინარჩუნოს არსებული და საერთო ძალებით ააგოს ახალი ბინები, არამედ ისიც, რომ ხელი შეუწყოს დაქსაქსული მუშაკების (მამაკაცებისა და ქალების) ორგანიზაციას, შეაკავშიროს ისინი ჩვენი ქვეყნის დარაზმული შემოქმედებითი ძალების მძლავრ ნაკადთან.

დაე, ქალთა საერთაშორისო დღის მე-18 წლისთავზე ამიერ-კავკასიის მშრომელი ქალები საბინაო კოოპერაციის გზით ჩადგნენ შეკავშირებულ, ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის მებრძოლთა რიგებში.

ი. განჯუმოვი.

დედათა და ბავშვთა დაცვა

ყველა იმ ზომებსა და საშუალებებს, რომელთაც სახელმწიფო მიმართავს დედათა და ბავშვთა უფლებების,—მათი ჯანმრთელობის და სიცოცხლის დასაცავად, ეწოდება **დედათა ბავშვთა დაცვა**. რევოლუციამდე ამ საქმის მხოლოდ ჩანასახი იყო. 1918 წლიდან კი საბჭოთა ხელისუფლების მთელ რიგ დეკრეტებით დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეს მტკიცე საფუძველი ჩაეყარა: განისაზღვრა ქალთა და მოზარდთა შრომა, მიექცა ყურადღება ბავშვთა სოციალურ აღზრდას, უპატრონო ბავშვთა პატრონობას და შენახვას, ფეხმძიმე ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესებას, მატერიალურ დახმარებას და სხვ. ამ სახის ღონისძიებების დეტალური გარჩევა არ შეადგენს ამ წერილის მიზანს. დაწვრილებით შევჩერდები მხოლოდ იმ დაწესებულებებზე და საშუალებათა განხილვაზე, რომლებიც ხელს უწყობენ დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაცვას.

პირველი სახელმწიფო ბავშვთა აღზრდის სახლი საფრანგეთში (პარიზში) გაიხსნა მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში. რუსეთში კი პირველი ბავშვთა თავშესაფარი 1682 წელში დაარსდა. ამ დროიდან, როგორც სხვა ქვეყნებში, ისე რუსეთშიაც ბავშვთა რამოდენიმე თავშესაფარი გაიხსნა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებდა ბავშვის ჰიგიენის, კვების და მოვლის მოთხოვნილებებს და ამის გამო თავშესაფარებში ბავშვთა სიკვდილიანობის პროცენტი 98 პროცენტს აღწევდა. ამ უბედურობის მთავარი მიზეზი იყო ბავშვთა ხელოვნური და უწესო კვება-მოვლა. მხოლოდ მას შემდეგ, როცა დაიწყეს ბავშვის წესიერათ კვება დედის ან სხვა ქალის რძით და გააუმჯობესეს თვით მოვლის მეთოდები, ბავშვთა სიკვდილიანობის პროცენტმა საგრძნობლად იკლო.

რევოლუციამ ცხოვრების ახალი საფუძვლებზე გარდაქმნა და აგრეთვე პედიატრიის (ამ ახალი მეცნიერული დისციპლინის, ბავშვის თავისებურობის, ავადმყოფობის და საერთოდ მისი განვითარების და ზრდის შესწავლამ) განვითარებამ ხელი შეუწყო ბავშვთა სიკვდილიანობის პროცენტის დაცემას და საერთოდ დედათა და ბავშვთა დაცვის საქმის მოწესრიგებას. საბავშვო დაწესებულებათა შორის ერთ-ერთ მთავარი ადგილი უჭირავს **კონსულტაციას**. ეს უკანასკნელი პირველად პარიზში გაიხსნა 1892 წ. რუსეთში პირველი კონსულტაცია 1904 წ. გაიხსნა კიევში, 1908 წ.—მოსკოვში და 1911 წ. კი—ლენინგრადში. 1920 წელში საბჭოთა კავშირში 133 კონსულტაცია იყო ქალაქში მცხოვრებ ძუძუმწოვარ ბავშვთათვის; 1925 წ. კი 458 კონსულტაცია ქალაქის და 314 სოფლის ბავშვთათვის. უკანასკნელ ცნობების მიხედვით, ამ ბოლო წლებში საკონსულტაციო პუნქტების რაოდენობა ქალაქებში კიდევ გადიდდა 282-ით და სოფლად—261-ით. კონსულტაციის გამგე ექიმი რჩევა-დარიგებას აძლევს დედას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ბავშვს წესიერად კვება და მოვლა და საერთოდ თვალყურს ადევნებს ბავშვის ნორმალურად ზრდას. ცხოვრებამ და დაკვირვებამ ნათელჰყო ის გარემოება, რომ ხშირად კონსულტაციაში ექიმის მიერ მიცემული რჩევა-დარიგება არ არის საკმარისი, ვინაიდან ის (რჩევა-დარიგება) დედას ან ვერ გაუგია სწორად, ან დავიწყებია, ან და თავის ოჯახის პირობებში ის სულ სხვაგვარად გამოუყენებია. რომ ექიმი ახლოს გაეცნოს იმას, თუ როგორ ოჯახურ პირობებში და წრეში იზრდება ბავშვი თუ როგორ ასრულებს დედა ექიმის მიერ მიცემულ რჩევა-დარიგებას კვებისა და ბავშვის მოვლის შესახებ, ამისათვის კონსულტაციასთან არსდება **სანიტარულ-განმანათლებელი პატრონაჟი**. ასეთი ინსტიტუტი პატრონაჟის დებისა რუსეთში პირველად ლენინგრადში დაარსდა 1912 წელში; 1919 წ. ასეთი პატრონაჟის დები (ხშირად ამ მოვალეობის აღმასრულებელნი ექიმებია) 10 კონსულტაციას ჰყავდა. 1924 წლიდან კი ასეთები ყველა ძუძუმწოვარ ბავშვთა კონსულტაციას ჰყავს პატრონაჟის და ვალდებულია სისტემატიურად იაროს კონსულტაციაში გატარებულ ბავშვის ოჯახში, რათა გაეცნოს საერთოდ ოჯახის პირობებს და ამ პირობებისაგან დამოკიდებულ ბავშვის მოვლისა და აღზრდის მსვლელობას. მან თვალყური უნდა ადევნოს კონსულტაციის ექიმის მიერ დანიშნულ რჩევა-დარიგების ცხოვრებაში სისწორით გატარებას და თუ საჭიროება მოითხოვს თვითონ დაეხმაროს დედას ექიმის დანიშნულების შესრულებაში.

შემდეგი ტიპი დაწესებულებისა, რომელიც ემსახურება დედათა და ბავშვთა დაცვის ინტერესებს არის **ბაგა**. ამ დაწესებულების მიზანია შეიფაროს ბავშვი იმ დროს განმავლობაში, როცა დედა სამუშაოზეა. ჩვეულებრივ ბაგა მოთავსებულია იმ დაწესებულებასთან (ან შედარებით ახლოს), სადაც დედა მსახურობს. ამგვარად დედას ეძლევა საშუალება სამუშაო საათების დროსაც აწარმოოს თავისი ბავშვის კვება. ამ მიზნით ძუძუმწოვარ ბავშვის მუშა-მოსამსახურე დედას განსაკუთრებული უფლება აქვს მინიჭებული საბჭოთა კანონებით. ჩვეულებრივ ბაგაში ათავსებენ ბავშვებს 3 თვიდან 4 წლის ასაკამდე. ბაგას განაგებს ექიმი და მუშაობას აწარმოებს მოწყალების დის და მომვლელი ქალების საშუალებით. პირველი ბაგა დაარსდა პარიზში 1844 წ., რუსეთში კი 1864 წ. საბჭოთა კავშირში 1920 წ. 565 ბაგა იყო, 1924 წ.—536 ქალაქის და 524 საზაფხულო სოფლის ბაგა 1925 წელში კი—684 ქალაქის და 1436 საზაფხულო სასოფლო ბაგა არსებობდა. ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებში კონსულტაცია ითვლება ღია ტიპის საბავშვო დაწესებულებათ, ვინაიდან იქ ბავშვი არ რჩება სრულებით; ბაგა კი, ნახევრად ღია დაწესებულებაა, რადგან ბავშვი დედის მუშაობის დამთავრებამდე იქ რჩება. ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებში ავადმყოფ ბავშვებს ჩვეულებრივ არ იღებენ. ამისათვის არსებობს ბავშვთა ამბულატორიები, საავადმყოფოები და სპეციალური დისპანსერები. აქ ჩამოთვლილ დაწესებულებებში ამბულატორიები და საავადმყოფოები ყველასათვის ნაცნობია.

რაც შეეხება დისპანსერს ის ახლად წარმოშობილი დაწესებულებაა და მასზედ მოკლედ შეჩერება საჭიროა. ტიპიური **დისპანსერი** საზოგადოთ იგულისხმება, როგორც პროფილაქტიური დაწესებულება, რომლის მიზანია ავადმყოფობის თავიდან აცილების ყოველგვარი წინასწარი ზომების მიღება. თანამედროვე დისპანსერი, პირობების მიხედვით, პროფილაქტიურ (წინასწარ გამაფრთხილებელ) ზომებთან ერთად აწარმოებს ამა თუ იმ ავადმყოფობის მკურნალობასაც. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ბავშვთა ვენეროლოგიური და ტუბერკულიოზის დისპანსერები, რომელთა რაოდენობა საბჭ. კავშირში თანდათან იზრდება.

ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებათა გარდა არსებობს კიდევ დახურულ ტიპის დაწესებულებანი, როგორიცაა მაგალითად: დედისა და ბავშვის სახლი, ძუძუმწოვარ ბავშვთა სახლი და მცირეწლოვან ბავშვთა სახლი. პირველში ღებულობენ ფეხმძიმე (ორსულ) ქალს ორი-სამი თვით წინ მორჩენამდე. რის შემდეგ ის თავის ბავშვით ამავე დაწესებულებაში რჩება კიდევ 2-3 თვეს. მეორე დაწესებულებაში ღებულობენ ჩვეულებრივ მიგდებულ და უპატრონო ძუძუმწოვარ ბავშვებს. ამ დაწესებულებაში საექიმო და მომვლელ პერსონალს გარდა არიან დაწესებულების მიერ დაქირავებული ძიძები, რომელთა დახმარებით სწარმოებს ძუძუმწოვარ ბავშვთა კვება. მესამე დაწესებულება კი ერთი წლის ზევით-ასაკის ბავშვებთათვის არის. აქაც უმეტესად მოთავსებულნი არიან უპატრონო ბავშვები (1-4 წლამდე) და იშვიათად კი მშობლებიანი (სოციალური პირობების მიხედვით). ასეთი დახურულ ტიპის დაწესებულებანი არა სრული ცნობების მიხედვით საბჭ. კავშირში 1918 წელში იყო 102, 1919 წელში 188, 1921 წ. 548 და 1922 წელში კი 1.002.

დახურულ ტიპის დაწესებულებათ ჩაითვლება კიდევ **თავშესაფარი - ინტერნატი**, საცა მოთავსებულია უფროს ასაკის ბავშვები. აქ არის მოწყობილი სკოლა და სახელოსნოები, სადაც მოზრდილები სწავლობენ. სათანადო ცოდნის მიღების და სრული ასაკის მიღწევის შემდეგ ისინი ინტერნატს ემშვიდობებიან.

დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს იურიდიულ კონსულტაციას და ფეხმძიმე ქალთა კონსულტაციას. ორივე ტიპის კონსულტაციების რაოდენობა, ისეთვე, როგორც სხვა ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებათა რაოდენობა, რევოლუციის შემდეგ წლებში თანდათან იზრდება. მაგალითად, საბჭ. კავშირში 1924 წელს იყო 154 კონსულტაცია ფეხმძიმე ქალთათვის და 105 იურიდიული, 1925 წ. კი არსებობდა 243 კონსულტაცია ფეხმძიმე ქალთათვის. და 180 იურიდიული კონსულტაცია. (იურიდიული კონსულტაცია იძლევა რჩევა - დარიგებას დედისა და ბავშვთა უფლებების დასაცავად).

საჭიროა შეჩერება აგრეთვე ბავშვთათვის მეტად საჭირო დაწესებულებაზე — ეს არის სარძეო სამზარეულო. აქ ექიმის ხელმძღვანელობით კეთდება სპეციალური ნარევები ბავშვის საკვებად. ს. ს. რ. კავშირის თითქმის ყველა ცენტრალურ ქალაქებში ძუძუმწოვარ ბავშვთა კონსულტაციასთან არსებობს ასეთი დაწესებულება და ექიმს საშუალება აქვს დანიშნოს ბავშვის საჭირო ნარევი. (თბილისში სარძეო სამზარეულო არსებობს მხოლოდ თბ. ჯანმრთელობის განყოფილების გაერთიანებულ საბავშვო სახლთან და სახელმწ. უნივერსიტეტის საბავშვო კლინიკასთან).

ამ მოკლე წერილით კიდევ არ არის სავსებით ამოწურული ყველა ის საშუალებები და ზომები, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება იღებს დედათა და ბავშვთა დაცვის საქმის განვითარებისათვის და გაფართოებისათვის.

ექიმი ვლ. თოხაძე

ძღვნად მუშა ქალებს

(8 მარტის გამო)

ყოფნის თირკმლად ვინა გვხატავს?
ვართ ნაწყვეტი ვისი გულის?
ცხრა თვე მკერდ-ქვეშ ვინ გვინახავს,
ხვედრში რომ გვყავს წამებულის?

ვისი ძარღვი გვასხამს ძარღვებს?
ვისი სისხლი გვედგმის სისხლად?
ვინ ვაკლებთ მას, რაც ჩვენ გვარგებს,
გამოყოფნილს მისხლა-მისხლად?

ნორჩი რომ ვართ, ჯერ ბუნებით
უსუსურს და უსახათოს
ვინ გვეპყრობა მშობლიურ ვნებით,
რომ გვზარდოს და რომ გაგვართოს?

ვინ სწუხს ჩვენთვის ყოველ წუთში?
რომ ვსწუხთ, ჩვენთვის ვინა მგოდებს?
რომ ჩაგვიდგეს ძალა კუნთში,
პირში ძუძუს ვინ გვაწოდებს?

ვინ მოგვძახის მშობლიურ ნანას
და აკვანში ტკბილად გვარწევს?
ვინ გვახილვებს ჯერ ქვეყანას,
კვლავ ცხოვრებას შიგ ვინ გვაჩვევს?

თუ დაგვეტყო რამე ნაკლი,
ვინ ხდება მით გულ-ნატკენი?
— ეს დედაა—ამხანაგი,
მშობელი და სიმხნე ჩვენი!..

* * *

როცა მკაცრი წუთი გვედგას
და ცხოვრება გვიტევს მძიმედ,
გულში იმედს ვინ ჩაგვირგავს
ჩვენს შუქსავით მოციმციმედ?

ვინ ჩამოსდგამს ჩვენში ხალისს,
რომ მივაწვეთ სიმხნით ჭაპანს,
და ხვედრს, ზოგჯერ შესაბრალისს,
ვინ გვიყვარებს, ვით ტრფობის საგანს?

ვინ გვილიმის მზის ჭიატად?
ავსე მთვარედ ვინ გვილევის?
ძალას ვინ გვძენს ერთი-ათად,
ლხენად ვინ სცვლის გულის ტკივილს?

ვიღით გვმონებს ხსნის სახწორით,
რომ გვიცლერდეს შვებით ჩანგი?
—ეს ქალია, გულის სწორი,
მეუღლე და ამხანაგი!..

* * *

როცა მაქოს არხევს დგიმი,
როცა ქმედი სქსოვს ქსელავს,
ვინ უპყრია შრომის სიმი
და ქმედივით იქ ვინ ღელავს?
ვისი ხელი ზნექს მუყაოს?
ვინ არგვალებს გლარჯის მილებს?
ვინ სტენს შრომის საკუმნათს,
მას მზეუბრ ვინ შეელიმილებს?
ვისი გვხიბლავს იქ წესრიგი,
სისუფთავე, დგმა სადაგი?
—მუშა ქალი არის იგი,
მოკეთე და ამხანაგი!..

* * *

როცა მტერი ბრძოლის ველზე
გულს დაგვასობს მუხთალ ტარიგს,
ვინ შეგვიხსნის საკინძს ყელზე?
ვინ რთავს ჩვენი ხსნის თადარიგს?
სარეცელზე გვნახავს რაკი,
სიკვდილს ლახვარდ ვინ სცემს პირში?
— ეს და არის, ამხანაგი
ჩვენს ლხინსა თუ გასაჭირში..

* * *

მუშა, დედა, და თუ ცოლი,
ქალში, ამ ჩვენს ამხანაგში,
დღეს სახლშიც გვყავს მუშებს ტოლი,
შრომის ტევრს თუ მხვრის ბანაკში!
ვადასტურებ მეც ამ ცნობას,
ვით საბჭოთა ითხოვს წესი,
სადაც მხოლოთ ტკბილს თანხმობას
განიცდის დღეს ორი სქესი!
სხვა ქვეყნებზე ვერას გეტყვით
ასეთს გულის მოსაფონად,
სად უცქერენ ქალს კვლავ ეშვით
უუფლებო მონის მონად!

ნ. ზომლეთელი.

8 მარტი

უხარია დედას,
და ვზეიმობთ დები,
მტრობას ვინ გაბედავს
ყველა ავცეცხლდებით.
არ ეტყობა სევდა
მოხუც დედის სახეს,
ბედი რომ უგებდა
მუდამ ტანჯვის მახეს.
ეს ხომ ჩვენი დღეა
დღეს რვა არის მარტის
მოკაშკაშე მზეა
გამფანტველი დარდის.
დებო! მოედნებზე
და ქუჩებში ყველა
დღეს იტყვიან ჩვენზე:
მშრომელ ქალს ეშველა.
დღეს გაისმის შორით
მშრომელ ქალთა ჰიმნი
ვიყოთ თანასწორი,
და გავმართოთ ლხინი.
დებო, ეს ალამი
წითლათ შენაღები
არ დავხაროთ წამით
შორით წასაღები.
უხარია დედას,
ზეიმობენ დები,
მტრობას ვინ გაბედავს
ყველა ავცეცხლდებით.

სანდრო ეული.

მშრომელ ქალებს

აღარ გქონდათ დღეს მოთმობა,
გაიშალეთ ვარდად,
[illegible], წითელ დროშას
ხელი სტაცეთ მტკიცედ.
მოცვივდით ყველგან ქუჩებს,
[illegible] ფიანდაზად,
ლხინებით, [illegible],
ტკბილი ხმითა, ნაზად.
მამა-კაცებთან, თანასწორნი,
დროშა მაღლა აწიეთ,
ორგული და მოღალატე
ცეცხლის ალით დაწვით.
ყველა მედგრად ქალთა მწკრივში,
ფეხ-შეწყობით გაწიეთ,
მშრომელთა გული გაგვიხარეთ,
მტერს კი შიში ასვით.
ეს თქვენი ხმა, უცხო მხარეს
დაღუპვის ტანჯვის კარებს,
შავ ბანაკებს შემოუნთეთ
წითელ ცეცხლის ალებს.
ბარბაროსთა ჯალათ ღმერთებს
[illegible] თვალებს,
თქვენ დაიხსნით მონობისგან
ყველა ჩაგრულ ქალებს
კომინტერნის სიყვარული
ჩაუნერგეთ შვილებს,
ქართველ მუშა სალამს გიძღვნით
[illegible] გადაშლილებს.

მუშა ვ. სალუქვაძე.

საზეიმო დღე

ვინ არ იცის, თუ რა უუფლებო მონას წარმოადგენდა ქალი წინედ. თვითმპყრობელობის რეჟიმის დროს. თითქმის ასეთივე უუფლებოა დღესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში, კიდევ უფრო დაჩაგრულია ქალი აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამათგან გამონაკლისს მხოლოდ საბჭ. კავშირის მშრომელი ქალები შეადგენენ, სადაც ოქტომბრის რევოლიუციამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დალეწა ქალთა მონობის ბორკილები და ის უფლებრივად მამაკაცს გაუთანასწორა.

საბჭოთა ხელისუფლებამ სრულიად ახალ საფუძვლებზე ააგო როგორც საოჯახო, ისე საქორწინო კანონმდებლობა.

ერთ დროს ბურჟუაზიაც ამაყობდა ქალთა „განთავისუფლებით“, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ზოგიერთ ქვეყნებში ქალს მინიჭებული აქვს საარჩევნო უფლება. სამაგიეროდ ქალი სრული მონაა წარმოებაში - ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც მას ეკონომიური გაჭირვება მიერეკება სამუშაოდ. წარმოებაში ქალის შრომა გაცილებით ნაკლებადაა დაფასებული, ვინემ მამაკაცის, ქალები ვერ სარგებლობენ ფეხმძიმობის დროს შეღავათებით და სხვა.

როგორია ამ მხრივ ქალების მდგომარეობა საბჭოთა რესპუბლიკებში?

აქ ქალი სარგებლობს ყველა იმ უპირატესობებით, რაც მუშა მამაკაცს აქვს მინიჭებული. ყოველწლიური შვებულება, ფეხმძიმობის დროს რამდენიმე თვე დასვენება სრული ხელფასის შენახვით, ისეთი ქალების სამუშაოდან დათხოვნის აკრძალვა, რომელთაც შვილები ყავთ შესანახი, ან სხვა მარჩენალი არავინ ყავს და მრავალი სხვა.

რაც შეეხება ქალის მონაწილეობას სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში, ამ მხრივაც საბჭოთა რესპუბლიკებში განსაკუთრებული მდგომარეობაა. მშრომელი ქალები ფართოდ არიან ჩაბმული საბჭოებში, კოოპერაციაში, სასამართლოს ორგანოებში და მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ორგანიზაციებში.

მიუხედავად ამისა, მშრომელი ქალი ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს ყველა იმ უფლებებით, რომელიც მას მიანიჭა საბჭოთა ხელისუფლებამ. ამაში ქალს ხელს უშლის ოჯახური წვრილმანი საქმეები.

საჭიროა ფართოდ იქნეს გავრცელებული საბავშვო კერები, საერთო სასადილოები, სამრეცხაოები, ბაგები და სხვა ამგვარი დაწესებულებანი, რომ ქალმა სავსებით შესძლოს თავისი უნარის გამოჩენა სოციალისტურ აღმშენებლობაში.

მუშკორი ნინო.

მუშა-ქალებო, გლეხ-ქალებო და ყველა მშრომელო ქალებო!

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი, თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭო და საქართველოს პროფესიონალური კავშირების საბჭო მხურვალე სალამს გიძღვნიან ქალთა საერთაშორისო დღეს!

18 წლის წინედ, იმ წლებში, როცა მთელი მსოფლიოს კაპიტალისტები გაფრთხილებით ემზადებოდნენ 1914—1918 წლის სისხლის მღვრელი იმპერიალისტური ომისათვის, იმ წლებში, როცა მზადდებოდა მუშათა კლასის უმაგალითო გამცემლობა კონტრ-რევოლიუციონური მენშევიკური მე-2 ინტერნაციონალის ბელადების მხრივ, სწორედ ამ წლებში გაისმა პროლეტარულ ქალთა მასების რევოლიუციონური ბელადის კლარა ცეტკინის მძლავრი ხმა—**„მთელი მსოფლიოს მუშა-მშრომელო ქალებო შეერთდით!“**

მას შემდეგ 8 მარტი გახდა მშრომელ ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღედ მთელი პროლეტარიატის იმ ძალთა შემოწმების, დღედ, რომელნიც იბრძვიან მშრომელთა გასანთავისუფლებლად კაპიტალის მონობის უღლიდან.

დიდმა პროლეტარულმა რევოლიუციამ 1917 წ. ოქტომბერში გაარღვია იმპერიალისტური ფრონტი, საბჭოთა კავშირის მრავალი მილიონი მშრომელები განთავისუფლა ბურჟუაზიული ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან და შექმნა მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფო.

8 მარტი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში არის არა მარტო მშრომელ ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, არამედ მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ზრდის შემოწმების დღე, სოციალიზმის მშენებლობაში მათი აქტიური მონაწილეობის შემოწმების დღე.

ქალთა საერთაშორისო დღის ეხლანდელი 18 წლის თავი როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე თავისუფალ საბჭოთა საქართველოში ტარდება შემდეგი ლოზუნგებით: „საბჭოთა ხელისუფლების შემდგომი განმტკიცება, სოციალისტური მშენებლობის გაფართოვება და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება მებრძოლი იმპერიალიზმის წინაშე.

მუშა-ქალებო! თქვენ უნდა იყოთ სოციალისტური მშენებლობის ამ დიადი საქმის აქტიური მონაწილენი. თქვენ უნდა შეიტანოთ თქვენი წინადადებანი საწარმოო თათბირებზე, კონფერენციებზე, კომისიებში, სადელეგატო კრებებზე!...

საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობამ ახალი სოფლის მშენებლობის ცენტრალურ ამოცანად წამოაყენა მაშინიზაცია და ახალი კოლექტიური ფორმების განვითარება სასოფლო-მეურნეობაში. მშრომელო გლეხ-ქალებო! თქვენ მოწინავე მებრძოლნი უნდა იყოთ სოფლის კოლექტივიზაციის იდეისათვის, კულტურული რევოლიუციისათვის, თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ ყოველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ანთავისუფლებს გლეხ-ქალს აუტანელი საოჯახო შრომისაგან.

საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანა სდგას მშრომელ ქალთა წინაშე კოოპერაციის განმტკიცება—განვითარების საქმეში. კოოპერატიული სადუქნო კომისიების 50 პროც.-ზე მეტი შესდგება ქალთაგან. მშრომელო ქალებო! თქვენს ხელშია საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად ამოცანათა გატარება: ფასების დაკლება, ყოფა-ცხოვრების დაწესებულებათა მოწყობა, მუშათა და გლეხთა, მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა კავშირის განმტკიცება.

სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა შესრულება შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა წერა-კითხვის ცოდნა, კულტურული განვითარება გახდება ყოველ გლეხ-ქალის, ყოველ მშრომელი ქალის საქმედ, როცა ახალგაზრდათა თაობა, ქალთა მოზარდი თაობა იქნება წერა-კითხვის მცოდნე, კულტურულად განვითარებული და საზოგადოებრივად მომზადებული!

არც ერთი ქალიშვილი არ უნდა დარჩეს წერა-კითხვის უცოდინარი, არც ერთი მოზარდი ქალიშვილი არ უნდა დარჩეს სკოლის გარეშე!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის კომიტეტი მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის მე-18 წლის თავზე მოუწოდებს მუშა-ქალებს და გლეხ-ქალებს კიდევ უფრო მჭიდროთ დაირაზმონ, შემოკრბენ ლენინის პარტიის ირგვლივ, რომელსაც ძლევა-მოსილად მიჰყავს მშრომელნი სოციალიზმისაკენ და ფაქტიური განთავისუფლებისაკენ.

როცა ჩვენ ვასრულებთ საბჭოთა ქვეყნის საშინაო მშენებლობის ამოცანებს, ამით ჩვენ ვაახლოებთ მსოფლიო, პროლეტარულ რევოლიუციას, მთელი მსოფლიოს მუშა-ქალთა, გლეხ-ქალთა და მშრომელ ქალთა განთავისუფლებას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალთა განთავისუფლებას!

გაუმარჯოს კომუნისტურ (ბოლშევიკების) პარტიას!

გაუმარჯოს საქართველოს მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა კავშირს მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებთან!

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი.

თბილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭო.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოსაგან

მშრომელ ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს, ამიერ-კავკასიის პროფსაბჭო მხურვალე პროლეტარულ სალამს უძღვნის ამიერ-კავკასიისა და მთელი საბჭოთა კავშირის მუშა და გლეხ ქალებს.

ამ დღეს თვითეულმა მუშა და გლეხ ქალმა არ უნდა დაივიწყოს, რომ კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში ჯერ კიდევ მრავალი მილიონი მშრომელი ქალი გმინავს იმპერიალისტური მონობისა და ძალადობის უღლის ქვეშ.

მხოლოდ პროლეტარიატის გამარჯვება ამ ქვეყნებში განთავისუფლებს მშრომელ ქალებს პოლიტიკურ, ეკონომიურ და ოჯახური ჩაგვრისაგან და გაუხსნის მათ ახალი თავისუფალი ცხოვრების მშენებლობის ფართო გზას.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭო ღრმად დარწმუნებულია, რომ ჩვენი ფედერაციის თავისუფალი ქალები, რომლებიც აქტიურად ეხმარებიან პროლეტარულ სახელმწიფოს სოციალისტური მშენებლობის საქმეში და მონაწილეობას ღებულობენ პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ მუშაობის ყველა დარგებში, დახმარებას გაუწევენ საჭირო მომენტში კაპიტალისტური სახელმწიფოების თავისუფლებისათვის მებრძოლ პროლეტარიატს და აღმოსავლეთის კოლონიალურ ქვეყნების მშრომელთა დაჩაგრულ მასებს.

გაუმარჯოს მშრომელი ქალების განთავისუფლებას მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს ა.-კ. ს. ფ. ს. რ. მუშა და გლეხ ქალებს—ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის აქტიურ მონაწილეთ.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმი.

ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის—აღსანიშნავად შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები და ცალკე სახალხო კომისარიატებს და სხვადასხვა პროფესიონალურ და საბჭოთა დაწესებულებებს წინადადება მისცა გაატარონ იგი ცხოვრებაში შემდეგი სახით:

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს:

გადასცეს ქალთა მშრომელ ნადებს აბრეშუმის თესლი თუთის ხის ნერგები, სათესლე მასალა და სხვ.

გამოყოს ფონდიდან მიწის ნაკვეთები ქალთა ნადებისა და სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების მოსაწყობად და გაუწიოს მათ ყოველგვარი დახმარება.

გაუძლიეროს ნივთიერი დახმარება არსებულ ნადებს.

განათლების სახალხო კომისარიატს.

გააუმჯობესოს კვება საბავშვო სახლებში, ბაღებში და სხვ.

8 მარტის აღსანიშნავად გახსნას 8 საზაფხულო ბავშვთა მოედანი მაზრებში.

გახსნას პროფტექნიკური განათლების სკოლები და სალიკვიდაციო პუნქტები ქალთათვის.

გაუგზავნოს სამაზრო პროფტექნიკურ სკოლებს 5 საკერავი მანქანა.

ქალთა კუთხეებს მაზრებში დაუგზავნოს 15 ბიბლიოთეკა, ქოხ-სამკითხველოებისათვის შედგენილი.

აღდგენილ იქნეს საბავშვო ბაღი გორის მაზრის ს. სამთავისში.

გახსნას ქ. თბილისში ბავშვთა სარაიონო ბიბლიოთეკა.

გახსნას რკ. გზ. კლუბთან ქალაქ თბილისში ბავშვთა ოთახი.

რკინისგზის განყოფილებამ გახსნა ორი საბავშვო კერა—ქალ. ხაშურში და ქალ. თბილისში ლენინის რაიონში.

ამას გარდა წინადადება ეძლევა განათლ. სახ. კომისარიატს მიიღოს ზომები, რათა მომავალი წლის ბიუჯეტში იქნეს გათვალისწინებული ბავშვთა ახალი ბაღების გახსნა მაზრებში.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს:

გახსნას ქალ. თბილისში: საჩვენებელი კონსულტაცია ძუძუმწოვარ ბავშვთათვის, საჩვენებელი კონსულტაცია ქალთათვის, ბაგა 20 ბავშვისათვის ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტთან.

ქალ. ქუთაისში: კონსულტაცია ბავშვთათვის, კონსულტაცია ქალთათვის.

ქალ. გორში: კონსულტაცია ბავშვთათვის, კონსულტაცია ქალთათვის.

ქალ. ახალციხეში: კონსულტაცია ბავშვთათვის, კონსულტაცია ქალთათვის.

ახალციხის მაზრა: სოფ. უდეში—კონსულტაცია ბავშვთათვის და სოფ. აწყურში—კონსულტაცია ბავშვთათვის.

ქალ. ბათომში: კონსულტაცია ძუძუმწოვარ ბავშვთათვის.

ქალაქ ცაგერში: კონსულტაცია ძუძუმწოვარ ბავშვთათვის, კონსულტაცია ქალთათვის.

იუსტიციის სახალხო კომისარიატს:

სახალხო სასამართლოებმა, სასწრაფოდ გამოყონ ის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები, რომლებშიაც მხარეებად გამოდიან მშრომელი ქალები და დაამთავრონ ეს საქმეები არა უგვიანეს მარტის 20-სა, განსაკუთრებით კი—საქმეები შრომის ხელფასისა, ალიმენტებისა და ხვების შესახებ.

გამომძიებლებმა პირველ რიგში გამოყონ მათ წარმოებაში მყოფ საქმეები მშრომელი ქალების შესახებ და დაამთავრონ გამოძიება ამ საქმეებზე ორი კვირის განმავლობაში.

დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმებმა, საკონსულტაციო კამერებმა და რწმუნებულებმა—გაუწიონ მშრომელ ქალებს იურიდიული დახმარება და მისცენ მათ რჩევა-დარიგება მარტის 1-დან 20-დე ან სრულიად უფასოდ ან მცირე ფასში.

მშრომ. ქალთა ფართო მასის თვითშეგნების გასავითარებლად და მათთან საბჭოთა სისტემისა და საბჭოთა აღმშენებლობის ამოცანების დედააზრის გასაცნობად მარტის 1-დან 20-მდე გამართულ იქნეს მოხსენებები და ლექციები როგორც საოჯახო და სხვ. უფლებებისა, აგრეთვე საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ.

ზემოხსენებულ ღონისძიებათა განხორციელებლად წინადადება ეძლევა იუსტიციის სახ. კომ. იქონიოს მჭიდრო კავშირი ადგილობრივ ქალთა განყოფილებებთან და გამოიყენოს ყველა ადგილობრივი იურიდიული ძალები.

სახალხო მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშნულ იქნენ ქალთა კანდიდატები, რომელთაც აგზავნის მუშა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილებები იმ პირობით, რომ ეს კანდიდატები მიიღებენ სათანადო მომზადებას და გამოცდილებას იუსტიციის სახ. კომისარიატში.

საქ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს:

პარტიულ ორგანიზაციათა და პროფაქტივებთან ერთად ადგილებზე შესწავლილ და მომზადებულ იქნეს სათანადო კანდიდატურები მუშა-ქალების საადმინისტრაციო-სამეურნეო თანამდებობაზე დასაწინაურებლად, აგრეთვე დაწინაურებულ იქნენ მუშა-ქალები წარმოებებში და დაწესებულებებში.

წარმოებებში მომუშავე მუშა-ქალთა რიცხვიდან გამოყოფილ იქნენ კანდიდატები, შრომის გმირის სახელწოდების მისაღებად.

ქალთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიღებულ იქნეს ზომები სხვადასხვა წრეებისა და კუთხეების გასახსნელად, დასმულ იქნეს საკითხი შრომის ბირჟის წინაშე შრომის კოლექტივებში ქალთა პროცენტის გადიდების შესახებ, გახსნილ იქნეს სპეციალური კოლექტივები ქალთა დიდი პროცენტის ჩაბმით. მაქსიმალურად გამოყენებულ იქნეს თანხები, რომელიც გადადებულია ქალთა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის გასაუმჯობესებლად. და ამ თანხებით გახსნილ იქნეს ახალი ორგანიზაციები და გაფართოებულ იქნეს არსებულები. (ბაგა, ბავშვთა მოედანი, ბაღი და სხვ.).

გამოკვლეულ იქნეს ქალთა შრომის პირობები და გამომუშავებულ იქნეს ღონისძიებები მის გასაუმჯობესებლად.

გამოკვლეულ იქნეს მუშაობა შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ კომისიისა ქალთა შრომის შესწავლისა და გაუმჯობესების დარგში.

გამოკვლეულ იქნეს კავშირის ორი ცენტრ. მმართველობა—ფეიქართა და გემთ-კვების—ქალთა შორის მუშაობის მდგომარეობის გამოკვლევის ხაზით.

შესწავლილ იქნეს ყველა დადგენილება ქალთა მდგომარეობის, ყოფა-ცხოვრების და შრომის გაუმჯობესების საკითხების გარშემო, უმთავრესად—ისეთ დაწესებულებათა გახსნის საკითხში რომლებიც მიზნად ისახავს ქალების მონურ მდგომარეობიდან განთავისუფლებას და აგრეთვე თუ რამდენად გატარებულია ცხოვრებაში ზემოხსენებული დადგენილებები.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს:

გადასცეს ქიქოძის სახელობის ქალთა საინსტრუქტორო სკოლას 3.000 მანეთი.

მოაწყოს კონკურსი საუკეთესო მუშა-ქალზე და გამოყოს ტრესტებთან განსაკუთრებული თანხები პრემიის დასარიგებლად.

ყურადღება მიაქციოს მუშა-ქალთა დაწინაურების საკითხს.

შეავსოს წარმოებებთან არსებული კლუბებისა და კუთხეების ბიბლიოთეკები სპეციალური ლიტერატურით ქალთა მოძრაობისა, ქალთა შრომის დაცვისა და სხვების შესახებ.

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირს:

მოაწყოს — საფეიქრო ნადები: ქარელში, რუისში, ავლევში.

შინამრეწველ ქალთა ნადები: ქალაქ თელავში, ქალაქ სამტრედიაში.

გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტებს:

გამართოს მოხსენებები ქომბაზობასა და სხვ. მავნე ზნე-ჩვეულებებთან ბრძოლის შესახებ, რომლის მსხვერპლად ხშირად ხდებიან გლეხ-ქალები.

მიიღოს ზომები ისეთ საკულტურო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გასახსნელად და მოსაწყობად, რომელნიც აუმჯობესებენ ქალთა მდგომარეობას, (სალიკვიდაციო პუნქტები, ბავშვთა ბაღი, კონსულტაცია ბავშვთათვის და ქალთათვის და სხვ.).

მოწყობილ იქნეს სხვადასხვა შრომის კოლექტივებში ჭრა-კერვის სკოლები და სხვა.: გლეხკომებმა გამოყონ თავის ფონდიდან განსაზღვრული პროცენტი გლეხ-ქალთა შორის მუშაობის გასაფართოებლად და გასაღრმავებლად.

გამომუშავებულ იქნეს გეგმა ქალთა დამხმარე ახალ დაწესებულებათა გასახსნელად, რომელიც უნდა იქნან შეტანილი 1928—29 წ. ბიუჯეტში.

თბილისის აღმ. კომს:

მარტის თვის განმავლობაში თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა მოისმინოს მოხსენებები ყოფა-ცხოვრების დაწესებულებათა მდგომარეობის შესახებ (დედათა და ბავშვთა დაცვა, ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისია და სხვ.).

საბჭოს სექციებმა მოისმინონ—მარტის თვის განმავლობაში—ანგარიშები საბჭოს წევრ-მუშა-ქალთა.

გააგზავნოს საბჭოს წევრ-ქალთა ექსკურსია ქ. ბაქოში.

თბილისის აღმასკომის პოლიტგანათლების განყ.: გახსნას რადიო თურქ-ქალთა კლუბში, გახსნას ეზიდების კლუბში ჭრა-კერვის სკოლა. მოაწყოს მოძრავი კინო თბილისის მაზრაში, მოაწყოს მოძრავი რადიო თბილისის მაზრაში.

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყ.: ცაკთან არსებულ ბავშვთა კომისიასთან ერთად გახსნას საზაფხულო ბაგა. გახსნას ორსულ ქალთა კონსულტაცია საგარეჯოში.

სახალხო განათლების განყოფილებას: მოაწყოს ორი ჭრა-კერვის სკოლა გომბორში და ყარაიაში.

მთლიან მუშათა კოოპერატივს: გახსნას სპეციალური მაღაზია „დედა და ბავშვი“. გახსნას საზაფხულო მოედნები.

სოფლის-სამეურნეო კოოპერაციას: ღარიბ მოსახლეობის კოოპერაციაში [illegible] ლად გადადებულ ფონდიდან [illegible] ნეს განსაზღვრული თანხა ღარიბ ქალთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში ჩასაბმელად.

გაძლიერებულ იქნეს გლეხ-ქალთა კოოპერაციაში ჩაბმა, განსაკუთრებით—კი ჩამორჩენილ მაზრებში.

გაუძლიერდეს კრედიტი ქალთა სასოფლო-სამეურნეო ნადებს, გადადებულ იქნეს თანხები ნადების მოსაწყობად და აგრეთვე გადაეცეს მათ სათანადო ინვენტარი.

მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების კომისიას:

გახსნას ქ. თბილისში მკერავთა ნადი და ქალთა დროებით თავშესაფარში—სამრეცხაო და წინდის საქსოვი სახელოსნო.

გახსნას ფშავ-ხევსურეთში ჭრა-კერვის სკოლები, და გლეხ-ქალთა კუთხეები.

გახსნას 1-ლ გამსახლში სახელოსნო, გამსახლში მოთავსებულ ქალთათვის.

გახსნილ იქნეს მაზრებში და ავტონ. რესპუბლიკებში ქალთა მონურ მდგომარეობიდან განმანთავისუფლებელი დაწესებულებები, რისთვისაც გადაიდეს ყველა ადგილობრივ კომისიას 8.000 მან.

ჩატარებულ იქნეს 8 მარტს კავშირის წევრად ჩაწერა ბუფეტის იმ გამგე-ქალებისა რომელთაც იმუშავეს ბუფეტში ორ-სამი წელი.

თბ. მუშკოოპის მონაწილეობა რვა მარტის ზეიმში

თბილისის მუშკოოპის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს ფართედ გამოიყენოს მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე—8 მარტი—ქალთა კოოპერატიულად შეკავშირებისა და კოოპერაციაში მათი აქტიობის აწევის მიზნით.

მუშაობას ამ მიმართულებით მუშკოოპი შეუდგა პირველ მარტს. თბილისის სხვადასხვა რაიონებში ეწყობა მოხსენებები ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობის და იმის შესახებ, თუ რა როლის შესრულება შეუძლია კოოპერაციას ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებაში და ყოფა-ცხოვრების გარდაქმნაში.

8 მარტს მუშკოოპის კლუბში, მუშკოოპის წევრ ქალთა აქტივისათვის, გაიმართება საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს კოოპერატიული თეატრი. ნაჩვენები იქნება აგრეთვე კინო-სურათი.

ამავე დღეს კლუბთან გაიხსნება „დედისა და ბავშვის“ კუთხე. ქალთა საერთო კრებები, რომლებიც გაიმართება ამ დღეს გამოყენებული იქნება კოოპერაციაში ახალ წევრ-ქალების ჩასაწერად.

ულარიბესთა ფონდის ხარჯზე მუშკოოპს განზრახული აქვს 200 ულარიბესი ქალის ჩაწერა კოოპერატივის წევრად.

ამასთანავე მოხდება ისეთი ქალების დაწინაურება, რომელთაც გამოიჩინეს უნარი კოოპერატიულ საქმიანობაში.

არსებულ კოოპერატიულ წრეებს გარდა რვა მარტისთვის მუშკოოპი მოაწყობს კიდევ 4 ასეთ წრეს, სადაც მეცადინეობა იწარმოებს ქართულ, რუსულ, თათრულ და სომხურ ენებზე.

8 მარტს მუშკოოპის სავაჭროები მორთული იქნება რევოლიუციონერ ქალების სურათებით და დღის შესაფერი შინაარსის პლაკატებით და დიაგრამებით.

სავაჭროებში გავრცელებული იქნება კოოპერატიული ხასიათის ლიტერატურა.

ზაჰესის დატვირთვა

უკანასკნელ ხანებში ხშირად გვესმის: ზაჰესის დატვირთვა ძალიან მცირეა და ზაჰესის სამუშაოთა სამმართველოს ვარაუდი ამ მიმართულებით არ გამართლდაო. ამ აზრმა გაიკაფა გზა ცენტრის პრესაშიაც. ამიტომ არ იქნება ინტერესს მოკლებული ამ საკითხის გაშუქება და გაფანტვა ამ არა სწორ წარმოდგენისა სადგურის დატვირთვის შესახებ.

მსხვილი ჰიდროელსადგურის მშენებლობის დროს, მით უმეტეს ისეთის, რომელსაც არ აქვს დამხმარე სადგური და რომელიც უნდა ემსახუროს მთელ ქალაქს ან რაიონს, დაუშვებელია ანგარიშის წარმოება იმ აზრით, რომ ელსადგური აშენებისთანავე დატვირთული იქნება მთელი 100 პროცენტით. ასეთი მშენებლობა იქნებოდა ტეხნიკურად დაუშვებელი, ვინაიდან ამ შემთხვევაში სადგურმა ან უნდა უარყოს ახალი აბონენტების შეერთება და ძველი აბონენტების გაფართოების სურვილი, ან სასწრაფოთ გააფართოოს დანადგარი, უკანასკნელს-კი სჭირია ბევრი დრო და იმასთან ის გამოიწვევს ერთგვარ უხერხულობას.

ამიტომ ასეთი სადგური უნდა აშენდეს იმ ანგარიშით, რომ დააკმაყოფილოს ზემოდ მოყვანილი მოთხოვნილებანი 5 წლის პერიოდისათვის მაინც და ცხადია აქედან. რომ ექსპლოატაციის პირველ წლებში სადგური იმუშავებს ნაკლები დატვირთვით.

ზაჰესში, როგორც ვიცით, დადგმულია 4 ტურბინა, თითო 4500 ცხენის ძალით, ანუ სულ 18.000 ც. ძ. ტურბინის ღერძზე და 12.800 კ. უ. სადგურის სალტეზე. მაქსიმალური სიდიდე ტვირთისა ანუ ეგრეთწოდებული პიკი სადგურისა იანვრის და თებერვლის პერიოდში აღწევს 6200—6500 კ. უ. ამრიგად ტვირთის პიკი უკვე აღემატება 50 პროც. მთელ დადგმულ სიმძლავრისას.

თუ მივიღებთ მხედველობაში, და ეს აუცილებელია, რომ ზაჰესი არის ერთი სადგური და მას არ აქვს არავითარი სხვა რეზერვი, ცხადია, რომ ეს რეზერვი უნდა იყოს თვით ელ-სადგურზევე მიუხედავად იმისა, რომ წყლის ტურბინები საკმარისად სანდო მანქანებია, რომელთაც იშვიათად სჭირდება შეკეთება, მაინც ტურბინის და მასთან დაკავშირებულ გენერატორების გაფუჭება შესაძლებელია; ამიტომ სადგურზე უნდა იყოს რეზერვ-აგრეგატი დაზიანებულის მაგიერ, ამრიგად, უზრუნველყოფილი, ანუ რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „მომუშავე სიმძლავრე“ ზაჰესისა, არის სიმძლავრე 3 ტურბო-გენერატორისა, ე. ი. 9600 კ. უ. და, მაშასადამე, დატვირთვის პიკი უკვე აღწევს 68 პროც. მომუშავე სიმძლავრისას.

მივიღებთ რა მხედველობაში, რომ ზაჰესისათვის ასეთ მოვლენას ადგილი აქვს ექსპლოატაციის დაწყების მხოლოდ 6 თვის შემდეგ და **ტვირთვის ნაკლებობაზე ლაპარაკი ზედმეტია.**

თუ ექსპლოატაციის პირველ თვეებში ადგილი ჰქონდა დატვირთვის ნაკლებობას, ეს სრულებით არ არის შეცდომა ზაჰესის დატვირთვის წინასწარ ანგარიშებში, არამედ მოუმზადებლობა კერძო აბონენტებისა და განსაკუთრებით კი წარმოებებისა ახალ დენზე გადასასვლელად. მაგალითად, ტრამვაიმ ზაჰესის დენით მუშაობა დაიწყო 1927 წლის დეკემბრიდან და ისიც ნაწილობრივ უმფორმერების ქვესადგურის მონტაჟის დაუსრულებლობის გამო. არც ერთი მსხვილი წარმოება და ქალაქის წყალსადენიც კი არ არის გადასული ზაჰესის დენზე, რაც აიხსნება ელექტრო-მოწყობილობათა მიღების დაგვიანებით (მაგ. ტრამვაისათვის გამოწერილი მოწყობილობა მოვიდა ერთი წლის დაგვიანებით ხელშეკრულების წინააღმდეგ).

გადავიდეთ მეორე საკითხზე,—თუ რა ფარგლებში გამართლდა აღმშენებლობის ვარაუდი სადგურის დატვირთვის შესახებ. ამ ვარაუდის თანახმად, 1928 წელში, რომელიც მიღებულია როგორც პირველი წელი ნორმალური ექსპლოატაციისათვის, სადგურის ენერგიის გასავალი უდრის 27 600.000 კილოუატ საათს წელიწადში და დატვირთვა ზამთრის დღე-ღამისა ხასიათდება შემდეგი სიდიდით: დატვირთვის პიკი 6800 კ. უ. და გასავალი ენერგიისა 100.000 კ. უ. ს. დღეში, ფაქტიურად კი დატვირთვა ამავე წლის იანვრის და თებერვლისა გვიჩვენებს შემდეგს: საშუალო პიკი 6300 კ. უ., ენერგიის გასავალი 73500 კ. უ. ს. დღეში, ე. ი. უკვე აღწევს 92,5 პროც. ნავარაუდევ დატვირთვის მაქსიმუმს და 73,5 პროცენტ. ნავარაუდევ ენერგიის ხარჯვისას.

თუ მოვიგონებთ, რომ ნავარაუდევი სიდიდე არის საშუალო წლიური, ე. ი. ანგარიშობენ ყველა გაფართოებას ერთი წლის განმავლობაში და ფაქტიური დატვირთვა კი შეეხება მხოლოდ წლის დასაწყისს, ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რომ დატვირთვის ნაკლებობას, რომელზედაც ამდენი ლაპარაკია, ადგილი არ აქვს.

სურათის უფრო სრული წარმოდგენისათვის მოვიყვანთ ციფრებს. ნავარაუდევს ექსპლოატაციამდე და ფაქტიურს, ზამთრის დღისათვის სხვადასხვა სახის ტვირთებისათვის შენობათა განათება—ნავარაუდევი—24.000 კ. უ. ს. ფაქტიური—28600 ანუ 119 პროც. ნავარაუდევისა. ქუჩების განათება ნავარაუდევი—4 200 კ. უ. ს., ფაქტიური—6100. ანუ 145 პროც., ტრამვაი: ნავარაუდევი—20.500 კ. უ. ს., ფაქტიური—19000 კ. უ. ს. ანუ 93 პროც. საწარმოო დატვირთვა: ნავარაუდევი 28 000 კ. უ. ს., ფაქტიური—4.800 კ. უ ს., ანუ 17.1 პროც. ავჭალის წყალსადენი: ნავარაუდევი—7.100 კ. უ. ს., ფაქტიურად არაფერი. სადგურის თვით საჭიროებაზე და დაკარგვაზე: ნავარაუდევი 16 200 კ. უ. ს. მაგიერ 15 000 კ უ. ს., ანუ 93 პროც. ამ შედარებიდან ვხედავთ, რომ ენერგიის გასავალმა შენობების გასანათებლად გადააჭარბა ნავარაუდევს 19 პროც. და ქუჩების განათებამ 45 პროც. ტრამვაიზე ენერგიის ხარჯვა თითქმის აღწევს ნავარაუდევს, მიუხედავად იმისა, რომ ის ზაჰესის დენზე მუშაობს მხოლოდ დილის 7 საათიდან საღამოს 10 საათამდე სავსებით ზაჰესის დენზე გადასვლით, რაიც მოხდება ახლო მომავალში, ტრამვაის ენერგიის ხარჯვა გადააჭარბებს ნავარაუდევ ციფრს. შედარებით დიდ დაუტვირთაობას ვხედავთ ჩვენ წარმოებების მხრით, სადაც ფაქტიური ტვირთი აღწევს ნავარაუდევის მხოლოდ 17,1 პროც., და ავჭალის წყალსადენებზე, სადაც ტვირთი უდრის ნოლს. აიხსნება ეს როგორც უკვე ვთქვით, იმით, რომ არც ერთ მსხვილ წარმოებას და მასთან წყალსადენს არ მიუღია თავის დროზე ელექტრო-მოწყობილობა. თუ კი უკანასკნელის მიღების დაგვიანებას არ ექნებოდა ადგილი ნავარაუდევ საწარმოო ტვირთს აღემატებოდა ფაქტიური და ამრიგად საშუალო დღიური ენერგიის გასავალი, ნავარაუდევი 1928 წლისათვის, ფაქტიურად გვექნებოდა წლის დასაწყისში.

საკითხის შეფასების დროს არ შეიძლება მოხდეს შედარება ნავარაუდევ დატვირთვებისა და ფაქტიურ დღიურ დატვირთვისა, ვინაიდან უკანასკნელი გვაძლევს დატვირთვის სურათს წლის დასაწყისში საჭიროა გაშუქდეს საკითხი მომავალ დატვირთვებისა მთელი წლის განმავლობაში, ენერგიის გასავალი დღე-ღამეში წლის ბოლოში და შემდეგ მოხდეს ზემოთაღნიშნული შედარება.

აქედანვე აღრიცხვა მომავალ ტვირთისა ძნელია. მაგრამ გვაქვს სადგურის მუშაობის ნახევარ წელიწადზე მეტი გამოცდილება და ვიცით წარმოებათა მდგომარეობა ამ მხრით, ამიტომ შეგვიძლია საკმარისი სისწორით გამოვიყვანოთ დასკვნა.

ზაჰესის ამუშავების დღიდან ვიდრე დღევანდლამდე დატვირთვა იზრდება შემდეგნაირად:

პიკი დატვირთვებისა კ. უ.-ში:

1 ივნისი —1320, 1 ივლისი—1680, 1 აგვისტო—1700, - სექტემბერი—1950, 1 ოქტომბერი—2500, 1 ნოემბერი—3100, 1 დეკემბერი—3650, 1 იანვარი—5100, 1 თებერვალი—6200, 17 თებ.—6500 გამომუშავებული ენერგია კილოუატ საათებში: ივნისში—449 500 კ. უ. ს. ივლისში—525.000, აგვისტოში—663.200, სექტემბერში—690.800, ოქტომბერში—944 600, ნოემბერში—1.187.000, დეკემბერ.—1.601.000, იანვარში—1.916.000, თებერვ.—1.959.000,

როგორც აქედან ვხედავთ, სადგურის დატვირთვა იზრდება ინტენსიურად. ეს ზრდა აიხსნება ერთის მხრით განათების აბონენტების მომატებით და, მეორე ღამის ხანგრძლივობით, რის გამოც განათება, რომელიც შეადგენს სადგურის დატვირთვის უმთავრეს ნაწილს, ბუნებრივად უნდა გაზრდილიყო.

მომავალში ასეთი ტემპით ზრდას ადგილი აღარ ექნება, მიუხედავათ ამისა, ვეყრდნობით რა წარმოებათა მზადებას ზაჰესის დენზე გადასასვლელად ამავე წელში და განათების აბონენტების მატებას, შეგვიძლია გამოვიყვანოთ ნავარაუდევი ენერგიის ხარჯვა 1928 წლის ბოლოსათვის. ამ ვარაუდით დღიური ხარჯვა იქნება 122.000 კ. უ. ს ამ რიგად მომავალი დატვირთვა აუცილებლად გადააჭარბებს ზაჰესის სამუშაოთა სამმართველოს მიერ ნავარაუდევ ტვირთს დატვირთვის მაქსიმუმი მიაღწევს 8200 კ უ ს., ე ი შეადგენს 64 პროც დადგმულ და 85 უზრუნველყოფილ სიმძლავრისას და, მაშასადამე, არა თუ დგება საკითხი სადგურის დაუტვირთაობაზე არამედ მის გაფართოებაზე და მეორე რიგის მანქანების დადგმაზე.

უკანასკნელი საკითხის გამოსარკვევად საჭიროა დატვირთვების პერსპექტივების გადასინჯვა. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ქვემოდ ჩამოთვლილი ციფრები შეადგენენ აბსოლიუტურ სინამდვილეს. მათი გამოყვანის დროს აღებული იყო მხოლოდ რეალურად გამორკვეული მომავალი ტვირთები და შესაძლებელ შეცდომას არ ექნება დიდი გავლენა ანგარიშისათვის, თუ როდის დაიწყება სადგურის გაფართოება. არ შევჩერდებით აქ ყველა მომავალ ტვირთის ჩამოთვლაზე, მხოლოდ მოვიყვანთ ცნობებს, რომ დიდუბის ქვესადგურის რაიონში ზაჰესის აშენებასთან დაკავშირებით შენდება მსხვილი საწარმოო წამოწყებანი, როგორც, მაუდის ქარხანა—დადგმული სიმძლავრით 1000 კ. უ., ხე-ტყის ქარხანა—1000 კ. უ., ლითონის ქარხანა დაახლოებით 1000 კ. უ. და დაწყებულია ცემენტის ქარხანა კასპში, რომელსაც დასჭირდება არა ნაკლებ 1.500 კ. უ. ვინაიდან ტრამვაის დაყენებული უმფორმერები უკვე სავსებით დაიტვირთა, ამიტომ 1929 წლისათვის უნდა აშენებულ იქნეს ტრამვაის მეორე ქვესადგური ავლაბარში—სიმძლავრით 500 კ. უ. მსხვილ ტვირთს მოგვცემს სახკინმრეწვი, რომელსაც უკვე გამოწერილი აქვს ელექტრო-მოწყობილობა და დასჭირდება ღამით მუშაობისათვის დაახლოებით 1.500 კ. უ.

ყველა ზემოდნათქვამიდან სჩანს, რომ 1931 წლისათვის დატვირთვა მიაღწევს 13.500 კ. უ.-მდე, ე. ი. გადააჭარბებს სადგურის დადგმულ სიმძლავრეს. ამ ვარაუდში სრულებით არ არის მიღებული მხედველობაში სურამის უღელტეხილის რკინის გზის ტვირთი. უზრუნველყოფილი სიმძლავრე 9.600 კ. უ. კი დაიფარება ბევრად ადრე, დაახლოებით 1930 წ დასაწყისათვის, და ვინაიდან ახალი ტურბინების დაყენებას დასჭირდება 2-2 ნახ. წელიწადი, ან სადგურის გაფართოება,—უნდა დაიწყოს ახლო მომავალში ან და კომბინაცია ზაჰესის და რიონჰესის ერთად მუშაობისა, როცა რიონჰესი იქნება ზაჰესისათვის რეზერვი და ეს ორი ელ-სადგური შეერთებული იქნება გადამცემი ხაზით, ძაბვით 115.000 ვოლტი.

საერთო დასკვნა ასეთია:

1) უკვე დღეს, როდესაც ზაჰესის ამუშავებიდან გავიდა რაღაც რამოდენიმე თვე, ზაჰესი, 5 წლის განმავლობაში დანიშნულ დატვირთვასთან შედარებით, დატვირთულია 50 პროც. მეტად. დაყენებულ და 68 პროც უზრუნველყოფილ სიმძლავრისა და მაშასადამე ყოველივე ლაპარაკი სადგურის დაუტვირთაობაზე მოკლებულია საფუძველს.

2) დღე-ღამის ენერგიის გასავალი 1928 წ. დასაწყისში მიუხედავათ ელმოწყობილობის ჩამოტანის და საწარმოო აბონენტების შეერთების დაგვიანებისა, უკვე შეადგენს ნავარაუდევ გასავლის 73,5 პროც. წლის ბოლოში კი ზემოხსენებული მიაღწევს 122 პროც., ისე რომ მშენებლობის ვარაუდი გადაჭარბებული იქნება.

3) ზაჰესის ტვირთების პერსპექტივები გვაძლევენ საშუალებას ვიფიქროთ, რომ უკვე 1930 წლის დასაწყისისათვის მომუშავე სიმძლავრე დაფარული იქნება.

ინჟინერი მუსხელიშვილი.

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

დღეს დამთავრდება თბილისის სექციების კონკურსი

ეხლა ჟიური დანარჩენ საბჭოთა სექციებზეა მათაც სიცხოველით უნდა ჩაატარონ მიმდინარე კამპანია

რას ამბობენ ფაბქარხკომები

კომსექციის მუშაობა ყველაზე უფრო ნაყოფიერია

ამხ. ნიკოლაიშვილი

(„ზაკავტომპრომტორგის“ გაერთიანებულ ადგილკომის თავმჯდომარე)

მე გაზეთში მოთავსებულ საკონკურსო მასალებს ვეცნობი და ამის გარდა ჩემი პირადი შეხედულებითაც შემიძლია აღვნიშნო, რომ კომ. სექციას უსათუოდ აქვს დიდი მიღწევები, როგორც ქალაქის კეთილ-მოწყობის საქმეში, ისე საერთოთ კომუნალურ დარგში.

დიდი ყურადღება ექცევა ქალაქის აბანოების კეთილმოწყობის საქმეს. ქალაქის ტრამვაის მოძრაობა თანდათან ფართოვდება, მარტო ის უნდა ჩაითვალოს დიდ მიღწევად, რომ ძველ, ფურგის ვაგონების ნაცვლად, ამჟამად მოძრაობაში ახლად გაკეთებული საუცხოვო ვაგონებია. ამასთანავე განზრახულია ახალი ლიანდაგის დაგება სხვადასხვა უბნებში. ყოველ გვარ საჭირო ხელსაწყო იარაღ-მანქანებით მოწყობილია ქალაქის ცეცხლის მქრობელი რაზმი და სხვა.

ამიტომ ჩემის აზრით კონკურსში პირველი ჯილდო უნდა მიეკუთვნოს კომუნალურ სექციას, ხოლო მეორე კი ჯან. სექციას, ვინაიდან მასაც აქვს თავის საქმიანობაში სათანადო მიღწევები.

დიდი მიღწევები

რკინის-გზის სამასალო საწყობის ადგილკომი

სექციები მიზნად ისახავს თბილისის მშრომელ მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებას. ამ მხრივ ყველა სექციებმა პირნათლად შეასრულეს თავისი ამოცანა და დავალებები: სკოლების მოწესრიგება, ჯანმრთელობის დაცვის საკითხის მოგვარება, კოოპერაციის ზრდა და სხვა.

განსაკუთრებით კი კომუნალურ სექციის მუშაობა უნდა ჩაითვალოს ნაყოფიერად.

გადაჭრით უნდა განვაცხადო, რომ კომუნალური სექცია ყველაზე უკეთესად მუშაობს, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში ასი პროცენტით ემსახურება ქალაქის მშრომელ მოსახლეობას. აღმშენებლობის გადიდება, ქალაქის კეთილმოწყობა, ტრამვაის ხაზის გაყვანა, წყალსადენის გაფართოება და ელექტრონის შუქის მიწოდება. აი რა მუშაობას ხელმძღვანელობდა კომუნალური სექცია.

რასაკვირველია სექციას ნაკლიც საკმაოდ ჰქონდა, მაგრამ მისი საქმიანობა უეჭველად მნიშვნელოვანია და ამ დარგში სექციას დიდი მიღწევები აქვს.

სექციის წევრები მათი მუშაობის შესახებ

დაკისრებულ მოვალეობას ვასრულებდი

ნატალია საათაშვილი

(რკინის გზის საყუდის მუშა, კომუნალურ სექციის წევრი).

საბჭოში ვასრულებ სხვადასხვა დავალებებს, გამოყოფილი ვიყავი კულტურული სატყეო განყოფილების კომისიაში. დავათვალიერეთ ხუდადოვის, ფუნიკულიორის და სხვა ადგილები, იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად იყო დაცული ამ ადგილებში მომუშავეთა შრომის პირობები, რა კეთდებოდა და რამდენად სასარგებლო იყო სხვადასხვა სანერგეების დარგვა. ფუნიკულიორზე გაყვანილია წყლის დასაგუბებელი თხრილები. ხუდადოვის ბაღი შემოღობილია მავთულით, ყავს დარაჯები და ერთი ინსტრუქტორი, რომელიც ხელმძღვანელობს სამუშაოს. ერთი დესიატინა ადგილზე, რომლის მეოთხედი დამუშავებულია და დაყოფილია კვლებად, სთესია 62 კვალი ავსტრიის ჯიშის ფიჭვი, 32 კვალზე კუპაროსი და 62 კვალზე სხვადასხვა ნერგები. გაზაფხულისათვის უკვე მზად იქნება ისინი.

სექციაში ვასრულებ აგრეთვე სხვა საქმეებსაც, რომელიც დაგვავალა კულტურ. სატყეო განყოფილებამ.

გასაკეთებელი კიდევ ბევრია, და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად შევასრულებთ.

დიდი ნაყოფი მოაქვს

ამხ. ლებედევი

(ზაზელოსნოს მუშა, კომუნალურ სექციის წევრი)

მე ვმუშაობ ქვე-კომისიაში. დავდივარ მუშათა უბნებში და ვაწარმოებ კოლექტიურ ხელმოწერას ელდენის შუქის გაყვანაზე. შედეგებს ვაწვდი სექციას.

გარდა ამისა, მე ვმუშაობ ადგილობრივ სამორიგო მაგიდაზე, სადაც მუშა-მოსამსახურეებს შემოაქვთ სხვადასხვა განცხადებები. ამ განცხადებებს უგზავნი ალმასკომს, მაგრამ ზოგიერთ განცხადებაზე პასუხი არ მიმიღია.

სექციის მიერ თავის წევრებში სამუშაოს განაწილებას დიდი ნაყოფი მოაქვს.

ზოგიერთ ნაკლზე მინდა მიუთითო

ამხ. ფარემუზოვი

(კომუნალური სექციის წევრი)

მე მიმაგრებული ვიყავი კომსექციაზე რკინ. გზის ავტო-გარაჟიდან. რადგან ავადმყოფობამ ხელი შემიშალა ვერ მოვასწარი სექციაში დასმული საკითხები, რომლის მოგვარება ჩემის [illegible] იყო.

ამჟამად დიდი მუშაობა სწარმოებს გარეუბნებში ქუჩების შესაკეთებლად და ძალზე ნაკლები ყურადღება ექცევა ქალაქის ცენტრში მოთავსებულ ზოგიერთ ქუჩებს, როგორიც არის მალაკნის, ჩერქეზოვის, გოგოლევის და ორჯონიკიძის, ამ ქუჩებზე მუდმივი მიმოსვლა სწარმოებს მძიმე ავტომობილებით, რაც ძალზე აფუჭებს ხსენებულ ქუჩებს. საჭიროა კომუნალურმა სექციამ ამ ქუჩების შეკეთებისათვისაც იზრუნოს და ნაწილობრივ მაინც შეაკეთოს ისინი.

ყოფილი კოროლნოვის საწყობში, რომელიც მოთავსებულია მალაკნის ქუჩაზე, ინახება საქონელი „ზაკტპოს“, „სოვტორგფლოტის“ და სხვა. აქედან ავტომობილით გადააქვთ ტვირთი სადგურში, სადგურიდან კი საწყობში. უბედურება ისაა, რომ დატვირთულ ავტომობილებს პირდაპირ მალაკნის ქუჩით არ უშვებენ და მათ უნდა მოიარონ საბაჟოს, ორჯონიკიძის, ბატარეის და შემდეგ მალაკნის. როცა შეიძლება პირდაპირ ცოტა მანძილის გავლა და უხიფათო მგზავრობა. ასეთი შორი მანძილზე მოვლით და ოღრო-ჩოღრო გზების გამო ხშირად ხდება ავტომობილების მარცხი. იყო შემთხვევა დატვირთული ავტომობილის ტრამვაიზე დაჯახებისაც.

სექციამ ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს.

მცირე ნაკლი მაინც იყო

ამხ. ტურაშვილი

(ზად. თბილისის ელსადგურის მუშა, კომუნალურ სექციის წევრი)

კომუნალურ სექციის მუშაობას ბრალს ვერ დავდებთ, რადგან სექციის საქმიანობას განსაკუთრებული გაცხოველება დაეტყო უკანასკნელ თვეებში, ხოლო ერთი ნაკლი მაინც გაუსწორებელი დარჩა: სექციის ყველა წევრები არ არიან ჩაბმული პრაქტიკულ მუშაობაში. ამაში, ბრალი მიუძღვის სექციის ბიუროს.

ყურადღება უნდა მიექცეს სექციის სხდომებზე წევრთა დასწრების საკითხს, რადგან სექციის ზოგიერთი წევრი ხშირად არ ესწრება სხდომებს.

რა გამოირკვევა?

ორი კვირაა, რაც თბილისის საბჭოს სექციები ანგარიშს აბარებენ ამომრჩევლებს თავიანთი მუშაობის შესახებ. დღეს უკვე მთავრდება ანგარიშ-ჩაბარება და ან დღეებში საკონკურსო კომისია თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმთან ერთად გამოიტანს დადგენილებას, თუ რომელი სექცია მუშაობდა უფრო ნაყოფიერად და რომელ მათგანს მიეკუთვნება კონკურსით გათვალისწინებული ჯილდო.

თბილისის საბჭოსთან არსებობს 5 სექცია: კომუნალური, განათლების, ჯანმრთელობის, ფინანსიური და სავაჭრო - კოოპერატიული თვითეულ მათგანს დაკისრებული აქვს განსაზღვრული სამუშაო.

კომუნალური სექცია ხელმძღვანელობს ქალაქის კეთილმოწყობისა და აღმშენებლობის საქმეს; განათლების სექცია სწავლა-აღზრდისა და სკოლების სათანადოთ მოვლა-პატრონობას: ჯანმრთელობის სექციის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას; საფინანსო სექციამ მიზანშეწონილად უნდა გაანაწილოს ის თანხები, რომელიც ქალაქს მოეპოვება და გეგმიანად მოახმაროს ის საალმშენებლო და სხვა საჭიროებას. ასევე შეიძლება ითქვას სავაჭრო-კოოპერატიულ სექციაზედაც. დღემდის ამ სექციის საქმიანობას ნაკლებად იცნობდა ამომრჩევლები. სავაჭრო-კოოპერატიულმა სექციამ უნდა უხელმძღვანელოს თბილისში ვაჭრობის მოწესრიგების საქმეს, მიუთითოს კოოპერატიულ, სახელმწიფო და საქალაქო სავაჭრო ორგანიზაციებს ბაზრის მოთხოვნილების სათანადოთ დაკმაყოფილებაზე, კოოპერატიულ სავაჭროების ქსელის გაფართოებაზე, თვალყური ადევნოს საცალო ფასების მოწესრიგებას და სხვა.

ჩვენ აქ ძლიერ მოკლედ შევეხეთ იმ ვალდებულებებს, რომლებიც საბჭოს სექციებს აქვთ დაკისრებული. რა თქმა უნდა ეს მოვალეობანი გაცილებით უფრო ფართეა, მაგრამ ამ წერილის პირდაპირ მიზანს მისი დაწვრილებითი ჩამოთვლა არ შეადგენს.

ჩვენ, როგორც ერთ-ერთ ამომრჩეველს გვსურს შევეხოთ მხოლოდ იმას, თუ რა გამოარკვია იმ საბჭოს სექციების მიმდინარე საკონკურსო კამპანიამ და მიღწევებთან ერთად რა ნაკლთა გამოსწორება არის საჭირო შემდეგისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ კომუნალური სექციის მუშაობა ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ სჩანს ამომრჩევლების წინაშე. ეს კი პირველ ყოვლისა უნდა მიეწეროს სექციის წევრთა და მისი ბიუროს ენერგიას და მუშაობისადმი თავდადებას, მაგრამ ამასთან ერთად კომუნალური სექციის საქმიანობას ხელს უწყობდა აგრეთვე წევრთა მრავალრიცხოვანობაც. თბილისის საბჭოს წევრები, რომლის უმრავლესობას მუშები შეადგენენ, დიდის ხალისით ეწერებოდნენ კომუნალურ სექციაში სამუშაოდ, ვინაიდან ან სექციას ისეთი მოვალეობა აქვს, რომ მუშას მასში ადვილად შეუძლია გაერკვეს და თავისი წვლილი შეიტანოს საერთო აღმშენებლობაში. ამასთან ერთად კომუნალური სექციის ნამუშევარი ყველაზე უფრო დასანახია ამომრჩეველთა ფართო მასებისათვის.

მიუხედავად ამისა, კომუნალური სექციის მუშაობა მაინც არ იყო უნაკლო. სექციამ ვერ შესძლო სრულად ჩაება მუშაობაში სექციის წევრები და თანაბრად განაწილებია ყველაზე სამუშაო, უკვე აღინიშნა აგრეთვე სხვა წვრილმანი ნაკლულოვანებიც, რომელსაც აქ აღარ გავიმეორებთ, მაგრამ რა საზომითაც არ უნდა მიუდგეთ კომუნ. სექციას, მისი მუშაობა სხვა სექციებზე უფრო ნაყოფიერია და კონკურსის შემდეგ კიდევ უფრო გაჯანსაღდება.

რა ნაკლი ახასიათებდა განათლების სექციას? ამ სექციის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მან სათანადო ზომები ვერ მიიღო საშუალო სასწავლებლებში სწავლის ხარისხის გასადიდებლად, მასწავლებლობის უკეთ შესარჩევათ და სასკოლო შენობების ქსელის გასაფართოებლად, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამაში მარტო სექცია არ იყო დამნაშავე, აქ გადამწყვეტ როლს ალბად ფინანსიური საკითხიც თამაშობდა.

ჯანმრთელობის სექციის მუშაობას შემდეგი ნაკლი ახასიათებდა: სექციამ ვერ მოაგვარა დაზღვეულთათვის წამლების მიწოდების საქმე თბილისში არსებულ ყველა აფთიაქებიდან ვერ გააფართოვა საჭიროების მიხედვით ამბულატორების ქსელი და რაც მთავარია ვერ არის შესაფერისად დაყენებული მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის წინასწარ შემოწმების საქმე წარმოება-დაწესებულებებში.

საფინანსო სექციის მუშაობა,—როგორც აღვნიშნეთ განსაკუთრებული ხასიათისაა. ალბად ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ამ სექციაში ძალიან მცირეა საბჭოს წევრ მუშების რიცხვი. ეს ნაკლი შემდეგისათვის უსათუოდ უნდა გამოსწორდეს. საფინანსო სექციის შემდგომ მუშაობაში მუშათა ფართე აქტივის ჩაბმაა საჭირო. მუშა-დეპუტატების საქმიანი შენიშვნები საფინანსო სექციაში სათანადო ნაყოფს მოიტანს ქალაქის ბიუჯეტის გაჯანსაღების და მისი სწორად განაწილების საქმეში.

ასევე შეიძლება ითქვას სავაჭრო კოოპერატიულ სექციაზე. ამ სექციას დანარჩენებზე არა ნაკლებ მოვალეობა აქვს შესასრულებელი, მაგრამ სექციის მუშაობა ყველაზე ნაკლებად სჩანს, ვინაიდან მასში წევრთა რიცხვი ძალზე მცირეა.

ყველა აქედან ასეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: შემდეგისათვის საბჭოს წევრები სექციებში განაწილებულ იქნენ იმის და მიხედვით, თუ სად როგორი მოთხოვნილებაა მუშაობის მხრივ. ეს უფრო მეტ ნაყოფს მოგვცემს სექციების მუშაობაში და თუ დღეს კომუნალური სექციის მუშაობა არის ყველაზე უფრო ნაყოფიერი, მომავალში ყველა სექციები სრულად განახორციელებენ დაკისრებულ ამოცანებს.

მეთვალყურე.

შეცდომის გასწორება

გაზეთ „კომუნისტის“ № 54-ში მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით: „განათლების სექციამ სას.-სამეურნეო ტეხნიკუმშიაც იხედა“. ხსენებული წერილი ეხება არა [illegible] ქუჩაზე მდებარე მელიქიშვილის სახელობის სას.-სამეურნეო ტეხნიკუმს, არამედ ყოფილ საბაღოსნო სკოლას, რომელიც მოთავსებულია მუშტაიდის შესახვევში № 4.

ამინდი

ამიერ-კავკასიაში

7 მარტს მთელ ამიერ-კავკასიაში კარგი ამინდი იყო. ცა მოწმენდილია, ნაწილობრივად დათბა. ქრის სუსტი ქარი. წინა ღამით დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილებში მოდიოდა თოვლი.

მდგომარეობა რკინის გზებზე

ამიერ-კავკასიის რკინის გზის ყველა ხაზები, გარდა კახეთისა, ნამქერებისაგან განწმენდილია და აღდგენილია მატარებლების ნორმალური მოძრაობა.

კახეთის ხაზი გუშინ კიდევ გაუწმენდელი იყო. მუშაობა სწარმოებს იორ-ვაზიანის და ნავთლუღ-ვაზიანის გადასარბენებზე.

თოვლის ნამქერის სიღრმე ზოგიერთ ადგილებში 5 მეტრს აღწევს. გუშინ ხაზის წმენდის დროს იორა-ვაზიანის შუა ლიანდაგიდან გადავარდა თოვლწმენდი, რომელიც ამოიღო და დააყენა რელსებზე გურჯაანიდან გამოგზავნილმა ორთქლმავალმა.

ხაზის გაწმენდაში მუშებს დიდ დახმარებას უწევენ წითელ არმიელები. 6 მარტს მათ ნავთლუღ-ვაზიანის გადასარბენზე გასწმინდეს ხაზი 12 კილომეტრის მანძილზე.

იმედოვნებენ, რომ მოძრაობის აღდგენა ამ ხაზზე შესაძლებელი გახდება დღეს.

გზატკეცილებზე

საქართველოს გზატკეცილებზე უცვლელი მდგომარეობაა. მოძრაობა ყველა მიმართულებით შეწყვეტილია. ზოგიერთ ხაზებზე სწარმოებს მუშაობა გზების გასწმენდათ.

მაცივარების მშენებლობა

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომსაბჭომ თავისს უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა 1928 წლის ოპერატიულ გეგმაში შეტანილი იქნეს ბაქოს, ერევნის, ფოთის, ასტარის, სამტრედიის, ნავთლუღის და ბალაჯარის მაცივარების (ХОЛОДИЛЬНИКИ) საალმშენებლო სამუშაოები.

ამ სამუშაოებისთვის გადადებულია თანხა 2.046.000 მან. რაოდენობით, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირათ: ბაქოს მაცივარისთვის—650.000 მან., ერევნის—265.000 მ., ფოთის—200.000 მან., ასტარას—70.000 მან., სამტრედიის—210.000 მან., ნავთლუღის—450 ათასი მანეთი და ბალაჯარის მაცივარისთვის 195.000 მანეთი.

ამიერ-კავკასიის მაცივრების კომიტეტს წინადადება მიეცა:

ა) ორი კვირის განმავლობაში წარადგინოს დამატებითი გეგმა, რომელიც დაკავშირებული უნდა იქნეს მეორე ხარისხოვან საქონლის ექსპორტის გაძლიერების გეგმასთან.

ბ) დაამუშაოს 1927-28 წლის საწარმოო პროგრამა, მაცივრების მშენებლობის კალენდარული გეგმა და მიიღოს ზომები პროგრამის შესასრულებლათ.

გ) წარმოადგინოს მაცივრების განზრახულობის ეკონომიური დასაბუთება და ამ თავითვე შეუდგენ მაცივრების ექსპლოატაციის გეგმის შედგენას.

ექსპლოატაციის გეგმის შედგენის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ მიმდინარე წელს დამთავრებული იქნება საცივრები სამტრედიაში, ნავთლუღში, ბაქოში და ერევანში, მხოლოდ მომავალ წელს—ფოთში, ბალაჯარაში და განჯაში.

ა.-კ. მაცივრების კომიტეტს დაევალა გადასინჯოს და დამატებით დაამუშაოს 5 წლიანი გეგმა, რომელიც განსახილველათ უნდა გადაეცეს ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას არა უგვიანეს 1 მაისისა.

ავსტრიელი მუშები—წითელ არმიას



Al Ĉiuj

RUĜ-ARMEANOJ!

KAMARADOJ!

VIVU LA RUĜA ARMEO! VIVU LENINISMO!

VIENO, februaro 1928.

ავსტრიიდან მიღებულია შემდეგი მისალმება წითელი არმიისადმი

პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მზად იყავით—ჩვენ თქვენთან ვართ!

ყველა წითელ არმიელებს

ამხანაგო წითელო მებრძოლნო!

ამისა ხელის მომწერნი, რევოლიუციონური ორგანიზაციები ბურჟუაზიულ დემოკრატიულ ავსტრიიდან სალამს გიძღვნიან თქვენ ძლიერი წითელი არმიის არსებობის ათი წლის თავის გამო.

დიდმა ოქტომბრის რევოლიუციამ დაამხო ვეებერთელა რუსეთში ტირანია - ცარიზმი და მასთან ერთად კაპიტალიზმის უღელი.

უმძიმეს პირობებში ნორჩმა რევოლიუციამ შექმნა ძლიერი, ყოვლისშძლე წითელი არმია, რომელიც მამაცურად იცავდა და იცავს ყველა ქვეყნის პროლეტარების პირველ სამშობლოს.

მრავალი წლების განმავლობაში გრძელდებოდა თქვენი ბრძოლა რეაქციონურ თეთრ არმიების წინააღმდეგ, რომლებსაც ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ყველა ქვეყნის კაპიტალისტები.

გავლო წლებმა, სანამ თქვენ გაიმარჯვებდით და გახდებოდით მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს მშვიდობიან შრომისა და აღმშენებლობის დამცველნი. მაგრამ თქვენი ამოცანა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესრულებული, მთელს მსოფლიოში, გარდა საბჭოთა კავშირისა, პროლეტარიატი კვნესის ფაშიზმისა და კაპიტალიზმის უღელ ქვეშ. თქვენი ამოცანა, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს მთელ მსოფლიოს პროლეტართა ამოცანას, შესრულებული იქნება მაშინ, როდესაც მთელს მსოფლიოში სრულებით განთავისუფლდებიან ღარიბნი და მთელ დედამიწის ზურგზე აფრიალდება საბჭოთა წითელი დროშა.

ამხანაგებო! მსოფლიო კაპიტალი იარაღს ისხამს წითელ პროლეტარულ სახელმწიფოს წინააღმდეგ.

წითელო ძმებო! მზად იყავით! ვინაიდან შეიძლება მალე დადგეს დრო, როდესაც თქვენ იძულებული გახდებით ისევ მოჰკიდოთ ხელი იარაღს და გაბედით ბრძოლის ველზე, მაგრამ უკანასკნელად! და ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ მსოფლიოს პარაზიტებზე და აღმოვფხვრით ყველა დამმონებელთ და მათ ლაქიებს.

წითელარმიელებო! მსოფლიო პროლეტარიატი თქვენთან არის ჭირსა და ლხინში.

გაუმარჯოს წითელ არმიას!!!

გაუმარჯოს ლენინიზმს!!

გაუმარჯოს კომინტერნს — მსოფლიო რევოლიუციის ხელმძღვანელს!!!

ვენა — თებერვალი 1928 წ.

შემდეგ ხელს აწერენ და ბეჭედს ასვამენ შემდეგი ორგანიზაციები:

ავსტრიის კომპარტიის ჯარისკაცთა ჯგუფის სამდივნო — კლაუდა.

ავსტრიის კომპარტიის ცეკა — ი. კოპლენიგი.

ავსტრიის კომკავშირის ცეკა — რ. ბოოლი.

ავსტრიის კომუნისტ ქალთა ჯგუფის ცეკა —ა. შტრემერი (ქალი).

ავსტრიის წითელ ფრონტელთა ცეკა—შმიდტი.

საერთაშორისო წითელი დახმარების ცეკა—შორი (ქალი).

პროფესიონალურ კავშირების გაერთიანებული საბჭო—გომერი და პილცი.

წითელ პიონერთა ცეკა—ოტო.

მუშათა საერთაშორისო დახმარების საზოგადოების ავსტრიის სექცია—ა. მარეში.

სოციალისტურ სტუდენტობის ცეკა—ე. შტერნი.

ესპერანტისტების კომუნისტური ფრაქცია—ი. ბატა.

„პროლეტარულ ახალგაზრდობა“-ს რედაქცია—რ. ბოოლი.

ავსტრიის კომპარტიის მთავარ ორგანო „წითელი დროშის“ რედაქცია—ჰეკმანი.

„წითელი დროშის“ ადმინისტრაცია—საპაგო.

მუშათა დასურათებულ გაზეთ „A. J. Z.“-ის რედაქცია ტროსტი (ქალი).

—:—

მიმართვა დაწერილია ესპერანტოს ენაზე.

პროფკავშირთა საკლუბო თათბირი

მეოთხე სხდომა

თათბირის მეოთხე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ე. ქშონძერის მოხსენება პროფესიონალური კავშირების საგაზაფხულო მუშაობის ამოცანების შესახებ. მომხსენებელი ეხება საზაფხულო მუშათა კლუბების მუშაობა-საქმიანობას და აღნიშნავს რა მთელ რიგ მიღწევებს ამ დარგში, თათბირის ყურადღებას მიაქცევს ზოგიერთ მთავარ დეფექტებზე, რომლებიც გამოსწორებული უნდა იქნეს მომავალი მუშაობის დროს.

შემდეგ მომხსენებელი ეხება საგაზაფხულო ბაღებში სეზონური მუშაობის დაგვიანებას და ამბობს, რომ საგაზაფხულო ბაღები თბილისში უნდა იხსნებოდეს 18 მაისიდან, ბაღებმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ კულტურული მნიშვნელობის გასართობების მოწყობას და უარი უნდა სთქვან ზოგიერთ კომერციული ხასიათის გასართობებზე. გასულ წლების განმავლობაში თბილისის საზაფხულო მუშათა კლუბები კონკურენციას ეწეოდენ ურთიერთ შორის, რაც მომხსენებლის აზრით მიუღებლათ უნდა ჩაითვალოს.

შემდეგ მომხსენებელი ჩამოთვლის კულტმუშაობის ყველა იმ დარგებს, რომელთა გარშემო საზაფხულო კლუბებმა უნდა აწარმოონ თავიანთი მუშაობა. ასეთია — სამხატვრო წრეები, სამკითხველოები, საექსკურსიო ბიუროები და სხვა. ყველა საზაფხულო კლუბებთან უნდა არსებობდეს სამხატვრო წრეები, სადაც მუშებს შეასწავლიან სიმღერას, საესტრადო ხელოვნებას დეკლამაციას და სხვ. სისტემატიურად უნდა იმართებოდეს კონკურსები სხვადასხვა წრეებს შორის. კლუბებთან უნდა მოეწყოს ფოტო-კინო-წრეები.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 12-მდე დელეგატმა.

ახალგაზრდათა სექციები და ქალთა წრეები კლუბებში

მუშათა კლუბების ახალგაზრდათა სექციების და კლუბებში ქალთა შორის მუშაობის ამოცანების შესახებ თათბირზე მოხსენება გააკეთა ამხ. საბა ორჯონიკიძემ. ახალგაზრდათა სექციების მუშაობის გასაცხოველებლად მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია მტკიცე კავშირის დამყარება კლუბებსა და წარმოებებს შორის.

ახალგაზრდათა სექციებში ფართოდ უნდა იქნენ ჩაბმული კომკავშირის წევრები და ახალგაზრდა მუშა-ქალები. სექციებში მუშაობა იმგვარად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ ახალგაზრდობას არ მიეცეს მავნე გასართობებით გატაცების საშუალება.

ქალთა წრეების მუშაობის გასაძლიერებლად მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია კლუბებთან მოეწყოს საბავშო ოთახები, სადაც ბავშვებთან ერთად თავს მოიყრიან მათი დედებიც და ამხაირად შეიქნება ქალთა შორის მუშაობის გაფართოვების შესაძლებლობა. ქალთა წრეების საქმიანობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს გამოცალკევებული საერთო საკლუბო მუშაობიდან.

უკანასკნელი სხდომა

უკანასკნელ სხდომაზე თათბირმა მოისმინა ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელის გ. მერკვილაძის მოხსენება მუშათა კლუბებში ფიზკულტურის შემოღების შესახებ. საკლუბო მუშაობაში ფიზკულტურას უნდა დაეთმოს ერთი პირველი ადგილთაგანი, ვინაიდან მოსახლეობის გასამხედროების ამოცანის შესრულებაში ფიზკულტურას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შემდეგ თათბირმა მოისმინა მომხსენებლის საბოლოო სიტყვა.

ყველა მოსმენილ მოხსენებების გამო რეზოლიუციების მიღების შემდეგ თათბირი დაიხურა.

ა.-კ. საგზაო-სატრ. კოოპ. რწმუნებულთა ყრილობა

გუშინ დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა საგზაო-სატრანსპ. სამომხმარ. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ვ. აკიმოვის მოხსენება საზ-ბის 1926-27 წლის საქმიანობის შესახებ და სარევიზიო კომისიის დასკვნები.

ამხ. აკიმოვის მოხსენება

მომხსენებელი პირველ ყოვლისა ეხება იმ პირობებს, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა გამგეობას საანგარიშო პერიოდში.

გადადის რა შემდეგ საზოგადოების თვითეულ ცალკე დარგის საქმიანობის დახასიათებაზე, ის აღნიშნავს წევრთა ზრდას — 39 პროცენტით. წევრთა საერთო რიცხვი უდრის 33.966. აქედან საქართველოს ტერიტორიაზე მოდის — 62,5 პროცენტი. წევრთა შორის ქალები 7 პროცენტს შეადგენენ.

საპაიო თანხა საანგარიშო პერიოდში გაიზარდა — 107 პროცენტით (120.887 მანეთით) და უდრის 233.244 მ.

საზოგადოების სავაჭრო და საწარმოო ქსელი ხასიათდება ამ გვარად: მას მოეპოვება — 155 სავაჭრო ერთეული, 9 საწარმოო დაწესებულება და 5 საწყობი. გარდა ამისა იჯარის სახით აქვს გაცემული 41 ფურნე და 2 საყასბო.

წლის განმავლობაში შეძენილ იქნა 10.283.065 მანეთის საქონელი. აქედან — 44.18 პროცენტი საკუთარი ცენტრის საშუალებით.

სავაჭრო ბრუნვა გამოიხატა — 12.031.255 მანეთში, რაც 1925-26 წელთან შედარებით იძლევა ზრდას — 33.42 პროცენტით.

რაც შეეხება საქონლის ნისიათ გაცემას, წლის განმავლობაში გრძელვადიან კრედიტის სახით წევრებზე გაცემულ იქნა 678.353 მანეთის საქონელი, ხოლო მოკლევადიანი კრედიტის სახით —1.344.325 მან. საქონელი.

საცალო ფასების შემცირება 10 პროცენტით გატარებულია სავსებით.

საზოგადოების წლიური მოგება უდრის — 106.325 მან. 96 კაპ., რაც საერთო ბრუნვასთან შედარებით გამოიხატება — 0,89 პროცენტში.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო გამგეობის მომავალ ამოცანებს და განაცხადა, რომ გამგეობის მიზანს შეადგენს წევრთა საპაიო დავალიანების სრული ლიკვიდაცია და საპაიო თანხების გაძლიერება, სავაჭრო აპარატის რაციონალიზაცია ისე, რომ იგი უფრო მოქნილი გახდეს. წევრთა აქტიობის გადიდება, ქალთა შორის მუშაობის გაღრმავება და სხვა.

სარევიზიო კომისიის დასკვნები

ამხ. აკიმოვის მოხსენება შემუვოზ ბთშ

ამხ. აკიმოვის მოხსენების შემდეგ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ზ. კალანდიამ ანალიზი გაუკეთა გამგეობის მიერ ჩატარებულ საქმიანობას, აღნიშნა ზოგიერთი უარყოფითი მომენტები, რომელთა გამოსასწორებლად წამოაყენა კონკრეტული წინადადებები.

კამათი

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი ამხ. ჟიტკოვის, აკიმოვის და კალანდიას მოხსენებების გარშემო. კამათი გაგრძელდა საღამოს სხდომაზე. მასში მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა დელეგატმა.

კამათის დასრულების შემდეგ ყრილობამ აირჩია კომისია მოსმენილ მოხსენების გარშემო რეზოლიუციების შესამუშავებლად.

ნავთიანი ადგილების დამუშავება

გურიის ნავთი

ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველოს ნავთის დამუშავებათა განყოფილებაში გურიის ნავთიანი ადგილების სამუშაოთა ხელმძღვანელისაგან მიღებულია შემდეგი ცნობა:

„სოფ. ომფარეთში პირველ საცდელ ჭაბურღილზე დადგმულ 12 დიუიმიანი ბურღებით გავლილია 281,6 მეტრი სიღრმე. ნავთის მასა ამოვიდა საბურღი მანქანების მილში 6 მეტრის სიმაღლეზე.

ამოსულ ნავთს თან ახლავს სხვადასხვა გაზები, რაც უნდა ჩაითვალოს დამახასიათებელ მოვლენათ. ამოჩენილი ნავთის ხვედრითი წონა უდრის 0,921, მაშინ როდესაც პირველად ამოღებული ნავთის ხვედრითი წონა იყო 0,935. ხვედრითი წონის ასეთი დაკლება ამტკიცებს, რომ ნიადაგის სიღრმეში არსებული ნავთი შეიცავს ბენზინის და სხვა ძვირფას შემადგენელ ნაწილების დიდ რაოდენობას.

12 დიუიმიანი ბურღებით ჭაბურღილის ამოღება გაგრძელდება კიდევ 50 მეტრის სიღრმეზე, სადაც წინასწარი გამოანგარიშების თანახმად უნდა აღმოჩნდეს ნავთის შემცველი მეორე ფენა“.

შირაქის ნავთი

შირაქიდან თბილისში დაბრუნდა იტალია-ბელგიის საკონცესიო საზოგადოების დირექტორი ინჟ. როდრიგეცი, რომელმაც შირაქის ველზე აღნიშნული საზოგადოების მიერ დაწყებულ ნავთის ამოსაღებ საცდელი ჭაბურღილის სამუშაოთა შესახებ, ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი ცნობები:

— საცდელი ჭაბურღილის სიღრმემ მიაღწია 335 მეტრს. 295 მეტრიდან 300,5 მეტრის მანძილზე აღმოჩენილ იქნა ნავთის შემცველი ფენა. ჭაბურღილში აღმოხეთქა ნავთის ძლიერმა გაზებმა, რაც იმის მომასწავებელია, რომ ახლოს მდებარეობენ ის ფენები, რომლებმაც უნდა მოგვცენ ნავთის შადრევანები.

ნავთის შადრევანს ჩვენ მოველით 860 მეტრიდან 370 მეტრის სიღრმემდე. უკანასკნელმა სიცივეებმა ძალიან დააბრკოლა მუშაობა და საზოგადოება იძულებული გახდა 25 თებერვლიდან მუშაობა დროებით შეეწყვიტა. 4 მარტიდან კი მუშაობა კვლავ განახლდა და დიდის წარმატებითაც მიმდინარეობს.

ჩვენი სპეციალისტების დასკვნით, შირაქის ველი ძალიან მდიდარი უნდა იყოს ნავთის წყაროებით და უკვე დაწყებული სამუშაოების დასრულება ჩვენის ფიქრით მოგვცემს კარგ ეფექტს.

თბილისიდან მე მივემგზავრები სტამბოლში საკონცესიო სამუშაოებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხების მოსაგვარებლად.

სახალხო მსაჯულთა გადარჩევისათვის

პროფკავშირების მონაწილეობა სახ. მსაჯულთა არჩევნებში

10 მარტიდან 10 აპრილამდე იწარმოებს სახალხო მსაჯულთა გადარჩევა. ამის გამო საქ. პროფსაბჭომ ყველა პროფორგანიზაციებს სახელმძღვანელოდ დაუგზავნა ინსტრუქცია, რომლის თანახმად პროფკავშირებმა წარმოებებში და დაწესებულებებში მომუშავე მუშამოსამსახურეთა რიცხვის მიხედვით, უნდა გამოიანგარიშონ თუ რამდენი სახალხო მსაჯული უნდა აირჩიოს ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებამ, და უნდა აცნობონ ფაბრ - ქარხ კომებს და ადგილკომებს.

ამასთანავე პროფკავშირებმა უნდა მიუთითონ ფაბრ - ქარხკომებს და ადგილკომებს თუ რამდენი სახალხო მსაჯული უნდა იქნეს არჩეული სახალხო სასამართლოსათვის და რამდენი სამხედრო სასამართლოსათვის.

სახალხო მსაჯულად არ შეიძლება არჩეულ იქნეს ის პირი, ვინც სასამართლოს მიერ გამტყუნებულია სახელმწიფოებრივ დანაშაულის ჩადენის გამო და აგრეთვე ის პირი, ვინც საზოგადოებრივი და პროფესიონალური ორგანიზაციიდან გამორიცხულია სახელმწიფოებრივი მოქმედებისა და ყოფა-ქცევისათვის.

მსხვილ წარმოება - დაწესებულებებში (საარჩევნო პუნქტებში) მოსმენილ უნდა იქნეს სახალხო მოსამართლეების და სახ. მსაჯულების საანგარიშო მოხსენებები მათი მუშაობის შესახებ.

თვით სახალხო მსაჯულთა არჩევნები უნდა მოხდეს საბჭოების საანგარიშო კრებებზე. არჩევნების დაწყებამდე ამ კრებებზე ამომრჩევლებს უნდა განემარტოს დანიშნულება და მნიშვნელობა სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტისა საბჭოთა სამართლის სისტემაში.

საქ. პროფსაბჭოს ინსტრუქციის თანახმად, სამხედრო სასამართლოსათვის სახალხო მსაჯულნი არჩეული უნდა იქნენ იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც აქვთ ერთი წლის სახელმწიფოებრივი, პროფესიონალური ან საზოგადოებრივი მუშაობის სტაჟი. იმავე სასამართლოში საქმეების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად სახალხო მსაჯულად არჩეული უნდა იქნენ ის პირები, რომლებიც მუშაობენ სამეურნეო-საწარმოო (სახელმწიფო და კოოპერატიული) დაწესებულებებში, როგორიცაა ბუჰგალტრები, მოანგარიშენი, სავაჭრო აგენტები, საქონლის მცოდნეები და საერთოდ ის პირები, რომლებიც იცნობენ წარმოებას, ვაჭრობას და სამეურნეო ოპერაციებსა და ანგარიშებს.

თურქეთის ნაციონალური კრების დეპუტატი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა თურქეთის ნაციონალური კრების (მეჯლისის) დეპუტატი და სავაჭრო საზოგადოება „ემინ ვეხზი ე კომპ.“ ერთი ხელმძღვანელთაგანი ბ. მიუქერემ-ბეი. თბილისში ჩამოსვლის მიზნის შესახებ ბ. მიუქერემ-ბეიმ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— ამ რამოდენიმე თვის წინათ ნაციონალური კრების ზოგიერთი დეპუტატების ინიციატივით დაარსდა ახალი სავაჭრო საზოგადოება „ემინ ვეხზიე კომპანიის“ სახელწოდებით. საზოგადოების მოწყობის მიზანია ვაჭრობის გაცხოველება საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან და კერძოთ ამიერ-კავკასიასთან. აღნიშნულ საზოგადოებასა და ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატს შორის დადებული იყო სავაჭრო ხასიათის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ა.-კავკასიიდან თურქეთში უნდა გაეტანათ— მანუფაქტურა, შაქარი, რკინეულობა, ფაიფურის ნაწარმოები და სხ., ხოლო თურქეთიდან კი შემოეზიდავდენ—ბამბას, ხელს, საკლავ საქონელს, რძის პროდუქტებს და სხ.

ჩემი თბილისში ჩამოსვლის მიზანია გამოვარკვიო, თუ კიდევ რა საქონლის გატანა იქნება შესაძლებელი ამიერ-კავკასიიდან და ან როგორია ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილება იმ საქონელზე, რომლის შემოტანაც ჩვენ შეგვიძლია თურქეთიდან. ჩვენ საზოგადოებას განზრახული აქვს უახლოესი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიიდან თურქეთში გაიტანოს და იქედან აქ შემოიტანოს 3 მილიონი მანეთის სხვადასხვა საქონელი. ვაჭრობის ასეთ გაცხოველებას, ჩემის რწმენით, უდიდესი გავლენა ექნება ორივე მეზობელ ქვეყნის ეკონომიური კეთილდღეობისათვის.

აჭარისწყალის ჰიდროელსადგურის სამუშაოები

(საუბარი სამუშაოთა უფროს ინჟ. ა. მაშევსკისთან)

თბილისში ჩამოვიდა აჭარისწყალის ჰიდროელსადგურის სამუშაოთა უფროსი ინჟ. ა. მაშევსკი, რომელმაც სადგურის საალმშენებლო სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს გადასცა:

— უკანასკნელი თვეების განმავლობაში სადგურის საალმშენებლო სამუშაოები დიდის ისწრაფით ვითარდება. ეს სამუშაოები ამჟამად მიმართულია უმთავრესად სამი ძირითადი ნაწილის აგებისაკენ. ყველაზე უფრო რთულ სამუშაოთ ითვლება მთავარი საგუბარის აგება, რისთვისაც მდინარე აჭარისწყალი გადაყვანილია ახალ კალაპოტში და დაწყებულია მიწის სამუშაოები ნაგუბარის კედლის საფუძვლის ჩასაყრელათ. აღნიშნულ სამუშაოზე ამჟამად ყოველდღიურათ მუშაობს 250 კაცი.

დიდი და გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს აგრეთვე ე. წ. სადერივაციო გვირაბის გასაყვანად. აღნიშნულ გვირაბს ექნება ნახევარი ვერსი სიგრძე და 5 მეტრის მოცულობის დიამეტრით. გვირაბის გასაყვანათ დაწყებულია კლდის სამუშაოები, რაც უკვე დასრულდა, ხოლო ამჟამად მიმდინარეობს გვირაბის შიგნითა კედლების გასუფთავება. ახლო ხანში დაწყებული იქნება გვირაბის კედლების ბეტონით ამოლესვა. ბეტონისათვის საჭირო ყველა მასალები უკვე დამზადებულია და ამ დღეებში დაიწყება თვით ბეტონის დამზადება ადგილობრივ მოწყობილ ბეტონის საკეთებელ ქარხანაში.

ყველა აღნიშნულ სამუშაოებიდან განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მთავარი არხის ზემოთ წყლის გადასაშვების მოწყობა. აღნიშნულ სამუშაოთა პროექტი შედგენილია პროფ. მილოვიჩის მიერ, რომელმაც წყლის გადასაშვების მოსაწყობათ დაამუშავა სრულიად ახალი კონსტრუქცია.

ასეთი კონსტრუქციის წყლის გადასაშვები პირველად იქნება მოწყობილი მთელ საბჭოთა კავშირში. წყლის გადასაშვების მოსაწყობათ გაჭრილი იქნება მდინარის მარცხენა ნაპირი, იმ ადგილას, სადაც ეს ნაპირი კლდეებისაგან შესდგება. კლდის გასაჭრელათ ამჟამად მუშაობს 230 მუშა და ამოღებულია 8.500 კუბიკური საჟენი კლდე.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მუშაობის წარმატებითი მიმდინარეობა შესამჩნევათ დააბრკოლა ცუდმა ამინდებმა. უკანასკნელ კვირაში სადგურის მახლობლათ იმდენა თოვლი მოვიდა, რომ შეუძლებელი გახდა ბათომთან მიმოსვლა. სამუშაოთა სამმართველო იძულებული იყო თოვლი გაეჭრა ტრაქტორების საშუალებით.

გარდა ზემოთ მოხსენებულ სამუშაოებისა, სწარმოებს აგრეთვე დანარჩენ მეორე ხარისხოვან სამუშაოთა შესრულებაც. ამ დღეებში რკ. გზების სამმართველოდან შევიძინეთ 15 ცისტერნა, საიდანაც უნდა დავამზადოთ ტურბინებთან დასაგები დიდი მილები, რომლის საშუალებითაც მთავარი არხი შეუერთდება მანქანებს; ეს უკანასკნელები მოძრაობაში მოვლენ წყლის ძალით და გამოიმუშავებენ ელექტრო ენერგიას.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

მოსკოვიდან დაბრუნდა სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციო სამუშაოების უფროსი ინჟ. გრ. შახბუდაგოვი, რომელიც დაესწრო გზათა კომისარიატის ცენტრალურ საგეგმო სამმართველოსთან შემდგარ თათბირს. ეს თათბირი მოწვეული იყო სურამის საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციის საკითხების განსახილველად.

თათბირზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ ინჟ. შახბუდაგოვმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

თათბირის მუშაობის პროგრამაში შედიოდა უღელტეხილის საელექტროფიკაციო სამუშაოების ვადების დაწესება. სამუშაოების ვადების განსაზღვრისათვის თათბირმა საჭიროდ აღიარა ცნობების შეკრება რკინის გზებზე ტვირთბრუნვის ზრდის პერსპექტივების შესახებ. გამოკვლეული იქნება სურამის უღელტეხილის ეკონომიური პერსპექტივები და ექსპლოატაციის ღირებულება დღევანდელ პირობების მიხედვით (როდესაც უღელტეხილზე მატარებლების მიმოსვლა სწარმოებს ორთქლმავლებით) და ელექტროფიკაციის შემდეგ (როდესაც მატარებლები ივლიან ელექტრომავლებით).

ყველა ამ ცნობების შეკრება დამთავრდება მიმდინარე თვის დამლევისათვის და მაშინ გახდება შესაძლებელი უღელტეხილის საელექტროფიკაციო სამუშაოების ვადების საბოლოოდ დაწესება.

მიმდინარე წელს სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის გადადებულია 2.200.000 მანეთი. თუ საელექტროფიკაციო სამუშაოების ვადები გაგრძელდა, მოსალოდნელია ამ თანხის შემცირება—400.000 მანეთით.

ა. კ. სახკომსაბჭოში

ძვირფასი კულტურების გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ ნება დართო ამიერ-კავკ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს სასოფლო მეურნეობის 10 პროცენტიანი შერჩევითი აღწერა, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 1927—28 წლის გაზაფხულზე, შესცვალოს ძვირფასი კულტურების გამოკვლევით.

მასალების დამუშავება

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ აუცილებლად სცნო დამუშავებული იქნეს მაზრების მიხედვით სტატისტიკური მასალები ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მუშაობის შესახებ; ფოსტა-ტელეგრაფის ამიერ-კავკ. ოლქის სამმართველოს დაევალა ეს დადგენილება ცხოვრებაში გაატაროს მიმდინარე სამეურნეო წელიწადში.

ამას გარდა, აუცილებლად არის ცნობილი მასალების დამუშავება რკინისგზების ტვირთბრუნვის შესახებ; ამიერ-კავკ. რკინისგზების გამგეობას დაევალა მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენის დროს მხედველობაში იქონიოს აღნიშნული მასალების რესპუბლიკანური მასშტაბით დამუშავების აუცილებლობა.

საქ. სახკომსაბჭოში

წვევამდელთა კვების გაუმჯობესების შესახებ

წვევამდელთა კვების გაუმჯობესების მიზნით სახკომსაბჭოს გამწესრიგებელმა სხდომამ საჭიროდ სცნო გაღებულ იქნეს ქართულ მსროლელ დივიზიის განკარგულებაში 3.000 მან.

საუწყებათაშორისო მეტრიული კომისიის გაუქმება

საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო, საუწყებათაშორისო მეტრიული კომისიის გაუქმება.

ხსენებულ კომისიის ფუნქციები უნდა გადაეცეს სმუ საბჭოს ზომა წონის პალატას.

ამხ. ა. კალანდაძის დანიშვნა

სმუ საბჭოს პრეზიდიუმის წევრად, ამხ. საკიანის ნაცვლად დაინიშნა ამხ. ა. კალანდაძე.

სათესლე ფონდის დაარსება

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი დებულებისა სახელმწიფო ცენტრალური და ადგილობრივი სათესლე ფონდის დაარსებისა და გამოყენების შესახებ.

დავალიანების ჩამოწერა გლეხებისაგან

ამიერ - კავკასიის სახკომსაბჭომ დაამტკიცა ინსტრუქცია, რომელიც ეხება საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წლის 2 ნოემბრის დადგენილების გატარებას; ეს დადგენილება კი გულისხმობს 1924—25 წელში გლეხებისათვის მიცემულ სათესლე სესხის დავალიანების ჩამოწერას.

1927 წლის 7 ნოემბრისათვის დარჩენილი დავალიანება იმ სესხებიდან, რომლებიც გაცემული იყო 1924—25 წელში მოუსავლიანობის გამო, როგორც სახელმწიფო საშუალებებიდან ისე სასოფლო - სამეურნეო ბანკების თანხებიდან, ჩამოწერილია გლეხთა მეურნეობებისაგან. ჩამოწერილი უნდა იქნეს აგრეთვე სესხზე დარიცხულ პროცენტების და საურავის დავალიანება. თანხები, რომლებიც გადახდილია 7 ნოემბრამდი სესხის, პროცენტების და საურავის გასასტუმრებლად, დაბრუნებული არ იქნება.

გამორკვევა იმ ძირითადი ვალის, პროცენტების და საურავის დავალიანებისა, რომელიც გლეხთა მეურნეობებზე ითვლება, ეკისრება ა.-კ. სასოფლო - სამეურნეო ბანკს.

დავალიანების თანხების გამორკვევის შემდეგ ა.-კ. სასოფლო - სამეურნეო ბანკი მის მიერ მიღებულ ცნობებს ა.-წ. 15 მარტისათვის გადაგზავნის ა.-კ. ფინსახკომში, სადაც ამ ცნობებს შეამოწმებს სპეციალური კომისია.

როდესაც გამოირკვევა დავალიანების თანხა, რომელიც ჩამოწერილი უნდა იქნეს, კომისიის დადგენილება ა.-კ. ფინსახკომის დასკვნით წარდგენილი უნდა იქნეს დასამტკიცებლად ა.-კ. სახკომსაბჭოში. მთელს ამიერ-კავკასიაში ჩამოსაწერი თანხა 15 მარტისათვის საქ. ფინსახკომის მიერ გადაგზავნილი უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის ფინსახკომში, ხოლო ა.-კ. სას.-სამეურნეო ბანკის მიერ ცენტრალურ სასოფლო - სამეურნეო ბანკში.

იმ ზარალის დაფარვის საკითხები, რომელსაც მიაყენებს სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემას დავალიანების ჩამოწერა, გადაწყვეტილი იქნება ცალკე საკანონმდებლო აქტით.

გაზაფხულის მატყლი

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა საქართველოს ვაჭრობის კომისარიატის მიერ წარმოდგენილი გეგმა 1928 წელში გაზაფხულის მატყლის დამზადების შესახებ.

ამ გეგმის თანახმად, მიმდინარე წელს დამზადებული უნდა იქნეს 54.000 ფუთი გაზაფხულის მატყლი (გასულ წელთან შედარებით დამზადების გეგმა გადიდებულია 22 პროც.). მატყლის ამ რაოდენობით დამზადება შესაძლებლათ არის ცნობილი იმ პირობით, თუ დროზე იქნება მოწესრიგებული საძოვრების საკითხი და მეცხვარეები თავის დროზე იქნება მომარაგებული ხორბლით და მანუფაქტურით. წინააღმდეგ შემთხვევაში მინიმალურ დამზადების გეგმათ მიჩნეულია 45.000 ფუთი.

ამასთანავე საჭიროთ არის ცნობილი გაწმენდილი მატყლის დამზადება. გაწმენდილი მატყლის ფასი გასული წლის ფასებთან შედარებით გადიდებულია 6 პროცენტით, ხოლო, გაუწმენდავი მატყლის ფასი, გასული წლის ფასთან შედარებით, შემცირებულია ფუთზე 1 მანეთით.

საგეგმო კომისიის დადგენილებით, მეცხვარეთათვის ა. წ. პირველ ნახევარში შემოზიდული უნდა იქნეს 78 ვაგონი ხორბალი, 7 ვაგონი ქერი, 335.250 მეტრი ფართალი და 3.725 მეტრი ფარაჯის მატერია. მოსამარაგებელ საქონლის ღირებულება უდრის 286.255 მანეთს.

საგეგმო კომისიის დადგენილებით გაზაფხულის მატყლი განაწილებული უნდა იქნეს შემდეგნაირათ: საპონტრესტს—8.000 ფუთი, შინამრეწველთა კოოპერაციას—6.000 ფუთი, ა.-კ. სახ. ვაჭრობის სამმართველოს—5.000 ფუთი და საკავშირო მრეწველობას—54.000 ფუთი.

სესხი საბინაო მშენებლობისათვის

მიმდინარე წლის განმავლობაში საბინაო მშენებლობისთვის გადადებულია 1 215.000 მანეთი. აღნიშნული თანხიდან 870.000 მანეთი დაიხარჯება ალმასკომის ხაზით, 150.000 მან. მრეწველობის ხაზით და 105.000 მან. საბინაო კოოპერაციის ხაზით.

შრომის სახ. კომისარიატთან არსებულ საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის დადგენილებით, საბინაო მშენებლობისთვის გადადებული სესხი განაწილებული იქნება შემდეგნაირათ: დაწყებულ სახლებისათვის თბილისის ალმასკომს—600.000 მან., ბათომის ალმასკომს —60.000 მან., სოხუმის ალმასკომს—50.000 მან.; ცხინვალის ალმასკომს ახალი საბინაო მშენებლობისთვის—20.000 მან., ახალციხის ალმ. 2 დაწყებული სახლის დასამთავრებლათ—15.000 მან., ახალქალაქის ალმ. ახალი სახლებისათვის—15.000 მან., გორის ალმასკომს—35.000 მან., შორაპნის ალმასკომს ჭიათურისა და ზესტაფონის მუშების ბინებისათვის—30.000 მან., ქუთაისის ალმასკომს საქსოვი ფაბრიკის და სხვა ქარხნების მუშათა ბინებისათვის—45.000 მან

საქართველოს აბრეშუმის ტრესტს—100.000 მან. (აქედან ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკის მუშათა ბინებისათვის—50.000 მან. და ხონის აბრეშუმის მუშათა ბინებისათვის—50.000 მანეთი); ბორჯომის მინერალური წყლების სამმართველოს—50.000 მან., ტროცკის სახელობის კოოპერატიულ საბინაო ამხ. (რკინისგზელების) — 35.000 მან., საბინაო ამხანაგობა „წინ“-ს დაწყებული სახლის დასამთავრებლათ 50.000 მან., საბ. ამხანაგობა „კოოპერაციას“ დაწყებული სახლის დასამთავრებლათ—30.000 მან., კოოპ. საბ. ამხანაგობა „ვაკეს“—30 000 მან. და ამხანაგობა „შრომბანკს“—50.000 მან. საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის დადგენილება დასამტკიცებლათ წარედგინა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს.

გარდა აღნიშნულ თანხებისა, საბინაო მშენებლობას მრეწველობის ხაზით მიეცემა დამატებით 450.000 მანეთი.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება

სასოფლო მეურნეობის პროდუქტების დამზადება-გასაღების მოწესრიგების მიზნით საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატში გუშინ შესდგა კოოპერატიულ ორგანიზაციათა და თბილისის ალმასკომის წარმომადგენლების თათბირი. თათბირზე გამორკვეულ იქნა, რომ თბილისის სამომხმარებლო კოოპერაციისთვის სასოფლო მეურნეობის პროდუქტები დამზადებული უნდა იქნეს შემდეგი რაოდენობით. ქართოფილი—200.000- ფუთი, კომბოსტო—45.000 ფუთი, ხახვი—29.000 ფუთი და ლობიო 42.000 ფუთი. სასოფლო მეურნეობის პროდუქტების დამზადება დაევალა „სოფლის კავშირს, ცეკავშირს და „ზაკვოგნპო“-ს, რომელთაც დამზადებული პროდუქტების მთელი რაოდენობა უნდა გადასცენ „ზაკსოიუზს“, ხოლო უკანასკნელს დაევალა პროდუქტების განაწილება თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივებს შორის.

თათბირის დადგენილებით, ქართოფილი დამზადებული უნდა იქნეს ახალციხის და ბორჩალოს მაზრებში და გომბორის რაიონში; კომბოსტო—გორის მაზრაში; ხახვი—ყარაიაში და ბორჩალოს მაზრაში; ლობიო—გორის მაზრასა და დასავლეთ საქართველოში. „ზაკსოიუზს“ დაევალა მოაწყოს დამზადებულ პროდუქტების საწყობები ადგილებზე და თბილისში.

ქრონიკა

თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის 10 წლის თავის აღსანიშნავად

დღეს, 8 მარტს, საღამოს რვა საათზე სოც.-ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქუჩა № [illegible]) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის თავის აღსანიშნავად შესდგება თბილისის ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზ-ბის საზეიმო კრება, რომელზედაც მოხსენებებს წაიკითხავენ: პროფ. ვ. ჟღენტი—სამკურნ. ფაკულტეტი ათი წლის თავზე; პროფ. თიკანაძე,—სამკურნალო ფაკულტეტის დაარსების საკითხი; პროფ. ს. ვირსალაძე—სამკურ. ფაკულტეტის დაარსება და ქართველ ექიმთა საზოგადოება; პროფ. ა. ნათიშვილი—ნორმალი და ტოპოგრაფიული ანატომია და ჰისტოლოგია; პროფ. ვ. მოსეშვილი—ფიზიოლოგია— ფერმაკოლოგია; პროფ. ვ. ჟღენტი—ზოგადი პათოლოგია, პათოლოგიური ანატომია, სასამართლო მედიცინა; პროფ. ს. ამირაჯიბი—ზოგადი და სოციალური ჰიგიენა, ბაქტერიოლოგია; პროფ. გ. მუხაძე—ქირურგიული ჯგუფი, თვალის-ყურის-კბილის და ვენერიული სნეულებანი; პროფ. შ. მიქელაძე— თერაპიული ჯგუფი, პედიატრია; პროფ. გ. ლამბარაშვილი—გინეკ. მეანობა, ფიზიტ.-კურორტოლოგია, რენტგენ; პროფ. ს. ყიფშიძე—ნევროპათოლოგია, ფსიქიატრია; ასისტენტი ზ. მაისურაძე—ქართული სამკურნალო პრესის ისტორია.

რემედასის ყრილობა

დღეს 8 მარტს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა დიდ დარბაზში გაიხსნება სრულიად საქართველოს რემედასის მეორე ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგი შემდეგია: 1) საერთაშორისო მდგომარეობა და რემედასის ამოცანები (მომხსენებელი მ. ცხაკაია); საკავშირო რემედასის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება (მომხსენებელი ამხ. ნანეიშვილი), 3) საქართველოს რემედასის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება (მომხსენებელი ამხ. ქოიავა); 4) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 5) უჯრედების მუშაობის ახალი მეთოდების შესახებ და 6) საქართველოს რემედასის ცენტრალური კომიტეტის, სარევიზიო კომისიის და საკავშირო რემედასის ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნები.

დაჯილდოვება

სახანძრო რაზმში ენერგიული მუშაობისათვის ალმასკომმა მკერდზე სატარებელ ნიშნებით დააჯილდოვა ბრანდმაიორის მოადგილე ამხ. კლაჩკოვი და ცეცხლის მქრობელი რაზმის მთავარი ინსპექტორი გ. შარაშიძე.

ბრძოლა კატასტროფებთან

ავტომობილებისა და ტრამვაის კატასტროფების წინააღმდეგ ღონისძიებების გამოსამუშავებლად დაარსებულმა სპეციალისტთა კომისიამ გუშინ დაასრულა მუშაობა.

კატასტროფების თავიდან ასაცილებლად კომისიამ გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები.

კომისიამ მიზანშეწონილად სცნო, რომ შრომის სკოლების ხელმძღვანელებმა მოწაფეებს შორის ჩაატარონ სათანადო კამპანია და მოსწავლეებს განუმარტონ მოძრაობის წესების დაცვის საჭიროება.

თბილისის ალმასკომში

◆ ალგეთის ქვის დამამუშავებელ ქარხნის ასაგებათ თბილისის ალმასკომმა გადასდო 100.000 მან.

◆ **ახალი სახლები.** ამჟამად თბილისში შენდება 95 მუშათა ახალი სახლი.

◆ წყალსადენის ელექტროფიკაციისათვის გადაიდო 63 ათასი მან.

◆ ახალი სასკოლო მშენებლობის გასაძლიერებლად განათლების განყოფილებას გადაეცა 165.816 მან.

◆ მიწათმოწყობის ჩასატარებლად მაზრას, გადაიდო 56.442 მანეთი.

◆ ტრამვაისათვის ახალი მოწყობილობათა შესაძენად ტრამვაის დირექციას გადაეცა 40 ათასი მან.

პროფსაბჭოში

◆ **ექსკურსია.** პროფსაბჭო რვა მარტის აღსანიშნავად აწყობს ქალთა ექსკურსიას ბაქოს დასათვალიერებლად.

◆ **ექსკურსია.** კულტგანყოფილებამ შეიმუშავა ზაფხულის განმავლობაში ექსკურსიების მოწყობის გეგმა. წელს ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს კავშირის 10.000 წევრი.

◆ **ქალთა რაოდენობა კავშირებში.** ამჟამად საქართველოს პროფკავშირებში ირიცხება 19.471 წევრი ქალი.

სხვადასხვა

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** 9 მარტს, დღის 12 საათზე შესდგება სახალხო უნივერსიტეტის პროფსექციათა ალმასბიუროს პლენუმი. დღის წესრიგში: პროფკომის სამუშაო გეგმების განხილვა და მიმდინარე საკითხები.

◆ **საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში** ცხრა მარტს საღამოს შვიდ საათზე შესდგება საქართველოს საისტ. და საეთნოგრაფიო საზ-ბის კრება, რომელზედაც პროფ. გ. ნათაძე წაიკითხავს მოხსენებას: დოიშ-პეტრუშევსკის თეორია და ფეოდალიზმის ისტორიის ახალი პრობლემები“. კრება საჯაროა.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **მუხტაროვის უკანასკნელი გასტროლი.** დღეს ოპერაში გაიმართება მუხტაროვას უკანასკნელი გასტროლი. მიდის „კარმენი“.

◆ **„რღვევა“.** რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „რღვევა“.

◆ **ქალთა დღის აღსანიშნავად** დღეს კონსერვატორიის დარბაზში შესდგება ამავე კონსერვატორიის სტუდენტ ქალების საზეიმო სხდომა. შემდეგ გაიმართება კონცერტი მხოლოდ სტუდენტ ქალების მონაწილეობით.

◆ **ლიპკოვსკაიას კონცერტი.** შესდგება დღეს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში.

◆ **8 მარტის აღსანიშნავად** დღეს ყველა მუშათა კლუბებში გაიმართება სადღესასწაულო საღამო-წარმოდგენები.

◆ **კონცერტი.** 10 მარტს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება 1 მუსიკალურ ტეხნიკუმის მოწაფეთა ღია კონცერტი.

◆ **მუშათა თეატრში** რუსული დრამის [illegible] დღეს წარმოდგენილი იქნება „რღვევა“.

◆ **მსახიობ ვ. გამყრელიძის ავადმყოფობა.** დამსახურებული მსახიობი ვიქ. გამყრელიძე ამჟამად მძიმე ავადაა.

კინო

„სანკტ-პეტერბურგის აღსასრული“

რევოლიუციონური კინო-მატოგრაფიული ფაქტი ჩვენს ეკრანზე შემთხვევითი მოვლენათ გადაიქცა. მაყურებელი ყელამდე არის ჩაფლული კინო-მაკულატურაში. „ჯავშნოსანი პოტიომკინი“, „დედა“,—აი ჩვენი სიამაყე კინომატოგრაფიულ ფრონტზე. ამ ორ ფილმით საბჭოთა კინემატოგრაფია გავიდა საერთაშორისო არენაზე. „პატიომკინმა“ და „დედამ“ დაამტკიცა, თუ რის გაკეთება შეუძლია კინემატოგრაფიას, როდესაც ის მოწინავე სოციალურ პოზიციებზე სდგას. ამ ორ ფილმს ეხლახან მიემატა მესამე, იგი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენ მიერ დასახელებული ორი ფილმი. პუდოვკინის უკანასკნელი ნამუშევარი აუცილებლად ერთ-ერთ პირველ ადგილთაგანს დაიჭერს საბჭოთა კინემატოგრაფიის აქტიურ ბალანსში. „სანკტ-პეტერბურგის აღსასრული“ დიდი მოვლენაა ჩვენს კინემატოგრაფიაში. ესეთი ფილმი მხოლოდ რევოლიუციონურ ეპოქაში შეიძლება წარმოიშვეს. „სანკტ პეტერბურგის აღსასრული“ კინემატოგრაფიული კულტურის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია. ამ სურათით **პუდოვკინი** კინემატოგრაფიის დიდ ხელოსანთა რიგში სდგება. ჩვენის აზრით ამ სურათის თითეული კადრი კინემატოგრაფიის დიდი მიღწევაა. პუდოვკინმა კარგი სკოლა განვლო კინემატოგრაფიაში. **ლევ კულეშოვის** სკოლიდან გამოვიდა პუდოვკინი. და, როგორც ნიჭიერმა მოწაფემ, მშვენივრად გამოიყენა ამ სკოლის დადებითი მხარეები, ხოლო უკუაგდო მისი უარყოფითი გადახრები ესტეტიურ-მექანიზაციისაკენ, რომელიც ახასიათებდა კულეშოვის სკოლას. კადრის სისუფთავე, მისი გერმეტრიულად სწორი კონსტრუქცია, მსახიობის მუშაობის გამართული პრინციპი, დამყარებული ბიო-მექანიკურ და მოძრაობის მაქსიმალურ გამომეტყველებაზე მინიმუმ მოძრავ საშუალებების გამოყენებით,—აი ის პრინციპი, რომლის მიხედვით მუშაობს პუდოვკინი. **ნატან ზარხიმ** (სცენარისტი) ჩვენის აზრით მოგვცა სწორი გავება გადასაღებ მასალის.

სურათი აგებულია ერთი შეხედვით სრულიად უბრალო ამბავზე: იმპერიალისტური ომის წინა ხანა. გალატაკებული გაჭირვებული დაგლეხვებული და განადგურებული რუსეთის სოფელი. ქალაქად პროლეტარიატი იბრძვის რამოდენიმე სადა და უბრალო შტრიხით აწერილია ის საშინელი მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებოდა რუსეთის მშრომელი ხალხი. კაპიტალისტი—ლებედევი ტყავს აძრობს მუშებს. ლებედევის აქციების კურსი ყოველ წუთში იზრდება. ბირჟის გამოხმაურება ლებედევის მიერ სახელმწიფო დაკვეთის მიღებაზე. ომი იწყება.

სოფლელი გლეხი ქალაქში ჩამოსვლისთანავე შტრეიკბრეხერი და გამცემი ხდება მუშა ბოლშევიკებისა. სურათის შემდგომ განვითარებაში გლეხი უკვე შეგნებული მებრძოლია ოქტომბრის რევოლიუციისათვის, რადგან მან განვლო იმპერიალისტური ომის სკოლა, ომის გამოცხადებისას პატრიოტული ენტუზიაზმი რუსეთის ბურჟუაზიისა იქამდის მიდის, რომ ალექსანდრე მესამეს ძეგლიც კი „ცრემლებს ღვრის“. საშინელი იმპერიალისტური ომი. გლეხი ამ ომში უკვე საბოლოოდ ერკვევა საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთ დამოკიდებულებაში. „ვიბრძვით და ნეტავი რისთვისო“ სწერს ის. ქალაქად იწყება მღელვარება. „პური, ზავი“—გაისმის ქუჩებში... მოქალაქე კერენსკი და დროებითი მთავრობა... ფაბრიკანტები, (ლებედევი), რომლებიც პირველი მონარქისტები იყვნენ ეხლა მარსელიოზას მღერიან. „ზავი, პური, ძალა-უფლება საბჭოებს“ გაისმის ქუჩებზე. პეტრე-პავლოვსკის ციხიდან ზარბაზანი აძლევს ნიშანს „ავრორამ“ ნიშანზე ამოიღო სასხლე. გავარდა პირველი ბოლშევიკური ყუმბარა. რუსეთის იმპერიის ბედი გადაწყდა. აღარ არის სანკტ-პეტერბურგი. გაუმარჯოს ლენინის ქალაქს.

აი სურათის შინაარსი.

მასალა აღებულია, როგორც ვხედავთ, მეტად დიდი. ჩვენის აზრით ეს მასალა არის დაძლეული. პუდოვკინმა კინოკადრები აალაპარაკა დიდი მჭერმეტყველობით და სიძლიერით. აიღეთ სურათის პირველი ნაწილი. რუსეთის ტრიალ-მინდვრების დიდი გასაჭირი. ქარიშხლის კადრებიდან და თქვენ მას გრძნობთ დარბაზში. ეს კადრები იმდენად ძლიერად არიან გაკეთებული, რომ ჩვენ აქ ვერ მოგვიძებნია შესაფერი სიტყვიერი ეკვივალენტი, მათი სიდიადის გამოსახატველად. აქ საშუალება არა გვაქვს ამ კადრების სრული ანალიზისა. მაგრამ რამოდენიმე სიტყვა მაინც უნდა ითქვას.

უპირველესად ყოვლისა მშვენივრად არიან გამოყვანილი გლეხები. მეტად კარგია ტიპაჟი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მსახიობი **ჩუველიოვი**, გოლოვნიას ფოტოგრაფიის საერთო სტილი სავსებით შეეფერება სურათის კადრების საერთო ხასიათს. რუსეთის მინდვრების სიდიადე და მათი მწუხარება ნეკრასოვის სტილით არის გაკეთებული. მინდვრების წიაღს ჩაჰკვრის გლეხი და სოფლური იდიოტიზმით დაავადებული პურსა ღეჭს. მე პირდაპირ ვიტყვი. რუსეთის სოფლის, რუს გლეხის საშინელი გაჭირვება ამნაირად ჯერ არსად ყოფილა ასახული. ქალაქი, მუშის ოჯახი, ქარხანა ამ მასალის გადმოსაცემად პუდოვკინმა იხმარა ის მაქსიმალურ საშუალებებს. რომელთა უკეთესი გამოყენება წარმოუდგენელია. შესაძლებელია, რომ სრულიად გაუმართლებელი იყოს ამ ქრონიკალურ მასალაში, რომელსაც წარმოადგენს ფილმის განვითარება, სიუჟეტიან სცენის ძალდატანებითი შეტანა.

აქტიორების საერთო კარგ მუშაობაში რაღაც დისონანსის შთაბეჭდილებას სტოვებს მეტის მეტად „ლამაზი“ **ბარანოვსკაია**. არც ოჯახურ სცენებში, არც რევოლიუციონურ პათეტიურ კადრებში არ არის გამართლებული ბარანოვსკაია. ჩვენ ვიცით, რომ ამ სიუჟეტიან სქემის წინააღმდეგი იყო როგორც სცენარისტი ზარხი. აგრეთვე რეჟისორ პუდოვკინი. მაგრამ საერთო დადებით შთაბეჭდილებას ეს სიუჟეტიანი სქემა ბევრს ვერაფერს ვნებს.

სურათის საერთო კონსტრუქცია ჩვენის აზრით ორგანიულ შთაბეჭდილებას სტოვებს და ის არ არის მექანიკურ შეერთების შედეგი. განსაკუთრებით კარგად არის გაკეთებული მომენტი პატრიოტულ მანიფესტაციის. პუდოვკინის ირონია ამ კადრებში მეტად ძლიერია. გუშინდელი ჟულიკი, დღეს ნიკოლოზის სურათით მიდის მანიფესტაციის წინა რიგებში. აი გმირები იმპერიალისტური ომის.—კონტრასტული მონტაჟის საშუალებით პუდოვკინი აქ დიდ ნიჭს იჩენს, ომის მიზეზი, მისი მამოძრავებელი ძალა მშვენივრად არის ახსნილი ამ მონტაჟის საშუალებით.

„სანკტ პეტერბურგის აღსასრული დიდი სურათია. ის საბჭოთა კინემატოგრაფიის გამარჯვებაა. რევოლიუციონურ კინემატოგრაფიის ხერხემალი მაგრდება და ძლიერდება.

ვ. მ—ნი.

ქუთაისი

სურსათ - სანოვაგის მიღება - განაწილება

თებერვლის განმავლობაში ცეკავშირის ქუთაისის პუნქტმა მიიღო ცეკავშირიდან და გაუნაწილა თავის სამოქმედო რაიონში არსებულ კოოპერატივებს: 19 რონოდა პურის ფქვილი 11 რონოდა სიმინდი, 4 რონოდა შაქარი, 2 ცისტერნი საჭმელი ზეთი, 1 რონოდა ბრინჯი, 1 რონოდა საპონი, 1 რონოდა ქატო და 1 რონოდა სახურავი თუნუქი.

ნავთის ვაჭრობის მოწესრიგება

ადგილობრივმა მუშკოოპმა „კოოპერაცია“-მ შეიძინა „ტანკები“, რომლითაც ატარებს ქალაქში ნავთს მცხოვრებლებზე გასასყიდათ, როგორც ფუთობით, ისე გირვანქობით. ქალაქის მცხოვრებლებისათვის ეს დიდი შეღავათია, მაგრამ სოფლელებისათვის კი ვერაა ხელსაყრელი. საჭიროა, რომ ქალაქის მოედნებზე (მემწვანილეებში და ყაფნებთან) ან გაიხსნას მუდმივი ნავთის სავაჭროები, სადაც სოფლელებს შეეძლებათ ნავთის შეძენა, თუ ეს საძნელოა, იმ შემთხვევაში საბაზრო დღეებში (კვირაობით და პარასკეობით) როდესაც სოფლიდან დიდძალი ხალხი ჩამოდის, მოეწყოს ხსენებულ მოედნებზე ნავთის გაყიდვა, თუნდაც იმავე „ტანკებიდან“, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

სესხი სოფლის კოლექტივებსა და არტელებს

ქუთაისის სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა კერძო პირთ — ამხანაგობის წევრთ—აღარ აძლევს სესხს სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის. ცენტრიდან მიღებული დირექტივების თანახმად, სესხი მიეცემათ ხსენებული მიზნით მხოლოდ სოფლის არტელებსა და კოლექტივებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ორგანიზაციები სოფლებში ჯერჯერობით ძლიერ იშვიათია. ის გარემოება ძლიერ აბრკოლებს სოფლელებს, რომელნიც საკრედიტო ამხანაგობების დახმარებით ფიქრობდენ ამ გაზაფხულისათვის მუშა საქონლის (უმეტესად ხარების) შეძენასა და ხვნა-თესვის დაწყებას. საჭიროა ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიექცეს.

სამუსიკო ტექნიკუმის იუბილე

ქუთაისის სამუსიკო ტექნიკუმის 10 წლის იუბილე, რომელიც 4 მარტს უნდა გამართულიყო, ქუთაისში არსებული მეტად ცუდი ამინდების გამო 9 მარტისათვის გადაიდო.

„რღვევა“ ქუთაისის თეატრში

ქუთაისის აკადემიური დრამა დიდი მზადებაშია ლავრენევის პიესის „რღვევა“-ს დასადგმელად. განზრახულია პიესა დაიდგას ზედიზედ 10 და 11 მარტს.

მამულის შეძენა მუშკოოპის მიერ

ქუთაისის მუშკოოპ „კოოპერაცია“-მ შეიძინა პუშკინის ქუჩაზე მდებარე ვ. ანჯაფარიძის ორსართულიანი სახლი (ვიტუშინსკისეული).

სურსათ - სანოვაგის გაძვირება

თოვლისაგან სოფლებისაკენ გზების შეკვრამ საშინლად გააძვირა სურსათ - სანოვაგე, ასე, მაგალითად, სიმინდი და სიმინდის ფქვილი გაძვირდა დაახლოებით 30 პროც.-ით. შეშა 100 პროც.-ით; შინაური ფრინველები, კვერცხი და სხვა 50 პროც.-ით. ხახვი, სიმინდის ჩალა და ბოსტნეულობა — 200 პროც.-ით. 2 მარტს თოვლის სიმაღლემ 1 და ერთი მეოთხედ არშინს მიაღწია.

შემთხვევები

მოკვლის განზრახვა

გუშინ დილით ვალერიან სამსონისძე ჩომახიძემ (მცხ. ბაქოს ქუჩა № 84) მოკვლის მიზნით „ნაგანის“ რევოლვერიდან ესროლა კარაპეტ გაბრიელისძე არუთინოვს, რომელიც უვნებლად გადარჩა. ჩომახიძე დააპატიმრეს.

ჯიბგირების დაპატიმრება

უკანასკნელ ხანებში ქალაქის მეშვიდე და მეცხრე სამილიციო რაიონებში გახშირდა ჯიბიდან ფულის ამოცლის შემთხვევები.

გამოირკვა, რომ ამ რაიონებს შემოეჩვია ჯიბგირების ერთი ჯგუფი, რომლის წევრები დახელოვნებული ქურდი-რეციდივისტებია.

სულ მცირე დროის განმავლობაში მათი მსხვერპლი შეიქნა მრავალი მოქალაქე. გუშინწინ ერთმა მოქალაქემ, რომელსაც ჯიბიდან ფული ამოაცალეს, მომხდარი ამბის შესახებ განაცხადა მილიციაში.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ ამ საქმეზე დააპატიმრა ბორის ალექსანდრესძე ანდრეევი და მიხეილ ილიასძე მჭედლიშვილი.

ხულიგნობა მცირდება

აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების ცნობებით, ქუჩაში წესრიგის დარღვევის შემთხვევები უკანასკნელ თვეში შემცირდა 50 პროც.

ქურდების შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ერვანდ მონასისძე გევორკოვი, რაჩა მალაქისძე პეტროსიანცი, ერვანდ ვართანისძე მანულოვი და თედო დიმიტრისძე ჩხიკვაძე, რომლებსაც ბრალდებათ ქურდობა.

ბავშვის დაკარგვა

23 თებერვალს უგზო-უკვლოდ დაიკარგა ნინა მიხეილის ასული კუტეპოვა, 13 წლისა.

ქურდობა

გუშინწინ, ღამით მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს გ. პოლოსოვის ბინა (კახეთის ქუჩა № 2); წაიღეს 120 მანეთის ნივთები.

— გუშინ, დილით ბოქლომის აგლეჯის საშუალებით გაქურდეს ივ. ჭინჭარაძის ბინა (კლარა ცეტკინის ქუჩა № 120); წაიღეს 500 მანეთის საოჯახო ნივთები.

ქრონიკა.

თავდასხმა

რამოდენიმე ხნის წინად, ღამით, ყარაიაში საძოვარ ადგილზე მწყემს დავით ივანესძე სართხუციშვილს თავს დაესხა ვიღაც შეიარაღებული პირი. თავდამსხმელმა სიკვდილის მუქარით მოქ. სართხუციშვილს ზევით ააწევინა ხელები, რის შემდეგ გაძარცვა და მიიმალა.

ამ დღეებში თავდამსხმელი დააპატიმრეს. იგი აღმოჩნდა რუსტამ ვალი-ოღლი.

გაფლანგვა სახელგამის განყოფილებაში

ბათომი, 6 მარტი. საქართველოს სახელგამის ბათომის განყოფილებაში აღმოჩენილია გაფლანგვა, რომელიც მოახდინა ბუხჰალტერმა პ. კორსაკოვმა. გაფლანგულია 5.000-მდე მანეთი. კორსაკოვი დაპატიმრებულია და მიცემულია პასუხისგებაში. მოხსნილია მუშაობიდან და მიცემულია პასუხისგებაში დაუდევრობის გამო მაღაზიის გამგე კამენსკი. (ადს).

სასამართლო

ჭირვეული საქმრო

ქუთაისში დაიწყო ეს პატარა რომანი და დასრულდა სისხლიღვრით თბილისში.

შალვა ონისიმეს ძე ჯალაღანია ქუთაისში გაეცნო ცხრაწლედის უკანასკნელი ჯგუფის მოწაფე ქალს დ. მ-შვილს.

გაცნობის პირველი დღიდანვე ჩაინერგა ჯალაღანიამ გულში ქალის ტრფობა და გარს უტრიალებდა მას, როგორც სანთელს — ფარვანა.

იმ თვეშივე პირველი მისი წინადადება იყო, რომ ქალი ცოლად გაჰყოლოდა მას დაუყოვნებლივ.

— კარგი, დაუშვათ, რომ ჩვენ გავტარებით „მაჩში“ დავიწყეთ ერთად ცხოვრება... ვინ უნდა შეგვინახოს? რითი უნდა ვიცხოვროთ? შენც მოწაფე ხარ, მეც არ დამისრულებია საშუალო სასწავლებელი, — ასეთ პასუხს იძლეოდა ქალი ვაჟს.

გავიდა დრო. ქალმა დაასრულა ცხრაწლედი და სწავლის გასაგრძელებლად გადმოვიდა თბილისში, სადაც მეცადინეობა დაიწყო საპედაგოგო ინსტიტუტში.

შალვა ჯალაღანიამაც მიატოვა ქუთაისი და თბილისში გადმოვიდა. აქ მოეწყო ელექტრო-ტექნიკუმში მსმენელად.

ელექტრო - ტექნიკუმი ჯალაღანიას იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც მ-შვილის ქალზე დაქორწინება.

დაიწყო მოციქულების გზავნა. ქალს მოსვენებას არ აძლევს ჯალაღანია.

— რას ჩამცივებია! რა მოუთმენელი ადამიანია! მოვესწრებით ერთად ცხოვრებას. ჯერ დავამთავროთ სწავლა და „ვნახოთ“, — შეუთვალა ქალმა ჯალაღანიას.

ეს სიტყვა „ვნახოთ“ ლახვარივით ჩაესო გულში ჯალაღანიას.

— ეს უსათუოდ „დიპლომატიური“ უარის თქმაა, — ფიქრობს შეყვარებული.

— ან გამომყევი ეხლავე ცოლად, ან და შეურიგდი სიკვდილს, — უკანასკნელად უთვალის ჯალაღანია სატრფოს.

ქალი შეაშინა ასეთმა მუქარამ, მაგრამ როგორ იფიქრებდა, რომ მისი „თაყვანისმცემელი“ სასიკვდილოდ გაიმეტებდა.

ჩამოვარდა უკმაყოფილება. ქალი შიშის გამო გაურბის ვაჟთან შეხვედრას.

ჯალაღანიას სურს შეხვდეს ქალს და ერთხელ და სამუდამოდ გასინჯოს ნიადაგი.

ჯალაღანიამ გადაჰკრა ერთი კვარტი ღვინო „გასამხნევებლად“, ჩაიდო ჯიბეში რევოლვერი და თავისი ამხანაგის თანხლებით მივიდა ქალის ბინაზე.

ამხანაგმა გაუგო ჯალაღანიას ცუდი განზრახვა და ქალი გაჰპარა ოთახიდან.

— სულ ერთია, ჩემს ტყვიას ვერსად გაექცევა, სთქვა შეზარხოშებულმა ჯალაღანიამ და დასტოვა ქალის ბინა.

მეორე დღეს ჯალაღანია ვითომ „ბოდიშის მოსახდელად“ მიდის ქალის ბინასთან და ამხანაგის საშუალებით გამოიძახებს გარეთ ქალს.

იწყება ჩვეულებრივი სცენა.

— გამომყვები ცოლად თუ არა?

— შალიკო, შენი საქმე მიკვირს. ჯერ ჩვენ კიდევ სხვისი სარჩენი ვართ. აბა, დაუკვირდი, რას ემსგავსება ჩვენი ცხოვრება?

— ან ეხლა, ან არასოდეს, — ვაჟმა რევოლვერზე წაივლო ხელი.

ლაპარაკია ქუჩაში.

— ეხლა ყოვლად შეუძლებელია, — უპასუხებს ქალი.

ამ დროს გავარდა რევოლვერი და დაჭრილი ქალი დაეცა.

გავარდა მეორე. ქალს ასცდა. დაჭრილი ქალი გაექანა ქუჩისაკენ ყვირილით და ფოსტის მახლობლად, (რუსთაველის პრ.) კოოპერატივთან დაეცა ღონე მიხდილი.

ქალი წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც რამდენიმე დღის შემდეგ განიკურნა.

ჯალაღანია დააპატიმრეს.

საქმე გუშინ გაარჩია თბილისის სამაზრო სასამართლომ.

შალვა ჯალაღანიას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა რვა წლით. როგორც პასუხისგებაში პირველად ყოფილს და ახალგაზრდას, სასჯელი 4 წლამდე შეუმცირდა.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე — მ. კაჭარავა, სახალხო მსაჯულები: **ელიზბარაშვილი, ნასყიდაშვილი, პროკურორი— გაბუნია, მდივანი—იაშვილი.**

საბედისწერო გზა

ამბავი ხდება სოფელ ჯინჭრიანში (გორის მაზრა).

ივანე იოსების ძე მიგრიაული თავის თანასოფლელ ლუკა მიგრიაულს უფლებას არ აძლევდა გაევლო იმ გზით, რომელიც მას კანონით მიაკუთვნეს თავის ადგილში მისასვლელად.

იყო დაუსრულებელი ლანძღვა - გინება მათ შორის.

ხელისუფლებამ ლუკა მიგრიაულის სასარგებლოდ გადასწყვიტა საკითხი და წინადადება მისცა ივანე მიგრიაულს, რომ დაუბრკოლებლივ გაეტარებია გზაზე ლუკა მიგრიაული.

ივანემ არაფრად ჩააგდო ხელისუფლების გაფრთხილება და მოხნა გზა, რომ ურმით შეუძლებელი ყოფილიყო გავლა.

ლუკამ კიდევ გაასაჩივრა საქმე. კვლავ გააფრთხილეს ივანე მიგრიაული.

გაფრთხილების მეორე დღესვე ივანემ კარტოფილის დარგვა დაიწყო მოხნულ გზაზე.

ადგილობრივმა აღმასკომმა გაგზავნა თავისი წარმომადგენელი, რომელმაც განუცხადა ივანეს, რომ დაპატიმრებული იქნება, თუ გზის დატუშავებას თავს არ დაანებებს.

გულმოსული ივანე მიგრიაული სასიკვდილოდ დასდევს ლუკა მიგრიაულს.

ნახა სათანადო მომენტიც.

ლუკა ურმით გაუდგა გზას. ივანე მიგრიაული ჩაუსაფრდა გზაში და ურემზე მჯდომ ლუკა მიგრიაულს ორჯერ ესროლა თოფი. მიგრიაული ურემზევე გარდაიცვალა.

სასამართლომ ივანე მიგრიაულს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით.

ზერ.

„სოფლის კავშირში“

2500 მან. აგრონომიულ ფაკულტეტს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავად, „სოფლის კავშირის“ გამგეობამ გადასცა უნივერსიტეტს აგრონომიული დარგის საჭიროებისათვის 2.500 მან.

გარდა ამისა, სოფლის კავშირის გამგეობამ გადასცა რადიო-სადგურს 150 მან.

მერძეობის კურსები

ახალქალაქის აღმასკომს განზრახული აქვს მოაწყოს ახალქალაქში მოკლევადიანი მერძეობის კურსები. ამ კურსებზე მერძეობის და კოოპერაციის შესახებ ლექციების წასაკითხათ მიწვეული არიან „სოფლის კავშირის“ ინსტრუქტორები აღნიშნული კურსების მოსაწყობად სოფლის კავშირის გამგეობამ გადასცა 400 მან.

ბიბლიოგრაფია

«ЗАПИСКИ ИНСТИТУТА ЛЕНИНА» წიგნი მე-II, გვ. 172—ფასი 1 მ. 50 კაპ.

ამ კრებულის ხასიათს და ამოცანებს მკითხველი იცნობს. ის შეიცავს დავიწყებას მიცემულ დოკუმენტებს, ლენინის სიტყვებს, წერილებს, შენიშვნებს, დეპეშებს, მოგონებებს ლენინზე და სხვა. მოკლეთ მასში მოგროვილია მეტად საინტერესო მასალები ლენინისა და ლენინიზმის შესასწავლად.

მეორე წიგნში პირველად მოთავსებულია ლენინის წერილი „პროლეტარული“ რევოლიუციის სამხედრო პროგრამა“, (რომელიც „ახ. ინტერნაციონალში“ იყო მოთავსებული. 1917 წ.) იგი ეხება „განიარაღების“ ლოზუნგს და ასაბუთებს მის უვარგისობას.

„ძირითადი მოსაზრება მდგომარეობს მასში, რომ განიარაღების მოთხოვნილება არის ყველაზე ნათელი, ყველაზე მტკიცე გამოხატულება ბრძოლისა ყოველგვარი მილიტარიზმის და ყოველგვარი ომის წინააღმდეგ. მაგრამ ამ ძირითად მოსაზრებაში არის განიარაღების მომხრეების ძირითადათ შეცდომა. სოციალისტები, თუ ისინი სოციალისტებათ დარჩებიან,—ვერ იქნებიან ყოველგვარი ომის წინააღმდეგნი“ (გვ. 6).

ომი, რომელსაც იმპერიალისტური ქვეყნების ბურჟუაზია აწარმოებს რეაქციონური ყაჩაღური, მტაცებლური ომია. მაგრამ არის ომები კოლონიალური ქვეყნებისა, აჯანყება დამონებულ ხალხებისა—ამ იმპერიალისტური ქვეყნების ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ესაა ნაციონალური ომები დაჩაგრული ერებისა—დამჩაგვრელების წინააღმდეგ.

რ. ლიუქსემბურგის აზრით ყოველგვარი ნაციონალური ომები იმპერიალისტურ სახელმწიფოს წინააღმდეგ, იწვევს მეორე ასეთივე სახელმწიფოს, პირველის კონკურენტის ჩარევას, რითაც ის იქცევა იმპერიალისტურ ომათ. ლენინის აზრით „ეს შესაძლებელია, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ხდება“. ნაციონალური ომების შესაძლებლობის უარყოფა იმპერიალიზმის ხანაში არ მართლდება ისტორიულად. აღმოსავლეთის მთელი ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა იმას ამტკიცებს, რომ იმპერიალიზმი პირდაპირ გულისხმობს ნაციონალურ ომებს. მეორე მოსაზრება „განიარაღების“ ლოზუნგის წინააღმდეგ—ესაა სამოქალაქო ომი და მესამეც გამარჯვებული რევოლიუციონურ ქვეყნის ბრძოლა, თუ მას თავს დაესხმიან იმპერიალისტები. „ასეთი ომი იქნება სამართლიანი და კანონიერი“.

აი, რატომ იქნა უარყოფილი ლენინის მიერ „განიარაღების ლოზუნგი“, რომელიც ერთის შეხედვით შესაძლებელია ძალიან რევოლიუციონურათ გვეჩვენოს, მაგრამ არსებითად შეცდარ გზაზე აყენებს პროლეტარიულ პარტიას.

შემდეგ მიდის 1917 წლის დოკუმენტები. წერილები და შენიშვნები. მათ შორის საინტერესოა აქამდე გამოუქვეყნებელი დოკუმენტები. რომლებიც ეხება ოქტომბრის რევოლიუციის წინ არსებულ, მეტად ღრმა შინაპარტიულ უთანხმოებას. უთანხმოება არსებობდა 1917 წელში პარტიისა და მის მემარჯვენე ფრთას შორის ძალაუფლების აღების და შემდეგ კი კოალიციონურ თუ ბოლშევიკურ მთავრობის შექმნის საკითხში. ლენინი ივლისში ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციების კონფერენციაზე ასე ამბობდა: „არ უნდა გაუსწროთ წინ მოვლენებს. დაცდის პოლიტიკა ეხლა საუკეთესოა. ისტორია ჩვენის სასარგებლოდ მუშაობს“. ასე ამბობდა ლენინი მაშინ, როცა მასების თვალში მენშევიკ-ესერების გაკოტრება კიდევ არ იყო დამტკიცებული. ლენინი უცდიდა დროს, რომ მასებს ზურგი ექციათ მენშევიკ-ესერებისათვის და დამდგარიყვენ ბოლშევიზმის ხელმძღვანელობის ქვეშ. ლენინი, რომელიც ასე დაურიდებლად ებრძოდა ყოველგვარ მერყეობას. მენშევიკურ „დაცდის“ პოლიტიკას, როცა ყოველგვარი პირობები მოქმედებისათვის მზათ იყო, ხოლო თვითვე მოუწოდებდა „დაცდისაკენ“, როცა საჭირო იყო დრო მასების დაპყრობისათვის. აქ ჩვენ ვხედავთ უდიდეს პროლეტარულ ტაქტიკას, დიალექტიკას, რომელიც ცდილობს მოუმწიფებელი ნაბიჯებით არ გადაიჩეხოს უფსკრულში უდიდესი მოძრაობა.

ც. კ. გაფართოებულ პლენუმზე 1917 წ. 23 ოქტომბერს ლენინი ამბობდა: „ან კორნილოვის დიქტატურა, ან პროლეტარიატის და ღარიბი გლეხობის დიქტატურა. მასების განწყობილებით ხელმძღვანელობა შეუძლებელია, რადგან ის ცვალებადია და ძნელია მისი აღნუსხვა. ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ რევოლიუციის შეფასებით და ობიექტიური ანალიზით. მასებმა ნდობა გამოუცხადეს ბოლშევიკებს და მოითხოვს მისგან არა სიტყვებს, არამედ საქმეს, მტკიცე პოლიტიკას... რუსეთის და ევროპის კლასობრივი ბრძოლის ანალიზიდან გამომდინარეობს მტკიცე, აქტიური პოლიტიკის წარმოების აუცილებლობა, რაც შეიძლება იყოს მხოლოდ შეიარაღებული აჯანყება“.

დიდი ინტერესით იკითხება **კარპინსკის** მოგონება „ვლადიმერ ილიჩი საზღვარგარეთ 1914—17 წლებში“.

ომის დაწყების მომენტი იყო სოციალ-შოვინიზმის უდიდესი ტალღის აზვირთების მომენტი. ამ სენით მოწამლული იყო მთელი ატმოსფერა. მუშათა კლასის საუკეთესო ხელმძღვანელები, სოციალიზმის გამოცდილი ბელადნი გადაეშვენ შოვინიზმის წუმპეში. საერთო დაბნეულობა და არაჩვეულებრივი კრიზისი სუფევდა სოციალიზმის ბანაკში. ბოლშევიკური ჯგუფები საზღვარგარეთ მოფანტული იყო მთელ რიგ ქალაქებში, მათ შორის პირველ ხანებში კავშირი გაწყდა. ასეთ მძიმე, აუტანელ პირობებში, როცა ლენინი მოწყვეტილი იყო საკუთარი პარტიისაგან იგი იმუშავებს თავის შეურიგებელ პოზიციას ომთან და სოციალ-მოღალატეებთან. ის შიშობდა, რომ სოციალ-შოვინიზმის ატმოსფერით არ მოწამლულიყო მისივე პარტია, მის მიერ აღზრდილი ბოლშევიზმის ძირითადი კადრები. ლენინი შეუპოვარი, დაუნდობელი მოწინააღმდეგეებისა მიმართ, უდიდესი მოთმინებით ეკამათებოდა და უხსნიდა ამხანაგებს თავის პოზიციას.

მერყეობა ომის დაწყებისას იყო ბოლშევიკებს შორისაც. როგორც ლაპარაკობს კარპინსკი მეორე **ინტერნაციონალის** შეფასების საკითხმა. ბევრი ბოლშევიკისათვის გაუგებარი და წარმოუდგენელი იყო ლენინის შეფასება, რომელიც ამბობდა, რომ მეორე ინტერნაციონალი განიცადა იდეურ-პოლიტიკური მარცხი. მათ ეგონათ, რომ ინტერნაციონალი განიცდის კრიზისს ან უკიდურეს შემთხვევაში „კრახს“ მხოლოდ ომის საკითხში და არა საერთოდ. მათი აზრით საერთოდ ინტერნაციონალის პოზიცია შერყეული არ იყო, გაუგებარი იყო ბევრისათვის, რომ ინტერნაციონალი. ეს უდიდესი ტრადიციის მქონე სოციალისტური ორგანიზაცია გადაგვარდა, რომ მასში დასძლია წვრილ ბურჟუაზიულმა ოპორტუნიზმმა. მათთვის გაუგებარი იყო, რომ გადაგვარება ნელი ნაბიჯით სწარმოებს, მაგრამ გარკვეულად მჟღავნდება, ერთბაშად ამოხეთქს უდიდეს ისტორიულ მოსახვევებზე. რთული პოლიტიკური მოვლენების დროს. ასეთი მოვლენა კი იყო ომი, რომელმაც იმპერიალიზმის ბანაკში გადაისროლა მთელი ოფიციალური ინტერნაციონალი.

დასასრულს კარპინსკი ახასიათებს ლენინს. როგორც ადამიანს, აქვე ვეცნობით ილიჩის მატერიალურ მდგომარეობას, ცხოვრების პირობებს ომის პერიოდში, მის დამოკიდებულებას ამხანაგებისადმი, რომელიც განსხვავდებოდა თავისი თბილი მოპყრობით, სიმარტივით, ჩვეულებრივობით, იმ თვისებებით, რაც არ ჰქონდა ბევრ ბელადებს. მაგ. პლეხანოვს. შემდეგ მოთავსებულია **ხარიტონოვის** მოგონებანი, რომელიც აგრეთვე ომის პერიოდის მოგონებებს შეიცავს, **კრუპსკაიას** წერილი (1917 წ.) ლენინის და სხვა ბოლშევიკების წინააღმდეგ გამართულ ცილისწამების კამპანიის გამო და ინსტიტუტის ქრონიკა.

მარქსისტი.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ რეცენზიაში გაიპარა შეცდომა. სწერია: კ. კაუცკი—„უძველესი სოციალიზმის წინამორბედნი“. თარგმანი შ. ელიავასი. უნდ იყოს **მიხ.** ელიავასი.

ავიაქიმში

კონფერენციები

საქ. თავდაცვა-ავიაქიმში მიღებული ცნობების თანახმად, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ტარდება ავიაქიმის კონფერენციები.

ბათომში ჩატარებულ იქნა საოლქო კონფერენცია. ამჟამად მიმდინარეობს სამაზრო კონფერენცია ქ. სიღნაღში.

პრეზიდიუმის სხდომა

13 მარტს მოწვეულია საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნება მოხსენებები ავიაქიმის თელავის და ბორჩალოს სამაზრო ორგანიზაციის მუშაობაზე. ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნება სანიტარული ქვე-სექციის მუშაობის ანგარიში.

ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად

ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად საქ. თავდაცვა-ავიაქიმი კვირას 11 მარტს აწყობს სხვადასხვა ქალაქებში მეჯიბრს სროლაში, რომელშიაც მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ თავდაცვა-ავიაქიმის წევრ-ქალებს.

იმ ქალაქებში, სადაც არსებობს აეროდრომები, იწარმოებს ქალების გაფრენა თვითმფრინავებით.

რკინისგზებზე

ჩიხში

6 მარტს ზესტაფონიდან სვირისაკენ მიმავალმა მარგანეცით დატვირთულმა მატარებელმა გადაუხვია ამ გადასარბენზე მდებარე ჩიხისაკენ.

მატარებელი დაეჯახა ჩიხის საბჯენს, რის გამო ლიანდაგიდან გადავარდა ორთქლმავალი. ამასთანავე საგრძნობლად დაზიანდა 13 და უმნიშვნელოდ 2 მარგანეცით დატვირთული ღია ვაგონი. შემადგენლობის ბოლო დააბრუნეს ზესტაფონში. მოძრაობა შეწყვეტილი იყო ორი საათით.

ფიქრობენ, რომ ისარი მთავარ ხაზიდან ჩიხისაკენ გადაყვანილი იყო განზრახ. სწარმოებს კვლევა-ძიება.

მთავარ სახელოსნოს რეორგანიზაცია

თბილისში ჩამოვიდა გზათა კომისარიატის მიერ გამოგზავნილი რკინისგზების ცენტრალურ სამმართველოს შ. მ. ო—ს განყოფილების კონსულტანტი ამხ. **ოლასტენინი**, რომელსაც დავალებული აქვს თბილისის მთავარ სახელოსნოებში რეორგანიზაციის ჩატარება.

რეორგანიზაციის მიზანია სახელოსნოების ისე გადაკეთება, რომ გაფართოებულ იქნეს მოძრავ შემადგენლობის და მძლავრ ორთქლმავლების შეკეთების საქმე.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

„კომუნისტი“-ს 6 იანვრის №-ის შემთხვევების განყოფილებაში მოთავსებული შენიშვნის გამო („თბილისის ცნობარი“-ს გარშემო) ნება მოგვეცით განვაცხადოთ შემდეგი:

ჩვენ ვბეჭდავთ „თბილისის ცნობარს“, სადაც მოთავსებული იქნება თბილისის მცხოვრებთა მისამართები, განცხადებები, წერილები სხვადასხვა დაწესებულებების მუშაობისა და მიღწევების შესახებ. წიგნისთვის მისამართების შესაკრებათ ჩვენ ვგზავნით აგენტებს. ამ აგენტებს ხელთ აქვთ მანდატები, შემოწმებული თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების მიერ. ამის შესახებ ჩვენ განცხადებაც გვქონდა თქვენს გაზეთში № 31 (2074) 7 თებერვლის თარიღით, მანდატებშიც და განცხადებაშიც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ მისამართების შეკრება ხდება ნებაყოფლობით. მართალია იყო რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც ზოგი აგენტები აჭარბებდნენ თავიანთ უფლებებს, მაგრამ ასეთ აგენტებს ჩვენ მანდატებს ვართმევთ და რამოდენიმე კაცი **დაპატიმრებული არის.** ასეთი წიგნისთვის მასალების შეკრება ყველგან ამ წესით ხდება და ჩვენც იძულებული ვართ ასეთ საშუალებას მივმართოთ. ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ არავინ ყალბი მოწმობებით არ დადის და თუ რომელიმე აგენტი „მუყაითობს“ და აჭარბებს თავის უფლებას, ის ისჯება.

მწერალთა კავშირის საგამომცემლო განყოფილების გამგე **ალ. აბაშიძე.**

ამხ. რედაქტორო!

საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობის დელეგატთა სიაში მე გამოცხადებული ვარ როგორც მემარცხენე მწერლების (ფუტურისტების) ჯგუფის დელეგატი. ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გთხოვთ საშუალება მომცეთ განვაცხადო, რომ მე არ ვითვლები აღნიშნულ ჯგუფის წევრად. მხოლოდ უკანასკნელმა დამითმო მე ერთი ხმა, როგორც დამოუკიდებელ მემარცხენე მწერალს.

ლეო ესაკია.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში საოლქო სასამართლოებისა და საოლქო პროკურატურის გაუქმებისა და სამაზრო სასამართლოებისა და სამაზრო პროკურატურის დაარსების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხ. თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე სასამართლოს წყობილების დებულების თანახმად მოქმედი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოები

2. დაარსებულ იქნეს საქართველოს ს. ს. რ-ის სამაზრო ცენტრებში სამაზრო სასამართლოები. სამაზრო სასამართლო მოქმედობს მაზრის ფარგლებში, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო ისეთ საქმეებზე, რაც სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით საოლქო სასამართლოს გამგებლობის საგანს შეადგენს.

სამაზრო სასამართლო მოქმედობს სახალხო მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით; სახალხო მსაჯული მოვალეობის შესასრულებლად მოიწვევა განსაკუთრებული სიით, რაც შედგენილ იქნება სასამართლოს წყობილების დებულებით და ამ დადგენილების მე-6 მუხლის გათვალისწინებულ წესისამებრ

შენიშვნა: სამაზრო სასამართლოს შტატი განისაზღვრება იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ და დამტკიცდება კანონით დადგენილი საერთო წესისამებრ. ქალ. თბილისში და ქუთაისში სამაზრო სასამართლო თავმჯდომარისა და იმდენი მოსამართლისაგან, რამდენიც დაწესებულია შტატით.

3. იმის გარდა, რომ სამაზრო მოსამართლე და აგრეთვე თბილისის და ქუთაისის სამაზრო სასამართლოების თავმჯდომარეები და მოსამართლენი უნდა შეესაბამებოდნენ სასამართლოს წყობილების დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათ, მათ აგრეთვე უნდა ჰქონდეთ არა ნაკლებ, ვიდრე სამი წლის სტაჟი პრაქტიკული სასამართლო მუშაობისა სახალხო მოსამართლის არა უმცირეს თანამდებობაზე.

4. სამაზრო მოსამართლენი და თბილისის და ქუთაისის სამაზრო სასამართლოთა თავმჯდომარენი და მოსამართლენი აირჩევიან თანამდებობაზე და გაიწვევიან თანამდებობიდან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ, იუსტიციის სახ. კომისარიატის წარდგენით.

აღნიშნულ თანამდებობის პირებზე გავრცელდება ყველა ის უფლება-მოვალეობა, რაც საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეთა და წევრთათვის გათვალისწინებულია სასამართლოს წყობილების დებულებით.

5. ყოველ სამაზრო სასამართლოსთან გაწესებულია: ა) მდივანი, რომელსაც დანიშნავს იუსტიციის სახალხო კომისარიატი სამაზრო მოსამართლის წარდგენით (თბილისისა და ქუთაისის სამაზრო სასამართლოებში — თავმჯდომარეთა წარდგენით) იმ პირთაგან, ვისაც ამ თანამდებობის დაჭერისათვის სასამართლოს წყობილების დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათ შესაბამება, და ბ) კანცელარია განსაზღვრული წესისამებრ დამტკიცებული შტატის მიხედვით.

6. სამაზრო სასამართლოს საქმეთა სხდომაზე მონაწილეობის მისაღებათ სახალხო მსაჯულთა საერთო სიიდან შედგენილ იქნება განსაკუთრებული სია არა ნაკლებ 100 კაცისა ისეთ მოქალაქეთაგან, რომელთაც აქვთ ერთ წელიწადზე არა ნაკლები სტაჟი სახელმწიფო, პროფესიონალურ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობისა; მათ შორის სპეციალურად სამოქალაქო საქმეების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, არჩეულ უნდა იქნეს არა ნაკლებ 25 კაცისა იმ პირთაგან, რომელნიც მუშაობენ სამეურნეო (სახელმწიფო და კოოპერატიულ) საწარმოში. სახალხო მსაჯულთა სიას სამაზრო სასამართლოებისათვის შეადგენს იგივე კომისია, რომელიც ადგენს სახალხო მსაჯულთა სიას სახალხო სასამართლოსათვის. ამ კომისიაში მონაწილეობას მიიღებს ორი წარმომადგენელი საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი თბილისში და პროფესიონალურ კავშირთა სამაზრო ბიუროსი სამაზრო ცენტრში.

განსაკუთრებულ სიას დაამტკიცებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც შეუძლიან ჩამოიცილოს სიაში შეტანილი ესა თუ ის პირი; ჩამოცილება არ გასაჩივრდება.

7. სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების შეცვლამდე სამაზრო სასამართლოებმა საქმეების წარმოების დროს უნდა იხელმძღვანელონ აღნიშნული კოდექსების ის ნაწილი, სადაც განსაზღვრულია საოლქო სასამართლო ფუნქციები, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოსი.

8. სასამართლოს წყობილების დებულებით გათვალისწინებული საოლქო სასამართლოს ფუნქციები: ა) მისი ქვემდებარე სასამართლო ორგანოთა მოქმედებისათვის უშუალო ზედამხედველობისათვის განხორციელების სფეროში და ბ) როგორც სახალხო სასამართლოების განაჩენებზე და გადაწყვეტილებებზე შეტანილ საკასაციო საჩივრებისა და პროტესტებისა და იმავე სასამართლოების დადგენილებებზე შეტანილი კერძო საჩივრების განმხილველი ორგანოსი,—დაეკისროს საქართველოს ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს, ვიდრე სასამართლოს წყობილების დებულება და სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები გადაისინჯებოდეს.

შენიშვნა 1. რადგანაც აღნიშნული ფუნქციის დაკისრების გამო უზენაეს სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა რიცხვი თვალსაჩინოდ იმატებს. გადიდებულ იქნეს მისი შემადგენლობა საშტატო წესით

შენიშვნა 2. უკეთუ საჭირო იქნება, უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს შეუძლიან დანიშნოს საკასაციო კოლეგიის ადგილობრივ წამსვლელი სესიები პირველი ინსტანციის სასამართლოების განაჩენებზე, გადაწყვეტილებებზე და დადგენილებებზე შეტანილი საკასაციო საჩივრებისა, პროტესტებისა და კერძო საჩივრების ადგილობრივ განსახილველად

9. იუსტიციის სახალხო კომისარიატსა და უზენაეს სასამართლოს და ადგილობრივ სასამართლოს ორგანოთა შორის მუდმივი კავშირის განსამტკიცებლად და ადმინისტრატიულ-ინსტრუქციული ხასიათის განმწესრიგებელ მოქმედებათა განსახორციელებლად — თბილისისა და ქუთაისის სამაზრო სასამართლოთა თავმჯდომარეებს, ხოლო დანარჩენ მაზრებში სამაზრო მოსამართლეებს,—როგორც უზენაესი სასამართლოს რწმუნებულებს, — დაეკისროთ:

ა) საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის მუშაობის მიმოხილვა უზენაესი სასამართლოს პლენუმისათვის მოსახსენებლად;

ბ) თვალყურის დევნება დამცველთა სამაზრო ბიუროს მოქმედებისათვის და მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების ორგანიზაცია;

გ) მოწვევა იუსტიციის სფეროში მომუშავეთა სამაზრო თათბირებისა და თავმჯდომარეობა ამ თათბირებზე, სადაც, კანონების შეფარდების პრაქტიკული საკითხების განსახილველად და იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და უზენაესი სასამართლოს ცირკულიარებთან გასაცნობად მოწვეულ უნდა იქნენ იმ დაწესებულებათაგან წარმომადგენლებიც, რომელთა მუშაობაც ამა თუ იმ მხრივ დაკავშირებულია სასამართლოს მუშაობასთან;

დ) უზენაესი სასამართლოს დავალებითა და იუსტ. სახ. კომ. მიერ ამ დავალების დამტკიცებით, სახალხო სასამართლოების რევიზია იუსტ. სახ. კომისარიატ. ინსტრუქტორებთან ერთად და თვალყურის დევნება ამ სასამართლოებში საქმის წარმოების რაციონალიზაციის განხორციელებისათვის;

ე) თავმჯდომარეობა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებში;

ვ) საზოგადოებრივ ბრალმდებელთა ინსტიტუტის ორგანიზაცია;

ზ) თვალყურის დევნება სასამართლოს აღმასრულებლებისა და მაზრაში მოქმედ სანოტარო კონტორების მოქმედებისათვის, ხოლო სადაც ეს კონტორები არ მოიპოვება—ნოტარიუსის მოვალეობის შესრულება;

თ) მონაწილეობის მიღება სამაზრო და სახალხო სასამართლოებისათვის სახალხო მსაჯულთა სიების შემადგენელ და განმანაწილებელ კომისიაში;

ი) საინფორმაციო ცნობების მოთხოვნა სახალხო მოსამართლეთაგან მათი მუშაობის შესახებ;

10. გაუქმებულ იქნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის ორგანოები და მათ ნაცვლად დაწესებულ იქნენ სამაზრო პროკურორები, ხოლო იქ, სადაც საჭიროა, მათი თანაშემწენიც,—საშტატო წესით.

ვიდრე სასამართლოს წყობილების დებულება და სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები გადაისინჯებოდეს, ყველა იმ საკითხების გახილვა, რაც კი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორების გამგებლობის საგანს შეადგენს, დაეკისროს იუსტიციის სახალხო კომისარიატის საპროკურატურო განყოფილებას, ხოლო სათანადო მაზრის ფარგლებში — სამაზრო პროკურორს, თანახმად განსაკუთრებული ინსტრუქციისა, რომელსაც იუსტიციის სახალხო კომისარი დაამტკიცებს.

11. საოლქო სასამართლოების გაუქმებით გამოწვეული სახელმწიფო ნოტარიატის სათანადო რეორგანიზაცია განისაზღვრება განსაკუთრებული კანონით.

12. სამაზრო სასამართლოებისა და სამაზრო პროკურატურის შესანახად საჭირო ხარჯი. აგრეთვე ის ხარჯები, რაც საჭიროა სახალხო მსაჯულთათვის, მოწმეთათვის და ექსპერტთათვის კანონით დაწესებული გასამრჯელოს მისაცემად,—მიეკუთვნოს სახელმწიფო ბიუჯეტს იუსტიციის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით.

13. მიენდოს იუსტიციის სახალხო კომისარს დაამთავროს სასამართლო დაწესებულებათ რეორგანიზაცია და ამა დადგენილების საფუძვლებზე არა უგვიანეს 1928 წ. იანვრის 1-სა, თანაც დააწესოს და გამოაცხადოს გაუქმებულ ორგანოების მოქმედების მოსპობისა და დაარსებულ ორგანოების მოქმედების დაწყების ვადა.

14. საოლქო სასამართლოებისა და საოლქო პროკურატურის მოქმედების მოსპობისთანავე, ყველა ის საქმე, რაც გადაწყვეტილი არ იქნება ამჟამად მოქმედი წესით, განხილულ უნდა იქნეს ამა დადგენილებით გათვალისწინებულ წესისამებრ. გასაუქმებელი ორგანოების საქმეებისა და არქივის გადაცემის დაწვრილებითი წესი განისაზღვრება იუსტიციის სახალხო კომისარის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციით.

15. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და წარუდგინოს, ერთი თვის ვადაზე, რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოებს დასამტკიცებლად დადგენილებათა პროექტები სასამართლოს წყობილების დებულებისა და სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ცვლილებების შესახებ, რაც ამა დადგენილებიდან გამომდინარეობს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. ჩათიკაშვილი.**

1927 წ. ოქტომბრის 31
თბილისი—სასახლე.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 8 მარტი

დღეს რადიო მუშაკთა დასასვენებელია დღე, რადიო-გადაცემა არ იქნება.

პარასკევი, 9 მარტი

9 მარტს თბილისის 4 კილოვატიან რადიოსადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მოხსენება: როგორი შენობაა საჭირო აბრეშუმის ჭიებისათვის—ქართულ ენაზე.
მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—ქართულ ენაზე.
ავიაქიმის მოხსენება: ავიაქიმის მასიური მუშაობა სოფლად—რუსულ ენაზე.
მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე—თურქულ ენაზე.
მოხსენება: გრიპის ეპიდემია და მასთან ბრძოლა—თურქულ ენაზე.
კომკავშირის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“—ქართულ ენაზე.
მუსიკის ახსნა-განმარტება.
ოპერა „ტრავიატა“-ს ტრანსლიაცია.
გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.
ტეხნიკური კონსულტაცია.
ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა - ხელზე

დღეს, 8 მარტს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები.

კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: გეორგ მიკირტუმოვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: დავით ბერიძე, ანა დრონოვა, მარიამ ქიტნიცკი

შავ მუშათა მესამე სექციიდან: ნიკოლოზ ლესნიკოვი, კონსტანტინე ჭინჭარაძე, ლეონ ხარტუროვი, მიხეილ ქობელია, სოფიო პოლოსინა, ევდოკია კონდრატიევა, ამბო მიკირტიჩიანცი, იოსებ ცაბაძე, აგრაფინა კუზნეცოვა, ამბარცუმ ყაზარიანცი, სამსონ ანდრიანოვი.

თბილისის შრომის ბირჟის მედსექცია უმუშევართა საყურადღებოდ აცხადებს, რომ მიღებულია დამატებითი მოთხოვნილება მედპერსონალზე, როგორც რუსეთიდან, ისე საქართველოს სხვადასხვა მაზრებიდან.

ყვარელის (თელავის მაზრა) თემაღმასკომს ესაჭიროება ერთი გამოცდილი ქართული ენის მცოდნე ექიმის თანაშემწე ბებია-ქალი, ჯამაგირი თვიურად — 45 მან. ბინა - გათბობით, კერძო პრაქტიკის ნებართვით.

მსურველმა დაწვრილებითი ცნობების მისაღებად უნდა მიმართოს თბილისის შრომის ბირჟის მედსექციაში ამხ. გოგეშვილს.

შრომის ბირჟამ მესამე სექციაში შემოიღო მოსკოვის შრომის ბირჟის მიხედვით ახალი წესი უმუშევართა სამუშაოზე გასაგზავნად. ახალი წესის მიხედვით წინასწარ სწარმოებს უმუშევართა მდგომარეობის გამოკვლევა დგება სია, უმუშევრებს წინდაწინ ეგზავნებათ სახლში გამოძახების ბარათები. ეს ბარათები რჩება უმუშევართან, სანამ სამუშაოზე გაიგზავნებოდეს. ამ ახალ წესს ის უპირატესობა აქვს, რომ შეუძლებელია ადგილი იქნეს რაიმე გაუგებრობას უმუშევართა ჩარჩენის მხრივ შრომის ბირჟაში (ამ დრომდე კი ადგილი ქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც უმუშევარი ირიცხებოდა შრომის ბირჟაში 22-23 წლიდან და ჯერაც არ გაგზავნილა სამუშაოზე, მომავალში კი ამას ადგილი აღარ ექნება.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე არტემი შვილებით ანტონ, კუკური, სიდედრი ციცინო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 6 მარტს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გინეკოლოგიურ კლინიკაში უდროოდ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

ვისილა (ნინა) იასონის ასული
სიხარულიძისა

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1685

„ელექტროსელსტროის“ მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომი ღრმა მწუხარებით იუწყება ელექტრო-მონტიორის, კომკავშირის წევრის

სიმონ ვასილის-ძე
კიკაჩეიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას.
დაკრძალვა მოხდება 10 მარტს, ქ. სამტრედიაში. 1684

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა მარიამი, დები: იულია, ვერა, ქსენია და ძმა ალექსანდრე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, მათთვის უსაყვარლეს და დაუვიწყარ

იონა ზურაბის-ძე ხუბუას

უდროოდ გარდაცვალებას, სამოქალაქო პანაშვიდი პარასკევს, 9 მარტს საღამოს 6 საათზე. გამოსვენება შაბათს, 10 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე, საკუთარ ბინიდან, პანასევიჩის (ჩუღურეთის) ქუჩა № 36, კუკიის სასაფლაოზე. 1683

სახკინმრეწვის თეატრები
აპოლო — პრემიერა მხატვრული შედევრი „ჩანჩქეული“ ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით 1 და 2 სერია ერთად
არფასტო — სეზონის ახალი სურათი მღელვარე ახალგაზრდობა კარინა მელის მონაწილეობით
სოლეი — საუკეთესო სურათი სანქტ-პეტერბურგის აღსასრული „მეჟრაბპომრუს“-ის ნაწარმოები რეჟისორი პუდოვკინი
დარბაზი — ვილიამ დესმონდ სურათში უშიშარი ამერიკელი
ოდეონი — ჰარი ლიდტკე მხატვრულ სურათში „დიდი ჰერცოგის ფინანსები“
პროლეტარი, ავლაბარი — ამერიკული კინო-რომანი სპიდ 3 და 4-ხე სერია ერთად
ანონსი მალე საუკ. სურათი „რომანოვების დინასტიის დამხობა“ 0—7

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ. ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი)**, რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 **მთავარი კანტორა.**

ქალაქ თბილისის მოსახლეობის საყურადღებოთ

თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება ამით აუწყებს ქალაქ თბილისის მოსახლეობას, რომ ამჟამად სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის წიგნის მაღაზიის რწმუნებულნი **აგროვებენ მცხოვრებთა მისამართებს ცნობათა დიდი წიგნისათვის „მთელი თბილისი“, რომელიც პირველად გამოდის.** მისამართების შეგროვება სწარმოებს **მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობით.**

მისამართების შემკრებ რწმუნებულებს აქვთ სათანადო მოწმობები, რომლებიც რეგისტრაციაში გატარებულია თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში.

თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსი **ხმალაძე.**
ნ. 746.

იყიდება სახლი
ქ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე სადგურის ახლოს, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, 180 კვ. საჟ. ეზოთი. პირობების გაგება შეიძლება ქ. ოზურგეთში ილიკო გოგელიასთან და პოლიკარპე ი. წკირველთან ნ. 745

ექიმი ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.
იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.)

თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტთან არსებულ კოლექტივთა გაერთიანების სამმართველო იუწყება, რომ 1928 წლის 5 მარტიდან **უქმდება** კოლექტივთა გაერთიანებაში შემავალი კოლექტივი „ქელდორპუტ“

იმ პირებს, რომელთაც აქვთ პრეტენზიები ზემოდაღნიშნულ კოლექტივის მიმართ, შეუძლიათ ა. წ. 20 მარტამდე მიმართონ თბილისის შრომის ბირჟასთან არსებულ კოლექტივთან გაერთიანების სამმართველოში, ვოლოდარსკის ქუჩაზე (ყ. მადათოვის ქუჩა) № 3 ამხ. სერედას, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.
5—1 1682

გამოვიდა და იყიდება გუზიკოვის სახელმძღვანელო
„კბილის სამკურნალო საპროთეზო ტეხნიკა“
ქართულ ენაზე, წიგნის ფასი 2 მან. 75 კაპ წიგნის შეძენა შეიძლება სახელმწ. უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში
13—1 პლეხანოვის პროსპ. № 126 ა. ჩოჩორიშვილთან.

ექიმი ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი გრიშა შენგელიას სახელზე, ჩ. გ. 1656

დაიკარგა: დაზღვევის წიგნაკი № 231 გრიგოლ ალექსანდრესძე მარტიროსოვის სახელზე, ჩ. გ.

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნეულოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—1

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში: სქესობრივი ამლილობა, მავნე ჩვეულებები, უძილობა და სხვ. საღამოს 5—8 საათ. დილის 11—1 საათ.
სპეციალურად სიფილისით ავადმყოფების მიღება საღამოობით, დანიშნულ დროს. საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ყორსის ქუჩა (ყოფ. კირკის) კუთხე. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კალოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად ტელეფ. № 1—90 25—10

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. ჩალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 5—1

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 64